

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ: ნანა ზამთარაძეს

ირაკლი ნოზაძის

პ.ნ

ტელ:

განცხადება

როგორც მოგეხსენაბთ, თქვენს წარმობაშია ონის მუნიციპალიტეტში სოფელ შქმერში მანგანუმის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე ჩემი განაცხადი (ID-14725). გაცნობებთ, რომ არ ვეთანხმებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოში“ დაცულ ინფორმაციას მანგანუმის მარაგებთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ შესწავლა მოპოვების ლიცენზია.

პატივისცემით:



/ირაკლი ნოზაძე/



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო

გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/5172



09/10/2020

5172-11-2-202010091643

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 2020 წლის 23 სექტემბრის N22/6904 წერილი, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

წერილის დანართით წარმოდგენილი (7 უბანი) 1302701 კვ.მ. ფართობი, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1533 კვ.მ. მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში (იხ. დანართი N2). აქვე გაცნობებთ, რომ (მე-5 უბანი) 72008 კვ.მ. ფართობიდან 897 კვ.მ. ფართობი მოქცეულია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის N5959/01 წერილით განსაზღვრულ ზურუმუხტის ქსელის საზღვრებში

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას ფართობზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ:

პერსპექტიული სალიცენზიო ობიექტი - 0.0636 ჰა, **მდებარეობს** - ალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრის სიგანის მერქნიანი მცენარეებით (ხეების ან/და ბუჩქნარის ერთობლიობა), ხეებითა და

ბუჩქებით დაფარული ფართობები: თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის, უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტარამდე სიდიდის ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშალების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის, ასევე რკინიგზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე;

არ მდებარეობს - საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირებიდან 300 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე (მანძილი იზღუდება წყალგამყოფით);

არ მდებარეობს - სახელმწიფო დაცვით ტყის ზოლებში;

არ მდებარეობს - ტყის უბნებში, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეები;

მდებარეობს - 20⁰ -ზე მეტი დაქანების ფერდობებზე;

არ მდებარეობს - სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც 1 ჰა-ზე არსებული მერქნული რესურსის მარაგი (გარდა ბუჩქნარისა) აღემატება 50 მ³ -ს.

პერსპექტიული სალიცენზიო ობიექტი - 0.0897 ჰა, **არ მდებარეობს** - ალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრის სიგანის მერქნიანი მცენარეებით (ხეების ან/და ბუჩქნარის ერთობლიობა), ხეებითა და ბუჩქებით დაფარული ფართობები: თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის, უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტარამდე სიდიდის ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშალების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის, ასევე რკინიგზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე;

არ მდებარეობს - საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირებიდან 300 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე (მანძილი იზღუდება წყალგამყოფით);

არ მდებარეობს - სახელმწიფო დაცვით ტყის ზოლებში;

არ მდებარეობს - ტყის უბნებში, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეები;

არ მდებარეობს - 20⁰ -ზე მეტი დაქანების ფერდობებზე;

არ მდებარეობს - სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც 1 ჰა-ზე არსებული მერქნული რესურსის მარაგი (გარდა ბუჩქნარისა) აღემატება 50 მ³ -ს.

წარმოდგენილ ფართობზე, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

პატივისცემით,

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი





KA021729753520020

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, იჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/58804

28 / ოქტომბერი / 2020 წ.

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოსული თქვენი 19.10.2020წ. № 22/7478 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია წერილში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაიცეს ლიცენზია, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი თქვენს მიერ ზემოხსენებულ კორესპონდენციაში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:


- ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

- ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას;

- სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის შესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.

ამ პირობების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში ლიცენზია ჩაითვლება აუცილებელი თანხმობის გარეშე გაცემულად.

თავმჯდომარის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად 

ირაკლი შენგელია



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქარო სამართლის იურიდიული კირი
წილის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002204

2021 წლის „ 09 “ „ ივლისი “
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს, ს/ნ 405 470 869;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: სსიპ წილის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: —
უნის მუნიციპალიტეტში, სოფ. შამერის მიმდებარე ტერიტორიაზე,
შამერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება;
K-38-51-Г-ნ ნომენკლატურის ტოპოგრაფია (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მინაკუთვნის უარყოფი - 229 120 კვ. მეტრი.


მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

სალიცენზიო პირობები: _____


ბანსაგვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 09.07.2021 დან 10.07.2031 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი


(ხელმოწერა)

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.


(ხელმოწერა)

ბ.ა



დამკვეთი: სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ქეჩერა“
სუს-ს რეგისტრაციის № 24-5288



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020105950284121

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 898/ს

09 / ივლისი / 2021 წ.

შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებების, 2021 წლის 7 ივლისს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, (აუქციონის შედეგად მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ტექნოლოჯი 2021“ (განაცხადის №396OTH21), სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 11 000 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუნესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 229 120 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, ეროვნული სასარგებლო წიაღისეული (რეზერვების შეფასება და რეზერვების კონდიციონის და შეფასების) კომპიუტერიზებული

გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შესრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღის სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

ე) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;

ვ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ზ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

თ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ი) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;

კ) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით;

ლ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ნ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ო) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის № 2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარუდგინისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

პ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ჟ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

რ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული წიაღისეულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ს) იმსკობოაბაიისას მიწაროლი პროაისიბის ააქტიურიბის ოროს (ასიოის არსიბობის შიმიოხიფიქში) უნდა

ტ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის შესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის №9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

ყ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

შ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;

ჩ) „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად;

ც) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის № 271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ძ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

წ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჭ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით;


ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 1624, 10.09.2020 წ. (ID_15637_50521) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მონუმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ოთარი დანელია

დანართი (1 გვ.)

დამტკიცებულია

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის

2021 წლის 09 ივლისის 898/ ბრძანებით




ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

№	X	Y
1	369139	4705129
2	369035	4704760
3	368415	4704733
4	368653	4705184
WGS 1984		

ჩაუბრუნე დასახული მხარეზე კუთვნილი და სხვა წიხისფერი
კონკრეტული და სხვა წიხისფერი მხარეზე დასახული

09.07.2021



K-38-51-Г-6
 შომკატურა 1:10 000 მასშტაბის
 ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

ლიკაჩხაიძე
 18002204




გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე
 ობიექტის პუნქტუალური აღწერა
 სოფ. მჭურის მიმდებარე ტერიტორიაზე
 სახარკულაო ნაკვეთის
 (მანქანების) საფუძვლების ინჟინერიის
 კვლევის წესდების კონსტრუქცია

#	X	Y
1	369139	4705129
2	369035	4704760
3	368415	4704733
4	368653	4705184
S = 229120 კვ.მ.		
WGS 1984		

გეოსაინფორმაციო პაკეტი

50521_15637_ID_2020

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																					
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი - შქმერის მანგანუმის საბადო (უბანი ჭარნათი)																					
2	გენეტიური ტიპი - ქიმიური დანალექი																					
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - მეტალურგიული ნედლეული																					
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																					
4.1	რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი																					
4.2	მუნიციპალიტეტი - ონი																					
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფელი შქმერი																					
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რ/კ ონიდან 14-15 კმ (პირდაპირი მანძილი)																					
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - აღემატება 10 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს																					
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. რიონის აუზი																					
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები - <table border="1" data-bbox="331 772 678 1052"> <thead> <tr> <th>#</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>369139</td> <td>4705129</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>369035</td> <td>4704760</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>368415</td> <td>4704733</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>368653</td> <td>4705184</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">S = 229120 კვ.მ.</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	#	X	Y	1	369139	4705129	2	369035	4704760	3	368415	4704733	4	368653	4705184	S = 229120 კვ.მ.			WGS 1984		
#	X	Y																				
1	369139	4705129																				
2	369035	4704760																				
3	368415	4704733																				
4	368653	4705184																				
S = 229120 კვ.მ.																						
WGS 1984																						
4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 1700-1760 მ																					
4.9	კლიმატური პირობები - ნოტიო კლიმატი. საშუალოწლიური ტემპერატურა - +9-10 ⁰ , ნალექების წლიური რაოდენობა - 1200-1500 მმ.																					
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																					
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან - 15 მ-ში - გრენტიის გზა (მუნიციპალიტეტის ბალანსი)																					
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან -																					
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტიდან -																					
5.4	დამატებითი მონაცემები - ობიექტი ნაწილობრივ კვეთს "ხურმუხტის ქსელის" ტერიტორიას																					
6	სატყეო რესურსები																					
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში - არ ფიქსირდება																					
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური - არ ფიქსირდება																					
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები -																					
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია																					
7.1	ტექტონიკური დარაიონება - ამიერკავკასიის მთათაშუა არე, ცენტრალური აზიების ზონა, ოკრიბა-ხრეთის ქვეზონა, შაორის ბლოკი.																					
7.2	გეოლოგიური აგებულება - საბადოს რაიონი აგებულია იურული, ცარცული, მესამეული და მეოთხეული ნალექებით.																					
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია																					
8.1	მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება - შქმერის მანგანუმის საბადო სამი უბნისაგან შედგება - შქმერი, კოდოხი-ბლაძე და მეღეშური. პირველი ორი შქმერის ცარცული სინკლინური დაპრესიის ფარგლებში მდებარეობს, ხოლო მესამე - მეღაშურის უბანი მათგან სამხრეთით არის განლაგებული. სალიცენზიო ობიექტი მოიცავს შქმერის უბნის (ჭარნათის ქვეუბანი) ნაწილს. შქმერის საბადოს ფარგლებში, ზედა ცარცულ (ტურონული სართული) კირქვებზე და „მთავარის“ ვულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ არის განლაგებული ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექები, რომლებიც შქმერის სინკლინის მეღდას აგებს. ნალექების ფუძეში განლაგებულია მსხვილ- და საშუალომარცვლოვანი კვარცარკოხეული ქვიშები და ქვიშაქვები,																					


	<p>კორქვისა და კაუჩის ქვარგვალებით. კვარც-არკოზული ქვიშაქვების ზედა ჰორიზონტები გაქვნილია მანგანუმის ქანგულებით და უფრო ზევით გადადის პროდუქტულ ჰორიზონტში, რომელიც თავის მხრივ გადაფარულია მაიკაპის წყების არაკარბონატული ქვიშაიანი თიხებით. თიხები ხასიათდება ერთგვაროვნებით, ზედა ნაწილში შეიცავს ქვიშაქვებისა და მერგულების იშვიათ შუაშრებს. საბადოზე მაიკაპის წყების დიდი ნაწილი ეროზიითაა გადარეცხილი.</p> <p>ოლიგოცენ - ქვედა მიოცენური ქანები გადაფარულია მქოთხეული ალუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით.</p> <p>მანგანუმიანი ჰორიზონტი საბადოზე წარმოადგენს დაქანვული და კარბონატული მადნების შრეების სერისს. რომელიც ასევე მორიგეობს ქვიშაიანი თიხებთან და კვარციანი ქვიშაქვებთან. მადნიანი შუაშრეების რიცხვი წყებაში 3-დან 10-12-მდე იცვლება. (კალკული შუაშრის სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დე).</p> <p>მანგანუმის მადანი ზედაპირზე გამოსავლებში დაქანვული ან ნაწილობრივ დაქანვულია, ხიდრმეში კარბონატულია, მარცვლოვანი (ოლითური) ან მასიურია, ზოგჯერ ფოროვანი. ოლითების დიამეტრი ძირითადად 1-2 მმ-ია, იშვიათად 10 მმ-დე.</p> <p>მანგანუმიანი ჰორიზონტის ფუძეში ქვიშაქვები გაქვნილია მანგანუმის ქანგულებით ან კარბონატით.</p> <p>მანგანუმიანი ჰორიზონტში, ხიდრმის მიმართულებით, აღინიშნება გამადნების ხასიათის ცვლილება - დაქანვული მადნები სწრაფად იცვლებიან კარბონატულით. ასევე, ხიდრმის გაზრდასთან ერთად, მატულობს შრეთაშორისი უმადნო ინტერვალები.</p> <p>შქმერის საბადოს მადნების ძირითადი მასა კარბონატულია, რომელიც გამოსავლებზე დაქანვულია. ზედაპირზე გაშთქვებული კარბონატული მადანი თითქმის არ გვხვდება. მადნეული სხეულების განლაგება სხვადასხვა უბნებზე განსხვავებულია. შქმერის უბანზე მანგანუმის ჰორიზონტისთვის დამახასიათებელია ტაღლოვანი ზედაპირი, შრეები უმნიშვნელოდ იღუნება და იძირება მცირე ხიდრმეზე.</p>
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი - ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) - ლიმიტირებულია სალიცენხილ ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე - კალკული შრეების სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დე. მანგანუმიანი ჰორიზონტის ფუძეში სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი - შქმერის უბანზე მანგანუმიანი ჰორიზონტი თითქმის ჰორიზონტალურად არის განლაგებული.
8.6	დამატებითი მონაცემები -
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით - საბადოზე B კატეგორიის მარაგები დაძიებულია ქსელით 200 x 200 მ-ზე, ხოლო C ₁ კატეგორიისა 400 x 400 მ-ზე.
9.2	საძიებო სამუშაოები - თხრილები, შურფები, ჭაბურღილები, შტოლნები.
9.3	დასინჯვა - აღებულია დარული და კერნული, აგრეთვე ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური სინჯები.
9.4	<p>ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები - შქმერის საბადოზე გამოყოფილია კარბონატული და დაქანვული მადნები. კარბონატული მადანი ოლითური, მასიურია, იშვიათად ფოროვანი. შედგება კარგად გამოხატული კარბონატული ოლითებისაგან ზომებით 1-2 მმ-დან 5-6 მმ-მდე, იშვიათად 10 მმ. კარბონატული მადნიანი მინერალების გავრცელება რაიმე კანონზომიერებას არ ემორჩილება. დაქანვული მადანი ძირითადად შეიცავს ვერნადიტ-ფხილოშელანის შედგენილობის მანგანუმის მინერალებს. მადნის ცემენტია თიხა-სილიკატური, მანგანუმის და რკინის მიდროქანგებით გაქვნილი მასალა.</p> <p>მადნების მინერალური შედგენილობა:</p> <p>მოკვარი მადნიანი მინერალები - როდოქროზიტი, მანგანოკალციტი, ფხილოშელანი, მეორე რიგის მადნიანი მინერალები - ვერნადიტი, რანსიტი, მანგანიტი, პირიტი, მარკასიტი, იშვიათი მადნიანი მინერალები - ჰემატიტი, პეტიტი, პიდროპეტიტი, პიდროპემატიტი, პირტინი, რუტილი.</p> <p>არამადნეული მინერალები - კალციტი, ქალცედონი, კვარცი.</p>
9.5	პიგენტურ-რადიაციული კვლევა და შედეგები - არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო - მეტალურგიულ წარმოებაში
9.7	დამატებითი მონაცემები -
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის ფართის დაძიების ხარისხი (სტადია) - ძიება, კვლავდაძიება
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში - 229120 მ ²
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები -
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი -
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) -
10.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები - არ ფიქსირდება
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები -

10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – დამაკმაყოფილებელი.
11.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე გეოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი
11.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის ტოპოგრაფია – გამოშუშავების მომენტისათვის საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფია.
12	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – წიაღითსარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის საშუალომთიან ზონაში და მოიცავს მთის მასივებსა და სერებს შორის არსებულ მცირე განხორციელების მქონე პლატოს, რომლის რელიეფი ტალღობრივი და უსწორმასწორო ხედაპირით გამოირჩევა და საფეხურებრივად ეშვება მდ. ხეურისა და მდ. ჭარნათისწყლის კალაპოტების მიმართულებით. პლატოს ხედაპირი ნაწილობრივ დაფარულია ბუნქნარითა და მადალბაღახოვანი მცენარეებით.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია – წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს (ვარცვლი და შესამუქული ახაკის ნაღებები (კირქვები, ქვიშაქვები, კვარციანი ქვიშები), რომლებიც შემოდან გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის ნიადაგის ფენით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) – წიაღითსარგებლობის ობიექტის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები – მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა – არ საჭიროებს.
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები – <ol style="list-style-type: none"> 1. წიაღითსარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. გამომდინარე ობიექტის ფართობის ხიდიდიდან, ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება მიხანშეუწონდად მიგვანნია. ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, ლიცენზიანტმა შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში (როგორც სალიცენზიო პირობა) თავად უნდა უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება; 4. ობიექტის შესწავლის დროს უნდა მოხდეს მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა; 5. ობიექტი ნაწილობრივ კვეთს “ხურმუხეტის ქსელის” ტერიტორიას; შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; 6. შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 7. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-5) გათვალისწინებით ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემა დასაშვებია.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – გ. გერსამია, გ. თაბაგარი, გ. კუჭუხიძე, რ. ხოჯაევა
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1962 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – №11064

შემსრულებლები:

ს. მკალაღიშვილი, ნ. ხომასიძე, გ. ბაქანიძე, მ. ქიმუცაძე, გ. ბუცხრიკიძე, ნ. გუგავა

შეთანხმებულია,
სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი




მერაბ ჩალაიაშვილი



საქართველოს მთავრობის ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 842 2021 წლის 27 მაისი ქ. თბილისი



სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის
გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის
გაცემის თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 1³ პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემაგალ სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის განსაზღვროს დამატებითი სალიცენზიო პირობები, რომელთა თანახმად ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:

ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore

Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) შესწავლის პერიოდში, ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ ლარის ოდენობის ინვესტიცია;

გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდისა და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ან შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში

შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ

საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;

ე) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ვ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული

ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

ზ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად, უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

თ) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;

ი) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის კერძო მესაკუთრესთან შეთანხმებით;

კ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

2. სახელმწიფო უფლებამოსილია, ამ განკარგულებით გათვალისწინებული სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ან ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა შესაძლებელია, განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ლარიბაშვილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9717/01
15/10/2020

9717-01-2-202010151430



სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი წერილის (#22/6815 21.09.2020) კასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიიდან 0.6 ჰექტარი ემთხვევა რაჭა 4-ის (GE0000042) ზურმუხტის დამტკიცებულ ტერიტორიას. ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, ნებართვის/ლიცენზიის გაცემის შემდეგ, საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #01/3329 13.10.2020) აღნიშნული ტერიტორიის აღმოსავლეთით მიედინება მდინარე ხეური, რომლის სიგრძე შეადგენს 13 კმ-ს, დასავლეთით მდინარე ჩარნათის წყალი, სიგრძით 3 კმ.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მე-2 მუხლი 2. პ.4.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19. პ.2.) და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილების (მუხლი 4. პ.1.) თანახმად: „წყლის ობიექტებში და წყალდაცვით ზოლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე



სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ: ნანა ზამთარაძეს

ირაკლი ნოზაძის

პ.ნ.

ტელ:

განცხადება

როგორც მოგეხსენაბთ, თქვენს წარმოებაშია ონის მუნიციპალიტეტში სოფელ შქმერში მანგანუმის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე ჩემი განაცხადი (ID-15637). გაცნობებთ, რომ არ ვეთანხმებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოში“ დაცულ ინფორმაციას მანგანუმის მარაგებთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ შესწავლა მოპოვების ლიცენზია.

პატივისცემით:



/ირაკლი ნოზაძე/

საქართველო

ონის მუნიციპალიტეტის
მერია



GEORGIA

Oni municipality
city hall

N 04-2984
29/09/2020

2984-02-2-202009291823



სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა თქვენი წერილი (N22/6813; 21.09.2020) თანდართული მასალით, რომელიც შეეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს.

აღნიშნულის შესახებ გაცნობებთ, რომ ონის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია წამოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის შესაბამისად მოხდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა.

პატივისცემით,

დავით ჩიკვაძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი





KA021784427767221

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/12531

10 / მარტი / 2021 წ.

სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოსული თქვენი 21.09.2020წ. № 22/6814 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის იმ ფართს, რომელზეც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოებები მიწის ნაკვეთზე უფლებათა სპორადულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, წერილში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაიცეს ლიცენზია, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებული იქნება შესაბამის სუბიექტებთან, მოსარგებლე პირებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სააგენტო, გარდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე საქმისწარმოებების კონტურში მოქცეული მიწის ნაკვეთებისა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, თქვენს მიერ ზემოხსენებულ კორესპონდენციაში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:

- ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

- ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას;

- სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.

ამ პირობების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში ლიცენზია ჩაითვლება აუცილებელი თანხმობის გარეშე გაცემულად.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე



საქართველო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 317/ს

2014 წლის 09 აპრილი

(ლიცენზიის უწყებრივ-სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „Feroex“-ს, ს/მ 406 087 960;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს შტოს 2014 წლის 09 აპრილის №317/ს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №1-1/2620 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 05 აგვისტოს №1-1/1343 ბრძანებები.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: ონის

მინისტრის განკარგულებაში, სსიპ „ქვემო ქართლი“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

„ქვემო ქართლი“ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე;

K-38-51-1-6 ნოტიანი ქვიშაქვის ტოპოგრაფიული რუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მინისტრის განკარგულებაში მდებარეობს ფართობი - 4,42 კა.

მოსაპოვებელი რუსურის სახეობა და მოცულობა: _____

„ქვემდის“ განგანუხის ჯამური მოსუვაა - 5 000 ტონა: _____

სალიცენზიო პირობები: _____

განსაზღვრულა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 09
დეკემბრის №317/ს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის
18 ნოემბრის №1-1/2620 ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: — 20 წელი, — 09.12.2014 დან — 18.11.2028 მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“
უფლებიანი ადგენელი



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე

[Handwritten signature]
სელმინერა

ბ.ა.

დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
დაბამხადებელი: შპს „გორმა“
ს/ს სოფლისტრადის №23-4000



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო



KARR0171327982614

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 317/ს

09 / დეკემბერი / 2014 წ.

შპს „რუსმეტალი“-ზე (ს/კ 216406306) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №101054 ლიცენზიის ნაწილის შპს „Feroex“-ზე (ს/კ 406087960) საკუთრებაში გადაცემის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7³ მუხლის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ნაწილის გადაცემის შესახებ“ შპს „რუსმეტალი“-ს და შპს „Feroex“-ს შორის გაფორმებული 25.11.2014წ. ხელშეკრულების, შპს „რუსმეტალი“-ს და შპს „Feroex“-ის განცხადებების (№871 №872 01.12.2014წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ შპს „რუსმეტალი“-ზე გაცემული №101054 სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ნაწილი (მიწისა და სამთო მინაკუთვნი საერთო ფართობით 4,42 ჰა. განსაზღვრულია X და Y კოორდინატების ფარგლებში ამ ბრძანების დანართის შესაბამისად) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის ტერიტორიაზე, 5000 ტონა „შქმერის“ მანგანუმის მოპოვება გადაეცა შპს „Feroex“-ს 2028 წლის 18 ნოემბრამდე მოპოვების უფლებით;
2. დაეკლოს შპს „Feroex“-ს შპს „მეტექს“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №1-1/2620 ბრძანებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაეკლოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანა და შპს „Feroex“-ზე სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების შესაბამისად;
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (თბილისი, გულუას ქ. №6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილება - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

U

გივი ჩოჩია



დანართი (1 გვ)

დამტკიცებულია
სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის
2014 წლის "-----" № 77 / ბრძანებით



ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის ტერიტორიაზე, „შქმერის“ მანგანუმის
მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

№	X	Y
1	370800	4704886
2	370912	4704916
3	370912	4704516
4	370793	4704522
S-4.42 ჰა		

კ-38-51-1-6
 ხიმქსკლავურის 1:10 000 მასშტაბის
 ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

Харцишвили

1941,6




სამთი მანკეთეხის საზღვრები
 ონის მუნიციპალიტეტში სოფ. შქვერის
 მიმდებარე ტერიტორიაზე სახარკებლო
 წაღისიულოთ (მანკანემზე) საზღვრებლო
 ობიექტისათვის კუთხვია წყრობის
 კოორდინატები

№	X	Y
1	370800	4704886
2	370912	4704916
3	370912	4704516
4	370793	4704522

S = 4,42 კა

WGS 1984



ინფორმაცია წიაღისეულის საბადოს ობიექტის შესახებ
(სრული პაკეტი)

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																														
1	საბადოს (მადანგამოვლინების) დასახელება – შქმერის მანგანუმის საბადო																														
2	საბადოს (მადანგამოვლინების) გენეტიკური ტიპი – ქიმიური დანალექი																														
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი – მეტალურგიული ნედლეული																														
4	საბადოს (მადანგამოვლინების) მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																														
4	რეგიონი – რაჭა-ლეჩხუმი																														
5	ადმინისტრაციული რაიონი – ონის რაიონი																														
6	უახლოესი დასახლებული პუნქტი – სოფ. შქმერი																														
7	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან – ქ. ონიდან სამხრეთით 14-15 კმ-ში																														
8	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან – სამხრეთით 100 მ (უმოკლესი მანძილი)																														
9	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან და სანაპირო ზოლიდან – სახ. საზღვრიდან სამხრეთ-დასავლეთით 28-29 კმ (უმოკლესი მანძილი)																														
10	მანძილი უახლოესი ხიდიდან –																														
11	მდინარის აუზის (ან მთათა სისტემა) – მდ. რიონის აუზი																														
12	საბადოს (მადანგამოვლინების) რაიონის ნომენკლატურა K-38-51-G-b და ხაზოვანი კოორდინატები – ობიექტის კუთხეთა წვეროების კოორდინატები განსაზღვრულია და დატანილია 1:25000 მასშტაბის ტოპორუკაზე სსიპ “სივრცული ინფორმაციის ცენტრის” მიერ: <table border="1" style="margin-left: auto; margin-right: auto;"> <thead> <tr> <th>N°</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>368996</td> <td>4704615</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>369201</td> <td>4705357</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>369876</td> <td>4705147</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>370039</td> <td>4704915</td> </tr> <tr> <td>5</td> <td>370300</td> <td>4704753</td> </tr> <tr> <td>6</td> <td>370912</td> <td>4704916</td> </tr> <tr> <td>7</td> <td>370912</td> <td>4704516</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">S = 86,06 კა</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table>	N°	X	Y	1	368996	4704615	2	369201	4705357	3	369876	4705147	4	370039	4704915	5	370300	4704753	6	370912	4704916	7	370912	4704516	S = 86,06 კა			WGS 1984		
N°	X	Y																													
1	368996	4704615																													
2	369201	4705357																													
3	369876	4705147																													
4	370039	4704915																													
5	370300	4704753																													
6	370912	4704916																													
7	370912	4704516																													
S = 86,06 კა																															
WGS 1984																															
13	საბადოს (მადანგამოვლინების) აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან – 1670-1700 მ																														
14	კლიმატური პირობები – ზომიერად ნოტიო																														
15	მეურნეობის ტრადიციული მიმართულებები – სოფლის მეურნეობა, მესაქონლეობა																														
16	სათბობ-ენერგეტიკული რესურსები – შემოსაზიდა																														
17	სხვა წიაღისეული – ჩორდის ბარიტის, კვაიშურას გაბრო-დიაბაზის, წედისის																														

	მარმარილოსებრი კირქვის, ბაჯიხევის სააგურე თიხისა და თაბაშირის საბადოები და სხვ.
18	სასმელი და ტექნიკური წყალი – ბუნებრივი წყაროებიდან და მდ. ჭარნათისწყლიდან
19	მუშახელი – ადგილობრივი
20	დამატებითი ცნობები –
	სატყეო რესურსები
21	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიები –
22	საკურორტო ზონის ტყე და მწვანე ზონის ტყე –
23	სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლი –
24	ჭალის ტყე –
25	სუბალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრი სიგანის ტყის გავრცელების არეალი –
26	უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტარამდე სიდიდის ტყის უბანი –
27	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში –
28	თოვლის ზედაფენისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლი –
29	ტყის უბანი, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეები, აგრეთვე ტყის უბნებში, რომელთაც აქვთ სპეციალური სამეურნეო დანიშნულება (ტყის მეთესლეობის, თაფლის მომცემი მცენარეების და სხვა) –
30	დასასვენებელი სახლების, პანსიონატებისა და სამკურნალო დაწესებულებების, აგრეთვე მინერალური წყაროების ირგვლივ 1 კმ რადიუსში არსებული ტყის უბანი (მანძილი იზღუდება წყალგამყოფით) –
31	მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ (კალაპოტიდან) 300 მეტრამდე სიგანის ნაპირდამცავი ტყის უბანი –
32	ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშაღების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლი –
33	რკინიგზებისა და საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისადაც) 100 მეტრამდე სიგანის ტყის ზოლი –
34	ტერიტორია სადაც გათვალისწინებულია ტყითსარგებლობა რეკრეაციული მიზნების განსახორციელებლად –
35	20 ⁰ -ზე მეტი დაქანების ფერდობი –
36	სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია, სადაც 1 ჰა-ზე არსებული მერქნული რესურსის მარაგი აღემატება 50 მ ³ -ს –
37	სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია, სადაც მიმდინარეობს ტყის ბუნებრივი განახლების შეუქცევადი პროცესი –
38	სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორია, რომლის ფართობის 50%-ზე მეტი დაფარულია ბუჩქნარით –
39	სახელმწიფო ტყის ფონდის იმ ტერიტორიაზე, სადაც გაცემულია ხე-ტყის დამზადების

	სპეციალური ლიცენზია ან სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია ან ტყითსარგებლობის გენერალური ლიცენზია –
40	რეგიონალური სატყეო სამმართველო –
41	სატყეო უბანი (ყოფილი სატყეო) სარეინჯეროს № –
42	კვარტალ(ებ)ი № –
43	ლიტერ(ებ)ი № –
44	ლიტერის ან ლიტერების საერთო ფართ(ებ)ი –
45	მათ შორის ტყით დაფარული, ჰა –
46	მათ შორის ტყით დაუფარავი, ჰა –
47	გაბატონებული ჯიშები –
48	ზეზემდგომი ხე-ტყის მოცულობა, და სახეები სანიმუშო ფართობზე –
49	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები –
	საბადოს (მადანგამოვლინების) რაიონის გეოლოგიური პოზიცია
50	გეოტექტონიკური-მეტალოგენიური პოზიცია – გაგრა-ჯავის ზონის ამხარა-მუხურის ქვეზონის სეკმენტისა და ამიერკავკასიის მთათაშუა ოლქის, ცენტრალური აზეგების ზონის, ოკრიბა-ხრეთის ქვეზონის, შაორის ბლოკის შეხების ზოლი. რაჭის სინკლინორიუმის სამხრეთი ფრთა.
51	<p>გეოლოგიური აგებულება – შქმერის საბადოს რაიონს მნიშვნელოვანი ტერიტორია უკავია მდ. რიონისა და ყვირილას შორის და განცალკევებულია ჭიათურის მანგანუმის საბადოსაგან ეროზიით გახსნილი ბაიოსის ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნების გავრცელების ფართობით.</p> <p>რაიონის რელიეფი ცენტრალურ ნაწილში წარმოადგენს მაღლა აზიდულ განედურ, შქმერის ცარცულ სინკლინურ ზეგანს, რომელიც ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან შემოსაზღვრულია ცარცული კირქვების ციცაბო კარნიზებით. ზეგანი დასავლეთის მიმართულებით ფართოვდება რამდენიმე კილომეტრამდე. ზეგანის ჩრდილოეთით განვითარებულია ზედაიურული და მესამეული თიხიან-ქვიშიანი ნალექები, რომლებიც დამრეც რელიეფს ქმნიან. შქმერიდან სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულია ბაიოსის პორფირიტული წყება. რაიონის დასავლეთ ნაწილში, მესამეული სინკლინის გულში ნამანევის შემადღებული ბაზალტური ზეგანია.</p> <p>გეოლოგიური ჭრილი საბადოს რაიონში ქვევიდან ზევით ასეთია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ბაიოსი – ვულკანოგენურ – დანალექი წყება; - ბათური – რაიონში გაშიშვლებული არ არის, მაგრამ შაორის ნახშირშემცველ მოედანზე დგინდება ბურღვითი სამუშაოებით; - ზედა იურული (კალოვიურ-ლუზიტანური იარუსები) მერგელოვანი თიხები და ქვიშაქვები, მერგელოვანი კირქვები, მასიური რიფული კირქვები, უფრო ზევით განლაგებულია ფერადი წყება (კამერიჯი-ტიტონი); - ცარცული – არკოზული ქვიშები და კონგლომერატები, ქვიშიანი და დოლომიტიზირებული სქელშრეებრივი კირქვები (ვალანჯინი-პოტრიული),

	<p>სქელშრეებრივი და შრეებრივი კირქვების შრენარი (ბარემული იარუსი), მერგელოვანი კირქვები (ბარემი-აპტი), თეთრი ფერის კირქვები და მერგელები (აპტური იარუსი), მოცისფრო თიხიანი მერგელები და მერგელოვანი თიხები (ალბური იარუსი), გლაუკონიტიანი ქვიშები, კაუიანი კირქვები და არგილიტები (სენომანი), თეთრი შრეებრივი კირქვები (ტურონი), „მთავრის“ წყების ვულკანოგენური წარმონაქმნები ბაზალტური ქანების ზეწრებით და გამკვეთი სხეულებით, კირქვების ღინზებით და შუაშრეებით (ზედა ტურონი), კირქვები წითელი და თეთრი ფერის ბენტონიტური თიხის შუაშრეებით, სქელშრეებრივი კირქვები (დანიური იარუსი);</p> <ul style="list-style-type: none"> - პალეოცენი - კირქვები; - ეოცენი - თიხიანი და კირიან-ქვიშიანი მერგელები, ქვიშიანი კირქვები; - ოლიგოცენ - ქვედა მიოცენური მანგანუმის შემცველი ქანები - ქვიშიანი და მაიკოპის წყების თიხიანი ფაციესები და ამ ფაციესებს შორის განლაგებული მანგანუმიანი პროდუქტული წყება; - მეოთხეული - ალუვიური, დელუვიური წარმონაქმნები და გამოტანის კონუსები.
	<p>საბადოს (მადანგამოვლინების) გეოლოგიური პოზიცია</p>
<p>52</p>	<p>მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება (სტრატეგრაფია, ლითოლოგია, პიდროგეოლოგია და სხვ.) - შქმერის მანგანუმის საბადო სამი უბნისაგან შედგება - შქმერი, კოლოსი-ბლაშე და მელაშური. პირველი ორი შქმერის ცარცული სინკლინური დებრესიის ფარგლებში მდებარეობს, ხოლო მესამე - მელაშურის უბანი მათგან სამხრეთით მდ. ჯრუჭულას ხეობაშია განლაგებული.</p> <p>სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს შქმერის უბნის, ჭარნათის ქვეუბანის ტერიტორიაზე, რომელიც განლაგებულია მდ. ჭარნათისწყალის ხეობის აღმოსავლეთ ნაპირზე.</p> <p>საბადოს ფარგლებში, ზედა ცარცული ტერონული იარუსის კირქვებზე და „მთავრის“ ვულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ არის განლაგებული ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექები, რომლებიც შქმერის სინკლინის მუდღას აგებს.</p> <p>ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექების ფუძეში განლაგებულია მსხვილ- და საშუალომარცვლოვანი კვარც-არკოზული ქვიშები და ქვიშაქვები, კირქვისა და კაუს ქვარგვალეებით. ნალექების სიმძლავრე მერყეობს რამდენიმე სანტიმეტრიდან 8-10 მ-დე (მატულობს აღმოსავლეთი მიმართულებით). კვარც-არკოზული ქვიშაქვების ზედა პორიზონტები გაუღუნთილია მანგანუმის ქანგულებით და უფრო ზევით გადადის პროდუქტულ პორიზონტში, რომელიც გადაფარულია მაიკოპის ფაციესის არაკარბონატული ქვიშიანი თიხებით. თიხები ხასიათდება ერთგვაროვნებით, ზედა ნაწილში ქვიშაქვებისა და მერგელების იშვიათი შუაშრეებით. საბადოზე მაიკოპის წყების დიდი ნაწილი ეროზიითაა გადარეცხილი.</p> <p>ოლიგოცენ - ქვედა მიოცენური ქანები სალიცენზიო უბნის გარეთ გადაფარულია საკმაოდ მძლავრი მეოთხეული ალუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით.</p> <p>შქმერის საბადოს მანგანუმიანი პორიზონტის აგებულება და გამადნების ხასიათი ჭიათურის საბადოს დარკვეთისა და სარეკის ზეგნების მადნიანი წყებების იდენტურია.</p>

	<p>მანგანუმიანი ჰორიზონტი საბადოზე წარმოადგენს დაქანგული და კარბონატული მადნების შრეების სერიას, რომელიც ასევე მორიგეობს ქვიშიან თიხებთან და კვარციან ქვიშაქვებთან. მადნიანი შუაშრეების რიცხვი წყებაში 3-დან 10-12-ია. ცალკეული შუაშრის სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა. მანგანუმიანი ჰორიზონტის ჯამური სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.</p> <p>მანგანუმის მადანი ზედაპირზე გამოსავლებში დაქანგული ან ნაწილობრივ დაქანგულია, სიღრმეში კარბონატულია, მარცვლოვანი (ოლითური) ან მასიურია, ზოგჯერ ფოროვანი. ოლითების ზომები 1-2 მმ-ია, იშვიათად 10 მმ-დე დიამეტრში. მადანთშორისი თიხებისა და ქვიშაქვების შუაშრეების სიმძლავრე სალიცენზიო უბანზე არ აღემატება 0,5 მ-ს, ზოგან კი საერთოდ არ გვხვდება.</p> <p>მანგანუმიანი ჰორიზონტის ფუძეში ქვიშაქვები გაქლენთილია მანგანუმის ქანგეულით ან კარბონატით. ამ ქანების სიმძლავრე მაქსიმუმ 2,0-2,5 მ-ია.</p> <p>მანგანუმიან ჰორიზონტში, სიღრმის მიმართულებით, აღინიშნება გამადნების ხასიათის ცვლილება – დაქანგული მადნები სწრაფად იცვლებიან კარბონატულით. ასევე, სიღრმის გაზრდასთან ერთად, მატულობს შრეთაშორისი უმადნო ინტერვალები. სიღრმეში, 10 მ-ის ქვემოთ, მადნების ქანგვა აღინიშნება მხოლოდ ნაპრალებისა და დაშრეების გასწვრივ, ამათ ქვემოთ კი, მანგანუმის კარბონატული მადნებია გავრცელებული.</p> <p>შქმერის საბადოს მადნების ძირითადი მასა კარბონატულია, რომელიც გამოსავლებზე დაქანგულია. ზედაპირზე გაშიშვლებული კარბონატული მადანი თითქმის არ გვხვდება. ჭარნათის უბანზე დაქანგული მადნები ძლიერ მოგვაგონებენ პირველად (პეროქსიდულ) მადნებს.</p> <p>სალიცენზიო ჭარნათის უბანზე მანგანუმიანი ჰორიზონტი აწეულია და ნაწილობრივ გადაყირაებულია სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, რის გამოც მადნიანი მასის ნაყარი ფარავს მაიკოპის თიხიან წყებას. საერთოდ, მანგანუმის ჰორიზონტისთვის დამახასიათებელია ტალღობრივი ზედაპირი, შრეები უმნიშვნელოდ იღუნება და ასევე იძირება მცირე სიღრმეზე. უბანზე, მიუხედავად დაძირვისა, მანგანუმიანი ჰორიზონტი მაინც ყოველთვის მდინარის ბაზისის მალღა რჩება.</p> <p>უბნის დასავლეთ ნაწილში გადასახსნელი ქანების სიმძლავრე 20-35 მ-ია, საშუალოდ 17 მ, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში – 1-25 მ, საშუალოდ – 13 მ.</p>
53	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ფენობრივი
54	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – სალიცენზიო ობიექტის ფარგლებში მანგანუმიანი ჰორიზონტი მიმართებით გაიდევნება 1750 მ-ზე, ხოლო დაქანებაზე – 530-200 მ.
55	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – სალიცენზიო ობიექტზე მანგანუმიანი ჰორიზონტის სიმძლავრე ცვალებადობს 0,50-2,65 მ-ს შორის და საშუალოდ შეადგენს 1,21 მ-ს.
56	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი – მადნიანი ჰორიზონტი ობიექტის სამხრეთ ნაწილში ვარდება ჩრდილოურ რუმბებში 5-10 ⁰ კუთხით, ხოლო ჩრდილო

	ნაწილში – სამხრეთულ რუკებში იგივე ვარდნის კუთხით.
57	დამატებითი მონაცემები –
	საბადოს (მადანგამოვლინების) შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
58	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – საბადოზე B კატეგორიის მარაგები დაძიებულია ქსელით 200 x 200 მ-ზე, ხოლო C ₁ კატეგორიისა 400 x 400 მ-ზე.
59	საძიებო სამუშაოები – თხრილები, შურფები, ჭაბურღილები, შტოლნა
60	დასინჯვა – აღებულია ღარული და კერნული, აგრეთვე ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური სინჯები.
61	<p>ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები (პეტროგრაფიულ-მინერალოგიური – გრანულომეტრიული; ქიმიური შედგენილობა; ფიზიკო-მექანიკური თვისებები) – შქმერის საბადოზე გამოყოფილია კარბონატული და დაქანგული მადნები. დადგენილია, რომ მანგანუმიანი ჰოროზონტის გამოსავალთან ზედაპირზე თითქმის ყველგან გვხვდება დაქანგული მადანი, რომელიც კარბონატული მადნების ჟანგვის ხარჯზეა წარმოქმნილი. კარბონატული მადანი ოლითური, მასიურია, იშვიათად ფოროვანი. შედგება კარგად გამოსატული კარბონატული ოლითებისაგან ზომებით 1-2 მმ-დან 5-6 მმ-მდე, იშვიათად 10 მმ. კარბონატული მადნიანი მინერალების გავრცელება რაიმე კანონზომიერებას არ ემორჩილება. დაქანგული მადანი ძირითადად შეიცავს ვერნადიტ-ფსილომელანის შედგენილობის მანგანუმის მინერალებს. მადნის ცემენტია თიხა-სილიკატური, მანგანუმის და რკინის ჰიდროქსიდებით გაჟღენთილი, მასალა. მადნების მინერალური შედგენილობაა:</p> <ul style="list-style-type: none"> – მთავარი მადნიანი მინერალები – როდოქროზიტი, მანგანოკალციტი, ფსილომელანი – მეორე რიგის მადნიანი მინერალები – ვერნადიტი, რანსეიტი, მანგანიტი, პირიტი, მარკაზიტი – იშვიათი მადნიანი მინერალები – ჰემატიტი, ჰეტიტი, ჰიდროჰეტიტი, ჰიდროჰემატიტი, პიროტინი, რუტილი. – მთავარი არამადნეული მინერალები – კალციტი, ქალცედონი, კვარცი. – მეორე რიგის არამადნეული მინერალები – გალაუკონიტი. <p>მთავარი სამრეწველო მინერალებია როდოქროზიტი, მანგანოკალციტი და ფსილომელანი.</p> <p>როდოქროზიტ-კალციუმიანი და როდოქროზიტ-მანგანოკალციტის რიგის მინერალები ქმნიან სფეროლითებს, რომელთაც ახლავთ უფრო გვიანდელი როდოქროზიტის არშია. ისინი კალციტთან ერთად წარმოქმნიან მანგანუმის კარბონატულ მადნებს. ამ უკანასკნელთა დაქანგვით ვდებულობთ დაქანგულ მადნებს.</p> <p><u>მადნების ქიმიური შედგენილობა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> – კარბონატული მადნები: SiO₂-14,4%; Al₂O₃- 3,5%; Fe₂O₃ -1,5%; CaO-19,0%; MgO - 2,5%; P₂O₅-0,14%; S საერთო – 0,53. – დაქანგული მადნები: SiO₂-22,7%; Al₂O₃- 10,93%; Fe₂O₃ -3,29%; FeO -1,5%; CaO-3,1%;

	<p>MgO -0,25%; P₂O₅ -0,13%; S საერთო – 0,08%.</p> <p><u>მანგანუმის საშუალო შემცველობა მადანში (საბადოზე):</u></p> <ul style="list-style-type: none"> - კარბონატული მადნები – 21,6%; - დაქანებული მადნები – 28,41%; <p><u>მადნების მოცულობითი წონა:</u></p> <ul style="list-style-type: none"> - დაქანებული მადნები – 2,0; - კარბონატული მადნები – 2,4. <p>მადნების ტექნოლოგიური თვისებები შესწავლილია წონით 10-15 კგ-იანი 36 ლაბორატორიული და 150-200 კგ-იანი 7 ტექნოლოგიური სინჯით მანგანუმის 15,37%-დან 41%-მდე შემცველობით მადნებში. დადგინდა, რომ შქმერის საბადოდან შესაძლებელია ფერომანგანუმის მიღება მანგანუმის 76-78% შემცველობით, ფოსფორის სახსტანდარტის ნორმით დაშვებულზე ნაკლები შემცველობით. ამავე დროს დადგინდა, რომ შქმერის მადნები ქიმიური და მინერალური შედგენილობით, ფიზიკო-მექანიკური და მეტალურგიული თვისებებით ანალოგიურია ჭიათურის მადნებისა.</p>
62	ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – შესწავლილი არ არის
63	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – სამშენებლო ინდუსტრიაში
64	დამატებითი მონაცემები – მეტალურგია – ფერომანგანუმის მიღება.
	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები და პროგნოზული რესურსები
65	საბადოს (მადანგამოვლინების) ფართის დაძიების ხარისხი (სტადია) – ძიება, კვლავდაძიება
66	საბადოს ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – C ₁ კატეგორიის მარაგებისთვის 43,92 კა.
67	<p>მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები –</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დადგენილია შემდეგი კონდიციები: <ul style="list-style-type: none"> - სამრეწველო მადანი – მანგანუმის შემცველობა მადანში არანაკლებ 17%-ისა; 2. მადნიანი პორიზონტის ფართობი (ბლოკებში); 3. მადნიანი პორიზონტის სიმძლავრე ცალკეულ ბლოკში; 4. მადნის მოცულობითი წონა: <ul style="list-style-type: none"> - დაქანებული მადნები – 2,0; - კარბონატული მადნები – 2,4. 5. ბლოკში მანგანუმის საშუალო შემცველობა; 6. სალიცენზიო ობიექტისთვის მანგანუმის საშუალო შემცველობა შეადგენს: <ul style="list-style-type: none"> დაქანებული მადნები – 26,11%; კარბონატული მადნები – 21,62%.
68	მარაგების გამოთვლის მეთოდი – გეოლოგიური ბლოკების მეთოდი
69	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) – სალიცენზიო ობიექტზე დათვლილია

	<p>მანგანუმის მადნის მარაგები C₁ კატეგორიაში, მათ შორის დაქანებული და კარბონატული (პირველადი) მადნებისთვის ცალ-ცალკე და ჯამურად:</p> <p><u>დაქანებული მადნები:</u></p> <p>C₁ კატეგორია: მადანი – 301172 ტ.; მანგანუმი – 78639 ტ.; (მანგანუმის საშუალო შემცველობა – 26,11%);</p> <p><u>კარბონატული მადნები:</u></p> <p>C₁ კატეგორია: მადანი – 505926 ტ.; მანგანუმი – 109372 ტ.; (მანგანუმის საშუალო შემცველობა – 21,62%);</p> <p><u>ჯამურად, ორივე ტიპის მარაგები შეადგენს:</u></p> <p>მადანი – <u>807098</u> ტ.; მანგანუმი – <u>188011</u> ტ.;</p> <p><u>გარდა ამისა, საბადოზე დათვლილია ბალანსგარე მარაგები:</u></p> <p><u>დაქანებული მადნები:</u></p> <p>C₁ კატეგორია: მადანი – 139832 ტ.; მანგანუმი – 28347 ტ.; (მანგანუმის საშუალო შემცველობა – 20,27%);</p> <p><u>კარბონატული მადნები:</u></p> <p>C₁ კატეგორია: მადანი – 143756 ტ.; მანგანუმი – 21003 ტ.; (მანგანუმის საშუალო შემცველობა – 14,61%);</p> <p>ჯამურად, ორივე ტიპის ბალანსგარე მარაგები შეადგენს:</p> <p>მადანი – <u>283588</u> ტ.; მანგანუმი – <u>49350</u> ტ.</p>
70	მარაგების სტაბილურობა (ინერტული ნედლეულის შემთხვევაში მასალით გამოძუშავებული ფართობის შევსებადობის ხარისხი) – მარაგები საიმედოა
71	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები – არ ფიქსირდება
72	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები – შეზღუდულია
73	დამატებითი მონაცემები – სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დაზუსტების უწყებათაშორისი კომისიის 30. 08. 72 წლის №32 გადაწყვეტილებით, შქმერის საბადოს

	მარაგები მთლიანად იქნა გადაყვანილი ბალანსგარე მარაგებად.
	საბადოს (მადანგამოვლინების) დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობები
74	საბადოს (მადანგამოვლინების) დამუშავების ჰიდროგეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები – დამაკმაყოფილებელია
75	საბადოს (მადანგამოვლინების) დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი. დასავლეთ ნაწილში გადასახსნელი ქანების საშუალო სიმძლავრეა 17 მ, მაქსიმალური სიმძლავრეა 40 მ, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში – 13 მ, მაქსიმალური – 25 მ. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების აუცილებელი პირობაა გარემოს ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვა, რომელსაც უზრუნველყოფს ლიცენზიანტი
76	საბადოს (მადანგამოვლინების) ტოპოგრაფია – გამომუშავების მომენტისათვის საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა და მასალები ჩაბარდეს სსიპ „სივრცული ინფორმაციის ცენტრს“.
77	საბადოს (მადანგამოვლინების) მზაობის ხარისხი დამუშავებისათვის – საბადო მზადაა დასამუშავებლად
78	დამატებითი პირობები – გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
79	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – 1. ავტორები: გ. გერსამია, ვ. თაბაგარი, გ. კუჭუხიძე, რ. ხოჯაევა; 2. საბადოს პასპორტი
80	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1. „საქგეოლოგია“, 1962 წ.; 2. „საქგეოლოგია“, 1981 წ.
81	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – 1. № 11064; 2. A – №4
	გრაფიკული მასალა მითითებული საინფორმაციო წყაროდან (ლიცენზიანტის მოთხოვნის შემთხვევაში)
82	საბადოს (მადანგამოვლინების) სქემატური გეოლოგიური რუკა –
83	მარაგების ანგარიშის სქემა –
84	საბადოს (მადანგამოვლინების) სახელმძღვანელო ჭრილი –

დირექტორის მოვალეობის

შემსრულებელი

გივი მურვანიძე

შემსრულებლები:

ეკატერინე ბაქანიძე

ლევან ჯავახიშვილი

ივანე კონნაკოვი

გიორგი კაპანაძე



საქართველო

საქართველოს ბარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბარემოს ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№

2014 წლის „09“ „დეკემბერი“

(ლიცენზიის უწყებრივ ხალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გატემულია შპს „რუსმეტალ“-გე, ს/კ 216 406 306;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:

სსიპ ბარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 09 დეკემბრის №316/ს და №317/ს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №1-1/2620 და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 05 აგვისტოს №1-1/1343 ბრძანებები.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: 0,5 ჰა

მუნიციპალიტეტში, სოფ. შამგორის ტერიტორიაში,
„შამგორის“ მუნიციპალიტეტის მოქმედა;

K-38-51-ჩ-6 ნომენკლატურის ტოპოგრაფიული რუკა (ლიცენზიის განყოფილი ნაწილი);
მიწისა და საფარი მიწაქვეშის ფართობი - 81,64 ჰა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

„ქაქაბიძის“ განგანაშის ჯამური მოცულობა - 1 056 738 ტონა;

სალიცენზიო პირობები: _____

განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2014 წლის 09 დეკემბრის №316/ს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №1-1/2620 ბრძანებებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: — 20 — წელი, — 05.08.2010 დან — 18.11.2028 — მდე

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“
უფლებიანი წარმომადგენელი



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.

[Handwritten Signature]

ბ.ა.

დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
დამაშავებელი: შპს „ფორმა“
სფს-ს რეგისტრაციის №23-4000



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო



KARR0195385485914

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 316/ს

09 / დეკემბერი / 2014 წ.

„შპს „მეტექს“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №1-1/2620 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 25 აპრილის №93 დადგენილების, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების მე-7¹ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7³ მუხლის, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ნაწილის გადაცემის შესახებ“ შპს „რუსმეტალი“-ს და შპს „Feroex“-ს შორის გაფორმებული 25.11.2014წ. ხელშეკრულების, შპს „რუსმეტალი“-ს და შპს „Feroex“-ის განცხადებების (№871 №872 01.12.2014წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „შპს „მეტექს“-ზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №1-1/2620 ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) შპს „რუსმეტალი“-ს დაუწესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი საერთო ფართობით 81,64 ჰა ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) მანგანუმის ჯამური მოპოვება განესაზღვროს 1 056 738 ტონის ოდენობით;

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში ცვლილებების შეტანა და შპს „რუსმეტალი“-ზე სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების შესაბამისად;

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში საქართველოს გარემოსა

და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (თბილისი, გულუას ქ. N6), ამ ბრძანების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.



სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

გივი ჩოჩია



დანართი (1 გვ)

დამტკიცებულია

სსიპ - გარემოს ეკოლოგიის სააგენტოს უფროსის
2014 წლის "-----" N----- ბრძანებით



ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუმერის ტერიტორიაზე „შუმერის“ მანგანუმის
მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y კოორდინატები

№	X	Y
1	368996	4704615
2	369201	4705357
3	369876	4705147
4	370039	4704915
5	370300	4704753
6	370800	4704886
7	370793	4704522
S=81.64 ჰა		


ჩავიბარე ლიცენზია, რუკა, და ბრძანება

რეკვიზიტები: შპს „სტრუქტოი“

ბინდოპოლი ნიჩი: ხევან, ვინაოქაძე

გავეცანი ბრძანებით გათვალისწინებულ სალიცენზიო პირობებს და ვიღებ
ვალდებულებებს მათ შესრულებაზე

ხელმოწერა:



თარიღი: 10.12.2014

368500

369000


369500

370000

370500

K-38-51-J-6

სომეხკლდეურის 1:10 000 მასშტაბის
ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი



საპროექტო მონიტორინგის საზღვრები
რის მონიტორინგში სომეხკლდეურის
მასშტაბზე ტერიტორიაზე სახარკებელი
ქადაბნეული (მანქანები) სატრეკტორების
იმპლემენტაციის კონსტრუქციების
გორაკებზე

№	X	Y
1	368996	4701615
2	369201	4705357
3	369876	4705147
4	370039	4704915
5	370300	4704753
6	370800	4704886
7	370793	4704522
S = 81,64 ჰა		
WGS 1984		

368500

369000

369500

370000

370500



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთა
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B14115826, 19/11/2014 19:19:24

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს რუსმეტალი
 სამართლებრივი ფორმა: შებენიერი პასუხისმგებლობის საზოგადოება
 საიდენტიფიკაციო ნომერი: 216406306
 რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5/ბ-316; 21/03/2005
 მარეგისტრირებული ორგანო: რუსთავის სასამართლო
 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ.რუსთავი, მარის არხის,174
 დამატებითი ინფორმაცია: ელ. ფოსტა: office@rusmetali.com
 დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭო
 თავმჯდომარე/წევრი: 01024011826, მინდია მინდელი
 თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 62001009934, თემურ მიმინოშვილი
 წევრი: 01024003541, ბიძინა მინდელი

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- გენერალური დირექტორი - 62001009934, თემურ მიმინოშვილი
- დირექტორი - 01008009402, გიორგი ღუღუნიშვილი

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01024003541, ბიძინა მინდელი	3.00000000%	
01024011826, შინდია მინდელი	52.00000000%	
01024002412, ზაზა მამულაიშვილი	39.00000000%	
01019001866, გერონტი ცვარიანი	2.00000000%	
62001009934, თემურ შიმინოშვილი	4.00000000%	

ვალდებულება

ვალდებულების ტიპი: წილზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულება
 მესაკუთრე: **01024003541, ბიძინა მინდელი**
 მესაკუთრე: **01019001866, გერონტი ცვარიანი**
 მესაკუთრე: **62001009934, თემურ შიმინოშვილი**
 საგანი: შპს რუსშეტალი-ს (ს/ნ 216406306) 2012 წლის 10 აგვისტოს კრების ოქმის შესაბამისად (სანოტარო მოქმედების რეგ. №120852220; განცხადების რეგისტრაციის №B12108336).

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყაღაღა/აკრძალვა

- ყაღაღა: **102013099311 17/04/2013 16:42:20**
მამულაიშვილი ზაზა {ს/ნ 01024002412}
 საგანი: არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, 39% წილს შპს 'რუსშეტალი' (ს/ნ **216406306**)
 საფუძველი: განჩინება, N2/4580-13, 15.04.2013, თბილისი საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა **102014325424 14/11/2014 10:58:13**

ზაზა მამულაიშვილი ს/ნ 104939989 პ/ნ 01024002412

საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება

საფუძველი: შეტყობინება, N00631679, 14.11.2014, შემოსავლების სამსახური

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12000948 31/05/2012 17:00:52**
კრედიტორი : სს'თიბისი ბანკი' (საქართველო) 204854595
მესაკუთრე : შპს 'რუსშეტალი' (საქართველო) 216406306
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი)
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 12312339148, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 120562845, 30.05.2012
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12000952 31/05/2012 17:08:09**
კრედიტორი : სს'თიბისი ბანკი' (საქართველო) 204854595
მესაკუთრე : შპს 'რუსშეტალი' (საქართველო) 216406306
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : 'ჩხარი-აჯამეთის' მანგანუმის მოპოვების ლიცენზია №100085, 'შქმერის' მანგანუმის მოპოვების ლიცენზია №101054, 'ჩხარი-აჯამეთის' (ბროლის ქედი) მარგანეცის მოპოვების ლიცენზია №01010 (იხ. გირავნობის ხელშეკრულება).
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 12312344573, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 120562817, 30.05.2012
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12000949 02/07/2012 11:35:35**
კრედიტორი : სს'თიბისი ბანკი' (საქართველო) 204854595
მესაკუთრე : შპს 'რუსშეტალი' (საქართველო) 216406306
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : არსებული და მომავალში შეძენილი/მოპოვებული ყველა და ნებისმიერი მარაგები (სამომავლო მარაგები)
საფუძველი: გირავნობის ხელშეკრულება, 12312339195, ნოტარიუსი მედეა გვაზავა, 120562685, 30.05.2012
- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: **R12001319 26/07/2012 17:25:29**
კრედიტორი : სს თიბისი ბანკი (საქართველო) 204854595
მესაკუთრე : შპს 'რუსშეტალი' (საქართველო) 216406306
საგანი: არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი : მოძრავი ქონება (იხ.



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020195528222921

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 689/ს

03 / ივნისი / 2021 წ.

**სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით
ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლების, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებისა და „სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზიის მიზნით აუქციონის გამართვის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის N841 და N842 განკარგულებების, ლიცენზიის გაცემის სანყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად;
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს სანყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
5. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;
6. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა, №2.).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

ოთარი დანელია



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო**



KA020136952708421

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: 0 32 2 95 00 30

22/7786

12 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტროს

სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში სააგენტო) განიხილა ააიპ „მწვანე ალტერნატივის“, ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრისა და მოქალაქე გრიგოლ გაგნიძის ადმინისტრაციული საჩივარი და მიგვაჩნია, რომ საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნებს წარმოადგენს:

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის N689/ს ბრძანების ბათილად ცნობა;

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანების ბათილად ცნობა;

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანების ბათილად ცნობა.

სააგენტო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული აქტები პასუხობს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

ადმინისტრაციული საჩივრის პირველ მოთხოვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის N689/ს ბრძანების გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაცული იქნა მოთხოვნები, რომელსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა უყენებს წარმოების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საჩივრის ავტორის განმარტებით სააგენტოს მიერ დარღვეული იქნა „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია. კერძოდ ამ კონვენციის ის ნორმები, რომლებიც დაინტერესებულ საზოგადოებას აძლევს ადრეული ინფორმირების, პროცესებში ჩართულობისა და მათი მონაწილეობის შედეგების გათვალისწინების შესაძლებლობას საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აღნიშნულთან დაკავშირებით განვმარტავთ, რომ სააგენტოს მიერ ყოველ კონკრეტულ ობიექტთან მიმართებით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ინფორმაცია მიწოდებული იქნა ყველა შესაძლო დაინტერესებული პირისა და ადმინისტრაციული ორგანოსათვის და უზრუნველყოფილი იქნა მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დანართის სახით დეტალურად წარმოგიდგენთ ყველა დაინტერესებულ უწყებასთან საკითხის შეთანხმების დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, აუქციონის გამოცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ადმინისტრაციულმა ორგანომ უზრუნველყო ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირება საკითხის თაობაზე და მათი ჩართულობა ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. ცალსახაა, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესის მახასიათებელი გარემოზე ზემოქმედების გავლენა და ხასიათი პირველ რიგში აქტუალურია და მნიშვნელოვანი იმ კონკრეტულ ტერიტორიასთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობისთვის, შესაბამისად, მათი ინტერესების გათვალისწინების მიზნით ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხდება თითოეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის მიმართვა და პოზიციის გამოთხოვა კონკრეტული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის პოზიცია არსებითად მნიშვნელოვანია საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რათა გათვალისწინებული იყოს იმ საზოგადოების/მოსახლეობის

პოზიცია, რომელზეც ყველაზე არსებითი გავლენა აქვს წიაღისეულის მოპოვების სამუშაოებს, სააგენტო ყოველთვის უზრუნველყოფს მათ ჩართულობას და ხელმძღვანელობს მოწოდებული პოზიციებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

აღნიშნული პრინციპი დაცული იყო გასაჩივრებული აქტის გამოცემის შემთხვევაშიც. შესაბამისად, სააგენტო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას, რომ არ განხორციელდა დაინტერესებული პირების ინფორმირება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილება ლიცენზიების გაცემის შესახებ მიღებული იქნა მხოლოდ დაინტერესებული პირების/საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციების გათვალისწინებით.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის N689 ბრძანებით დამტკიცდა არა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაცემის გეგმა, არამედ მიღებული იქნა ელექტრონული აუქციონის ჩატარების გადაწყვეტილება და დამტკიცდა აუქციონის ჩატარების მიზნით გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია. ინფორმაცია მოიცავდა სალიცენზიო ობიექტების შესახებ მონაცემებს, ასევე სალიცენზიო პირობებს თითოეული ობიექტისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. როგორც ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, მსგავსი შინაარსის დარღვევას სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ძალაში უნდა დარჩეს 2021 წლის 3 ივნისის N689/ს ბრძანება.

ადმინისტრაციული საჩივრის მეორე მოთხოვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო თვლის, რომ გასაჩივრებული აქტი პასუხობს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი აკმაყოფილებს აქტისთვის განსაზღვრული ფორმალური კანონიერების სტანდარტს და გამოცემულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობისათვის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემა და ამ მიზნით გასაწევი საქმიანობის წარმართვა და კოორდინაცია, შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილი იყო გამოეცა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია აქტის კანონიერების შეფასებისთვის.

„შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულება, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულება, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებები და 2021 წლის 7 ივლისის ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, რომლის მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ტექნოლოჯი 2021“.

ბრძანების თანახმად, შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცა 10 წლის ვადით და კომპანიას დაევალა მთელი რიგი, დეტალურად გაწერილი სალიცენზიო პირობების შესრულება. მნიშვნელოვანია, რომ ობიექტთან მიმართებით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულებით დამატებითი სალიცენზიო პირობები იქნა დადგენილი, რათა უფრო მეტად იქნეს უზრუნველყოფილი სასარგებლო წიაღისეულის რაციონალურობის პრინციპის დაცვა.

თავად ბრძანების გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაცული იქნა მოთხოვნები, რომელსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა უყენებს წარმოების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულმა სუბიექტმა შპს „ტექნოლოჯი 2021“-მა კანონის სრული დაცვით მოახდინა ლიცენზიის მიღების მიზნით კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების გავლა და იკისრა ვალდებულება სალიცენზიო პირობების შესრულებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი

მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. როგორც ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, მსგავსი შინაარსის დარღვევას სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. გასაჩივრებული აქტი არის აღმჭურველი ხასიათის, ლიცენზიის მფლობელს გააჩნია კანონიერი ნდობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ძალაში უნდა დარჩეს 2021 წლის 9 ივლისის N898/ს ბრძანება.

ადმინისტრაციული საჩივრის მესამე მოთხოვნასთან დაკავშირებით გაცნობებთ:

„შპს „მნ ნორტი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანების გამოცემის სამართლებრივი საფუძველია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი, მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულება, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №841 განკარგულება, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებები და 2021 წლის 7 ივლისის ჩატარებული ელექტრონული აუქციონი, რომლის პირველ ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „მნ ნორტი“.

გასაჩივრებული ბრძანების თანახმად, შპს „მნ ნორტი“-ზე (ს/ნ 405470967) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაშე) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით. დასახელებულ შემთხვევაშიც, საქართველოს მთავრობის განკარგულებით წინასწარ იქნა დადგენილი დამატებითი სალიცენზიო პირობები, რომელსაც ითვალისწინებს გასაჩივრებული აქტი. მნიშვნელოვანია, რომ დამატებითი სალიცენზიო პირობები, ლიცენზიის სტანდარტულ პირობებთან ერთად, ემსახურება სალიცენზიო ობიექტზე მაქსიმალურ უსაფრთხოებასა და მაღალი სტანდარტების დაცვით მოპოვებითი სამუშაოების განხორციელებას, რისი ვალდებულებაც ალებულ იქნა ლიცენზიის მფლობელი სუბიექტის მხრიდან.

თავად ბრძანების გამოცემის მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაცული იქნა მოთხოვნები, რომელსაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და მოქმედი კანონმდებლობა უყენებს წარმოების განმახორციელებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. აუქციონში გამარჯვებულმა სუბიექტმა შპს „მნ-ნორტი“-მ კანონის სრული დაცვით მოახდინა ლიცენზიის მიღების მიზნით კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების გავლა და იკისრა ვალდებულება სალიცენზიო პირობების შესრულებაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. როგორც ზემოთ აღნიშნული გარემოებებიდან ირკვევა, მსგავსი შინაარსის დარღვევას სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. გასაჩივრებული აქტი არის აღმჭურველი ხასიათის, ლიცენზიის მფლობელს გააჩნია კანონიერი ნდობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ და არ არსებობს მისი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და ძალაში უნდა დარჩეს 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანება.

დანართის სახით წარმოგიდგენთ წარმოების მასალებს.

პატივისცემით,

ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩათვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი 202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 95 00 30 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია: ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა; ბ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია; გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური სამიზნო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდიკის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს

	<p>მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;</p> <p>დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 20 (ოცი) მოქალაქის დასაქმება;</p> <p>ე) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;</p> <p>ვ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 30 000 (ოცდათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღმატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;</p> <p>ზ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;</p> <p>თ) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;</p> <p>ი) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განხორციელდეს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით;</p> <p>კ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;</p> <p>ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;</p> <p>მ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;</p> <p>ნ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი</p>
--	---

ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

ო) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

პ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

ჟ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

რ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ს) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

უ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ფ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ქ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 ოქტომბრის N9943/01 წერილით განსაზღვრული პირობები.

ღ) სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს;

ყ) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით. არქეოლოგი ვალდებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

შ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად

		<p>უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;</p> <p>ჩ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.</p> <p>ც) „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.</p> <p>ძ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>წ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.</p> <p>ჭ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით“, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია, შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაშე) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 8 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2021 წლის 7 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა

		გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №2		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 95 00 30 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:</p> <p>ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;</p> <p>ბ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;</p> <p>გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;</p> <p>დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;</p> <p>ე) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი</p>

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ვ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღმატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

ზ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

თ) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმომადგენს უპერსპექტივო უბანს;

ი) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით;

კ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

მ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ნ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

ო) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს მარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

პ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, საშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

ჟ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

		<p>რ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;</p> <p>ს) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;</p> <p>ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;</p> <p>უ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;</p> <p>ფ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;</p> <p>ქ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის N9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;</p> <p>ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;</p> <p>ყ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.</p> <p>შ) „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.</p> <p>ჩ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ც) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.</p> <p>ძ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია

	ადგილმდებარეობა	
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 8 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2021 წლის 7 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

მფლობელი ორგანიზაცია:

აუქციონის დამოავერების პერიოდი:

ლოტების სტატუსი:

შტრი	აუქციონის ნომერი	ლოტის ნომერი	განაცხადის ნომერი	ლოტის დასახელება	საწყისი ფასი	გასაყიდი ფასი
	396 (1)	1	396OTH121	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია, შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაშე) შესწავლა-მოპოვება.	10000	11000,00
	396 (2)	2	396OTH221	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება.	10000	11000,00

აუქციონის შედეგები

ლოტის განაცხადის ნომერი:

396

აუქციონის ნომერი:

ლოტის ნომერი:

შტრიხ კოდი:

საქმის ნომერი:


ბრძანების ნომერი:

აუქციონის ჩატარების პერიოდი	გამარჯვებული	ტელეფონის ნომერი (სახლის)	სტატუსი	მისამართი	მთავარი კატეგორია	შეფასების თანხა
07.07.2021 12:00:00 / 07.07.2021 18:00:00	შპს მ5 ნორთი (405470967)	995-57761124	გაყიდული	ონის მუნიციპალიტეტის	ლიცენზიები	
07.07.2021 12:00:00 / 07.07.2021 18:00:00	შპს ტექნოლოჯი 2021 (405470869)	995-59559777	გაყიდული	ონის მუნიციპალიტეტის	ლიცენზიები	

ვალუტა	ელ ფოსტა	განმკარგავი ორგანიზაცია	განმკარგავის საიდენტიფიკაციო კოდი	განმკარგავის საკონტაქტო ინფორმაცია
GEL	shako.siradze@gmail.com	წილის ეროვნული სააგენტო	202482571	971-2439557 / georgedz
GEL	shako.siradze@gmail.com	წილის ეროვნული სააგენტო	202482571	971-2439557 / georgedz

საქმის ნომერი	ბოჯების ოდენობა	ბრძანების ნომერი	მოკლე აღწერილობა	რაოდენობა	გაყიდვის	გამოქვეყნების	საიუველი
	1			0	ონლაინ აუ	08.06.2021	
	1			0	ონლაინ აუ	08.06.2021	

საკადასტრო პირობა	ზომის ერთეული	ფორმის ერთეული	საქონლის ფორმა
	საგარანტი		შპს
	საგარანტი		შპს

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი																					
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი - შქმერის მანგანუმის საბადო (უბანი ჭარნათი)																					
2	გენეტური ტიპი - ქიმიური დანალექი																					
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - მეტალურგიული ნედლეული																					
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა																					
4.1	რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი																					
4.2	მუნიციპალიტეტი - ონი																					
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფელი შქმერი																					
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რკ/ონიდან 14-15 კმ (პირდაპირი მანძილი)																					
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - აღემატება 10 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს																					
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. რიონის აუზი																					
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები - <table border="1" data-bbox="331 772 678 1052" style="margin: 10px auto;"> <thead> <tr> <th>#</th> <th>X</th> <th>Y</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>1</td> <td>369139</td> <td>4705129</td> </tr> <tr> <td>2</td> <td>369035</td> <td>4704760</td> </tr> <tr> <td>3</td> <td>368415</td> <td>4704733</td> </tr> <tr> <td>4</td> <td>368653</td> <td>4705184</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">S = 229120 კვ.მ.</td> </tr> <tr> <td colspan="3" style="text-align: center;">WGS 1984</td> </tr> </tbody> </table> 	#	X	Y	1	369139	4705129	2	369035	4704760	3	368415	4704733	4	368653	4705184	S = 229120 კვ.მ.			WGS 1984		
#	X	Y																				
1	369139	4705129																				
2	369035	4704760																				
3	368415	4704733																				
4	368653	4705184																				
S = 229120 კვ.მ.																						
WGS 1984																						
4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 1700-1760 მ																					
4.9	კლიმატური პირობები - ნოტიო კლიმატი. საშუალოწლიური ტემპერატურა - +9-10 ⁰ , ნალექების წლიური რაოდენობა - 1200-1500 მმ.																					
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები																					
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის ღერძიდან - 15 მ-ში - გრუნტის გზა (მუნიციპალიტეტის ბალანსი)																					
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან -																					
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტიდან -																					
5.4	დამატებითი მონაცემები - ობიექტი ნაწილობრივ კვეთს "ხურმუხტის ქსელის" ტერიტორიას																					
6	სატყეო რესურსები																					
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში - არ ფიქსირდება																					
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური - არ ფიქსირდება																					
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები -																					
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია																					
7.1	ტექტონიკური დარაიონება - ამიერკავკასიის მთათაშუა არე, ცენტრალური აზიის ხონა, ოკრიბა-ხრეთის ქვეხონა, შაორის ბლავი.																					
7.2	გეოლოგიური აგებულება - საბადოს რაიონი აგებულია იურული, ცარცული, მესამეული და მეოთხეული ნალექებით.																					
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია																					
8.1	მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება - შქმერის მანგანუმის საბადო სამი უბნისაგან შედგება - შქმერი, კოდოსი-ბლავი და მეღეშური. პირველი ორი შქმერის ცარცული სინკლინური დეპრესიის ფარგლებში მდებარეობს, ხოლო მესამე - მეღაშურის უბანი მათგან სამხრეთით არის განლაგებული. სალიცენსიო ობიექტი მოიცავს შქმერის უბნის (ჭარნათის ქვეუბანს) ნაწილს. შქმერის საბადოს ფარგლებში, ზედა ცარცულ (ტურონული სართული) კირქვებზე და „მთავარის“ ვულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ არის განლაგებული ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექები, რომლებიც შქმერის სინკლინის მუღდას აგებს. ნალექების ფუძეში განლაგებულია მსხვილ- და საშუალომარცვლოვანი კვარცარკოხუელი ქვიშები და ქვიშაქვები.																					


	<p>კირქვისა და კაესის ქვარგვანებით. კვარც-არკოზული ქვიშაქვების ზედა პორიზონტები გაკლენითლია მანგანუმის ქანგულებით და უფრო ზევით გადადის პროდუქტულ პორიზონტში. რომელიც თავის მხრივ გადაფარულია მაიკოპის წყების არაკარბონატული ქვიშაიანი თიხებით. თიხები ხასიათდება ერთგვაროვნებით, ზედა ნაწილში შეიცავს ქვიშაქვებისა და მერგულების იშვიათ შუაშრებს. საბადოსე მაიკოპის წყების დიდი ნაწილი ეროხითაა გადარეცხილი.</p> <p>ოლიგოცენ – ქვედა მიოცენური ქანები გადაფარულია მეოთხეული ალუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტი საბადოსე წარმოადგენს დაქანგული და კარბონატული მადნების შრეების სერიას, რომელიც ასევე მორიგეობს ქვიშაიანი თიხებთან და კვარციან ქვიშაქვებთან. მადნიანი შუაშრეების რიცხვი წყებაში 3-დან 10-12-მდე იცვლება. ცალკეული შუაშრის სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა.</p> <p>მანგანუმის მადანი ზედაპირზე გამოსავლებში დაქანგული ან ნაწილობრივ დაქანგულია, ხიდრში კარბონატულია, მარცვლოვანი (ოლითური) ან მასიურია, ზოგჯერ ფოროვანი. ოლითების დიამეტრი ძირითადად 1-2 მმ-ია, იშვიათად 10 მმ-დე.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტის ფუძეში ქვიშაქვები გაკლენითლია მანგანუმის ქანგულებით ან კარბონატით.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტში, ხიდრის მიმართულებით, აღინიშნება გამადნების ხასიათის ცვლილება – დაქანგული მადნები სწრაფად იცვლებიან კარბონატულით. ასევე, ხიდრის გაზრდასთან ერთად, მატულობს შრეთაშორისი უმადნო ინტერვალები.</p> <p>შქმერის საბადოს მადნების ძირითადი მასა კარბონატულია, რომელიც გამოსავლებზე დაქანგულია. ზედაპირზე გამოშვლებული კარბონატული მადანი თითქმის არ გეხვდება. მადნეული სხეულების განლაგება სხვადასხვა უბნებზე განსხვავებულია. შქმერის უბანზე მანგანუმის პორიზონტისთვის დამახასიათებელია ტალღოვანი ზედაპირი, შრეები უმნიშვნელოდ ილუნება და იძირება მცირე ხიდრშიც.</p>
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – ღიმიტირებულია სალიცენხოს ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – ცალკეული შრეების სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა. მანგანუმიანი პორიზონტის უმაღლესი სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი – შქმერის უბანზე მანგანუმიანი პორიზონტი თითქმის პორიზონტალურად არის განლაგებული.
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – საბადოსე B კატეგორიის მარაგები დაძიებულია ქსელით 200 x 200 მ-ზე, ხოლო C ₁ კატეგორიისა 400 x 400 მ-ზე.
9.2	საძიებო სამუშაოები – თხრილები, შურფები, ტაბურდოვები, შტოლნები.
9.3	დასინჯვა – აღებულია დარული და კერნელი, აგრეთვე ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური სინჯები.
9.4	<p>ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – შქმერის საბადოსე გამოყოფილია კარბონატული და დაქანგული მადნები, კარბონატული მადანი ოლითური, მასიურია, იშვიათად ფოროვანი. შედეგება კარგად გამოხატული კარბონატული ოლითებისაგან ზომებით 1-2 მმ-დან 5-6 მმ-მდე, იშვიათად 10 მმ. კარბონატული მადნიანი მინერალების გავრცელება რაიმე კანონზომიერებას არ ემორჩილება. დაქანგული მადანი ძირითადად შეიცავს ვერნადიტ-ფხილომელანის შედგენილობის მანგანუმის მინერალებს. მადნის ცემენტია თიხა-ხილიკატური, მანგანუმის და რკინის მიდროქსიდებით გაკლენითლი მასალა.</p> <p>მადნების მინერალური შედგენილობაა:</p> <p>მოკვარი მადნიანი მინერალები – როდოქროზიტი, მანგანოკალციტი, ფხილომელანი.</p> <p>მეორე რიგის მადნიანი მინერალები – ვერნადიტი, რანსეიტი, მანგანიტი, პირიტი, მარკასიტი.</p> <p>იშვიათი მადნიანი მინერალები – ჰემატიტი, ჰეტიტი, მიდროქსეტიტი, მიდროქსემატიტი, პიროტინი, რუტილი.</p> <p>არამადნეული მინერალები – კალციტი, ქალცედონი, კვარცი.</p>
9.5	პიგენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – მეტალურგიულ წარმოებაში
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის ფართის დაძიების ხარისხი (სტადია) – ძიება, კვლავდაძიება
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – 229120 მ ²
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები –
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი –
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) –
10.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები – არ ფიქსირდება
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –

10.8	დამატებითი მონაცემები -
11	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების პიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები - დამატებითი მონაცემები.
11.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი - ღია (კარიერული) წესი. ობიექტზე გეოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი
11.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის ტოპოგრაფია - გამომუშავების მომენტისათვის საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგრაფია.
12	წიაღითსარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღითსარგებლობის ობიექტის მორფოლოგია - წიაღითსარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის საშუალომთიან ზონაში და მოიცავს მთის მასივებსა და სერებს შორის არსებულ მკირე განსომილების მქონე პლატოს, რომლის რელიეფი ტალღობრივი და უსწორმასწორო ხედაპირით გამოირჩევა და საფეხურებრივად ეშვება მდ. ხეურისა და მდ. ჭარნათის წყლის კალაპოტების მიმართულებით. პლატოს ხედაპირი ნაწილობრივ დაფარულია ბუნქნარითა და მალაღბალახოვანი მცენარეებით.
12.2	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - წიაღითსარგებლობის ობიექტის ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ცარცული და შესამუხლი ახაკის ნალექები (კირქვები, ქვიშაქვები, კვარციანი ქვიშები), რომლებიც ხეიმოდან გადაფარულია ცვალებადი სიმძლავრის ნიადაგის ფენით. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას.
12.3	წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) - წიაღითსარგებლობის ობიექტის ფარგლებში საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება.
12.4	წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები - მოსალოდნელი არ არის.
12.5	გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - არ საჭიროებს.
12.6	დასკვნები და რეკომენდაციები - <ol style="list-style-type: none"> 1. წიაღითსარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის, სოფ. შქმურის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას; 3. გამომდინარე ობიექტის ფართობის ხიდიდიდან, ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, ლიცენზიანტმა შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში (როგორც სალიცენზიო პირობა) თავად უნდა უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება; 4. ობიექტის შესწავლის დროს უნდა მოხდეს მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა; 5. ობიექტი ნაწილობრივ კვეთს "ხურმუხტის ქსელის" ტერიტორიას; შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; 6. შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 7. მითითებული რეკომენდაციების (პუნქტი 3-5) გათვალისწინებით ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემა დასაშვებია.
13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) - გ. გერსამია, ვ. თაბაგარი, გ. კუჭუხიძე, რ. ხოჯაევა
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი - 1962 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № - №11064

შემსრულებლები:

ს. მკალაქაშვილი, ნ. სომასიძე, ვ. ბაქანიძე, მ. ქიმუჯიაძე, გ. ბუცხრიკიძე, ნ. გუგავა

შეთანხმებულია,
სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩაღატაშვილი



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს იურიდიული პირი
წილის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002204

2021 წლის „ 09 “ „ ივლისი “
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს, ს/ნ 405 470 869;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: სსიპ წილის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: —
ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე,
შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება;
K-38-51-Г-6 ნომენკლატურის ტოპორუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მინაქუთვნის უბრთობი - 229 120 კვ. მეტრი.


მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

სალიცენზიო პირობები: _____


განსაზღვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უპროსის 2021 წლის 09
ივლისის №898/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 09.07.2021 დან 10.07.2031 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი


(ხელმოწერა)

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.


(ხელმოწერა)

ბ.ა



დამკვეთი: სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ქეჭერა“
სუს-ს რეგისტრაციის № 24-5288



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020105950284121

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 898/ს

09 / ივლისი / 2021 წ.

შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებების, 2021 წლის 7 ივლისს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, (აუქციონის შედეგად მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ტექნოლოჯი 2021“ (განაცხადის №396OTH221), სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 11 000 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუნესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 229 120 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდების და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, ეროვნული სასარგებლო წიაღისეული რესურსების (რეზერვების) შეფასებას და რეზერვების რეკონსტრუქციას.

გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შესრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

ე) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;

ვ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ზ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

თ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ი) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;

კ) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით;

ლ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ნ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ო) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის № 2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარუდგინისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

პ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ჟ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულელებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

რ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ს) იმსპოვებათვისა და მიწარეალი პროექტების გააქტიურების ორთხ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა

ტ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის შესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის №9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

ყ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

შ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;

ჩ) „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად;

ც) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - ნიაღვრე სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, ნიაღვრე სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, ნიაღვრე სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და ნიაღვრეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის № 271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ძ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს ნიაღვრე სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

წ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჭ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით;

ხ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნიაღვრე სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ჯ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 1624, 10.09.2020 წ. (ID_15637_50521) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელექტრონულად




ოთარი დანელია

დანართი (1 გვ.)

დამტკიცებულია

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
2021 წლის 09.07.21 № 898/ ბრძანებით




ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო
წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y
კოორდინატები

№	X	Y
1	369139	4705129
2	369035	4704760
3	368415	4704733
4	368653	4705184
WGS 1984		

ჩაუბრუნე დასახული მხატვრული კუთვნილება და სხვა წილი, წილი
კონკრეტულად 19 წილი და სხვა კუთვნილება 558-02-3636

09.07.2021



K-38-51-Г-6
 ნომერატურა 1:10 000 მასშტაბის
 ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

1792,0

კოცაძე ხოსრო
 1992204




აუთორიტეტო მონაცემების დაზუსტების
 მიზნით შენიშვნილებულია
 სოფ. მჭურის მიხედვით აღწერილია ხე
 ხაზრგული წიგნბეჭდვის
 (მანკანების) ხაზრგულადობის ინტეგრირების
 კომპიუტერული პროგრამის

#	X	Y
1	369139	4705129
2	369035	4704760
3	368415	4704733
4	368653	4705184
S = 229120 კვ.მ.		
WGS 1984		



საქართველოს მთავრობის გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 842 2021 წლის 27 მაისი ქ. თბილისი



სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის
გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის
გაცემის თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის 1³ პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემაგალ სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის განსაზღვროს დამატებითი სალიცენზიო პირობები, რომელთა თანახმად ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება:

ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore

Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

ბ) შესწავლის პერიოდში, ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდისა და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ან შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში

შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ

საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;

ე) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 100000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ვ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

ზ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად, უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

თ) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;

ი) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განხორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის კერძო მესაკუთრესთან შეთანხმებით;

კ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

2. სახელმწიფო უფლებამოსილია, ამ განკარგულებით გათვალისწინებული სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლამოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ან ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა შესაძლებელია, განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.

პრემიერ-მინისტრი



ირაკლი ლარიბაშვილი

ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტოს

შპს „ტექნოლოჯი 2021“

(ს/კ: 405470869)

დირექტორის

გ.ჟამუტაშვილის

წ ე რ ი ლ ი

შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 09 ივლისის ბრძანება №898/ს- ის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად გიგზავნით საბანკო გარანტიას.

პატივისცემით,

შპს „ტექნოლოჯი 2021“-ის

დირექტორი

გიორგი ჟამუტაშვილი



თარიღი: 09.09.2021



საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინგრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9717/01
15/10/2020

9717-01-2-202010151430



სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

თქვენი წერილის (#22/6815 21.09.2020) კასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიიდან 0.6 ჰექტარი ემთხვევა რაჭა 4-ის (GE0000042) ზურმუხტის დამტკიცებულ ტერიტორიას. ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, ნებართვის/ლიცენზიის გაცემის შემდეგ, საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #01/3329 13.10.2020) აღნიშნული ტერიტორიის აღმოსავლეთით მიედინება მდინარე ხეური, რომლის სიგრძე შეადგენს 13 კმ-ს, დასავლეთით მდინარე ჩარნათის წყალი, სიგრძით 3 კმ.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მე-2 მუხლი 2. პ.4.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19. პ.2.) და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილების (მუხლი 4. პ.1.) თანახმად: „წყლის ობიექტებში და წყალდაცვით ზოლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020196832897720

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6815

21 / სექტემბერი / 2020 წ.


საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50521/15637 24.08.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტი ნაწილობრივ კვეთს „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიას.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვერდი, Shape-ფაილი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ: ნანა ზამთარაძეს

ირაკლი ნოზაძის

პ.ნ.01002022947

მის: თბილისი, ლიხაურის 45ა, ბ.22

ტელ: 599030005

განცხადება

როგორც მოგეხსენაბთ, თქვენს წარმოებაშია ონის მუნიციპალიტეტში სოფელ შქმერში მანგანუმის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე ჩემი განაცხადი (ID-15637). გაცნობებთ, რომ არ ვეთანხმებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოში“ დაცულ ინფორმაციას მანგანუმის მარაგებთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ შესწავლა მოპოვების ლიცენზია.

პატივისცემით:



/ირაკლი ნოზაძე/



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020151799097220

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6813

21 / სექტემბერი / 2020 წ.


ონის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50521/15637 24.08.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტიდან 15 მეტრში ფიქსირდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული გზა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვერდი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე

საქართველო

ონის მუნიციპალიტეტის
მერია



GEORGIA

Oni municipality
city hall

N 04-2984
29/09/2020

2984-02-2-202009291823



სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ონის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა თქვენი წერილი (N22/6813; 21.09.2020) თანდართული მასალით, რომელიც შეეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს.

აღნიშნულის შესახებ გაცნობებთ, რომ ონის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია წამოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის შესაბამისად მოხდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემა.

პატივისცემით,

დავით ჩიკვაძე

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი





731/102-01

საბანკო გარანტია #7483115-11585288

ქ. თბილისი

09 სექტემბერი 2021 წელი

გარანტი: სს თიბისი ბანკი (შემდგომში „გარანტი“)
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204854595
გარანტის მისამართი: კ. მარჯანიშვილის ქ. #7, თბილისი
პრინციპალი: შპს ტექნოლოჯი 2021 (საიდენტიფიკაციო კოდი: 405470869) (შემდგომში „პრინციპალი“)
ბენეფიციარი: სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო (საიდენტიფიკაციო კოდი: 202482571) (შემდგომში „ბენეფიციარი“)
საგარანტო თანხა: 10,000.00 (ათი ათასი) ლარი

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 09 ივლისის ბრძანება №898/ს- ის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად (შემდგომში „ბრძანება“) პრინციპალმა „ბენეფიციართან“ უნდა წარადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც მისი მოქმედების პერიოდში უზრუნველყოფს „ბრძანების“ 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენ, სს თიბისი ბანკი, თანახმა ვართ გაცეთ წინამდებარე უპირობო (რაც გულისხმობს, რომ საგარანტო თანხის ანაზღაურების შესახებ ბენეფიციარის წერილობით მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს თუ რაში გამოიხატება პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევა, მოთხოვნისა და/ან მოთხოვნილი თანხის ყოველგვარი დასაბუთების და ყველაწიური დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების გარეშე) და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომელიც მისი მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოფს პრინციპალის მიერ „ბრძანებით“ გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებას.

ამასთან დაკავშირებით, ვდასტურებთ, რომ ვართ გარანტი და პასუხისმგებლები ბენეფიციარის წინაშე საერთო თანხაზე არაუმეტეს 10,000.00 (ათი ათასი) ლარის ოდენობით და ვკისრულობთ ბენეფიციარის სასარგებლოდ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

¹ სამუშაო დღე - კალენდარული დღე, გარდა შაბათისა, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეებისა.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებული იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად, საბანკო რეკვიზიტები და მიეთითება კონკრეტულად „ბრძანებით“ განსაზღვრული რა ვალდებულებები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან.

წინამდებარე გარანტია მოქმედებს 2024 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით.

ზემოთხსენიებულს გამოდინარე, საბანკო გარანტიაზე მოთხენა ან პრეტენზია წარმოდგენილ უნდა იქნეს საბანკო გარანტიის ვადის გასვლამდე მისამართზე: სს თიბისი ბანკი (ს/კ 204854595), სათაო ოფისი: კ. მარჯანიშვილის ქ. #7, თბილისი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით,
- გარანტის მიერ ბენეფიციარისთვის იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაიცა საბანკო გარანტია,
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამოდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარს თქმით (საბანკო გარანტიის ზომის მითითებით)

გარანტის მიმართ საბანკო გარანტიიდან გამოდინარე ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლების გადაცემა/დათმობა სხვა პირისთვის დაუშვებელია, გარანტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

სს თიბისი ბანკის წარმომადგენელი ეკატერინე ფაველნიშვილი



დავით აღმაშენებელი გამზ. #1
0102 თბილისი, საქართველო

61 David Agmashenebeli Ave,
0102 Tbilisi, Georgia

ტ/ტ: +995 32 227 27 27
ფ/ფ: +995 32 277 27 74

www.tbcbank.ge



KA020142349089421

#379

25 / March / 2021

ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ირაკლი ნადარეიშვილს

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსის
მერაბ ჩალათაშვილის

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო ირაკლი,

თქვენი 2021 წლის 19 მარტის #332 სამსახურებრივი ბარათის პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტის, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე მანგანუმის (ID_50521) მოსაპოვებლად სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემას, გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წერილში (#5/12531, 10.03.2021წ) მითითებული პირობების შესრულების შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი გაიცეს ლიცენზია, ამიტომ ტოპო-რუკა და გეოსაინფორმაციო პაკეტი არ საჭიროებს კორექტირებას.

პატივისცემით,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის
დეპარტამენტის უფროსი

SIGNED/SEALED
ELECTRONICALLY 

მერაბ ჩალათაშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020170600792320

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6814

21 / სექტემბერი / 2020 წ.


სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ
სააგენტოს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50521/15637 24.08.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე (10 წლის ვადით). სალიცენზიო ობიექტი მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ ტერიტორიებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ., ამონაწერი საჯარო რეესტრიდან - 1 გვ.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი


ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე



KA021784427767221

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/12531

10 / მარტი / 2021 წ.

სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოსული თქვენი 21.09.2020წ. № 22/6814 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილი სალიცენზიო ობიექტი მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებულ მინის იმ ფართს, რომელზეც სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოებები მინის ნაკვეთზე უფლებათა სპორადულ რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, წერილში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაიცეს ლიცენზია, ასევე საჭიროების შემთხვევაში შეთანხმებული იქნება შესაბამის სუბიექტებთან, მოსარგებლე პირობებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან, მათ შორის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სააგენტო, გარდა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე საქმისწარმოებების კონტურში მოქცეული მინის ნაკვეთებისა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, თქვენს მიერ ზემოხსენებულ კორესპონდენციაში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:

- ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მინის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

- ლიცენზიის მფლობელი მოქალაქეებს არ შეუზღუდავს სალიცენზიო მინის ნაკვეთზე გადაადგილების უფლებას;

- სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.

ამ პირობების დარღვევის (შეუსრულებლობის) შემთხვევაში ლიცენზია ჩაითვლება აუცილებელი თანხმობის გარეშე გაცემულად.

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე

გეოსაინფორმაციო პაკეტი

50353_14725_ID_2020

პოზიცია	საინფორმაციო კითხვარი
1	წიაღითსარგებლობის ობიექტი - შქმერის მანგანუმის საბადო (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაში) და მიმდებარე ტერიტორია
2	გენეტიური ტიპი - ქიმიური დანალექი
3	სასარგებლო წიაღისეულის სამრეწველო ტიპი - მეტალურგიული ნედლეული
4	წიაღითსარგებლობის ობიექტის მდებარეობა და ტერიტორიის ზოგადი აღწერა
4.1	რეგიონი - რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი
4.2	მუნიციპალიტეტი - ონი
4.3	უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფელი შქმერი
4.4	დაშორება მნიშვნელოვანი პუნქტიდან - რ/კ ონიდან 14-15 კმ (პირდაპირი მანძილი)
4.5	მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან / სანაპირო ზოლიდან - აღემატება 5 კმ-ს / აღემატება 20 კმ-ს
4.6	მდინარის აუზი (ან მთათა სისტემა) - მდ. როინის აუზი
4.7	წიაღითსარგებლობის ობიექტის კოორდინატები -

I უბანი

№	X	Y
1	374892.470	4703937.186
2	374884.291	4703948.826
3	374877.484	4703968.513
4	374863.266	4703978.760
5	374866.881	4704110.183
6	374287.291	4704188.291
7	374335.608	4704333.243
8	374635.176	4704306.186
9	374726.868	4704270.048
10	374892.223	4704203.763
11	374993.629	4704196.478
12	376112.673	4704044.471
13	376187.924	4704025.946
14	376340.388	4703888.166
15	375211.140	4703778.828
16	375114.605	4703621.213
17	375096.616	4703648.094
18	374908.230	4703914.769

S = 248 630 კვ.მ

II უბანი

№	X	Y
1	369199.374	4703912.678
2	369189.882	4703907.806
3	369184.888	4703905.296
4	369169.666	4703892.666
5	369129.880	4703896.606
6	369120.233	4703907.182
7	369118.733	4703916.829
8	369122.163	4703932.264
9	369126.486	4703946.692
10	369130.738	4703969.919
11	369139.098	4703972.567
12	369148.102	4703988.216
13	369148.746	4704008.682
14	369141.671	4704021.669
15	369140.206	4704027.483
16	369139.348	4704032.066
17	369139.348	4704036.344
18	369141.063	4704041.489
19	369144.906	4704047.306
20	369150.327	4704060.694
21	369169.643	4704062.065
22	369169.298	4704060.694
23	369182.171	4704044.696
24	369192.334	4704037.821
25	369199.374	4704029.198
26	369202.497	4704021.660
27	369204.529	4704008.687
28	369204.233	4703989.467
29	369199.660	4703970.316
30	369201.674	4703962.662
31	369203.947	4703964.024
32	369210.807	4703941.447
33	369207.377	4703926.440
34	369202.378	4703917.406

S = 10 060 კვ.მ

III უბანი

№	X	Y
1	369963.0898	4706246.686
2	369892.9424	4706272.926
3	369894.4418	4706276.181
4	369888.0496	4706293.379
5	369853.2102	4706296.793
6	369867.6790	4706323.832
7	369874.0713	4706336.106
8	369917.2272	4706366.066
9	369938.2880	4706347.673
10	369977.9230	4706336.929
11	369976.6602	4706326.966
12	369973.4098	4706303.492
13	369969.4293	4706300.734
14	369967.9891	4706296.627
15	369972.4871	4706296.081
16	369972.3268	4706287.802
17	369967.6304	4706288.407
18	369969.2168	4706281.880
19	369966.7770	4706269.780

S = 8 400 კვ.მ

IV უბანი

№	X	Y
1	376008.248	4703538.983
2	375997.426	4703606.518
3	375985.202	4703469.846
4	375968.879	4703420.876
5	375828.059	4703589.624
6	375716.552	4703746.810
7	375547.205	4703819.033
8	375451.712	4703878.481
9	375721.041	4704216.638
10	375857.201	4704026.612
11	375907.971	4704003.052
12	375922.924	4703996.112
13	376025.016	4703951.447
14	376111.157	4703791.927
15	376063.600	4703779.066
16	376018.798	4703764.765
17	375967.589	4703734.500
18	375913.352	4703699.406
19	375940.446	4703649.519
20	375956.724	4703622.981

S = 206 990 კვ.მ

V უბანი

№	X	Y
1	368442.001	4704222.337
2	368491.575	4704221.930
3	368538.096	4704221.649
4	368572.753	4704221.649
5	368596.747	4704219.484
6	368620.800	4704219.974
7	368635.166	4704218.232
8	368663.823	4704212.708
9	368678.729	4704201.190
10	368679.546	4704185.760
11	368687.048	4704174.767
12	368635.166	4704167.330
13	368615.718	4704163.248
14	368609.620	4704149.020
15	368614.363	4704134.115
16	368631.301	4704123.274
17	368659.080	4704125.307
18	368680.761	4704136.825
19	368702.442	4704143.600
20	368745.804	4704143.600
21	368769.518	4704146.633
22	368781.764	4704154.095
23	368777.692	4704169.366
24	368775.616	4704188.317
25	368821.655	4704195.556
26	368841.347	4704196.344
27	368861.826	4704197.131
28	368881.532	4704195.835
29	368905.965	4704192.781
30	368923.272	4704181.682
31	368941.596	4704161.222
32	368956.518	4704135.470
33	368963.970	4704113.789
34	368963.435	4704087.646
35	368990.832	4704067.954
36	368935.866	4704056.139
37	368910.896	4704051.178
38	368883.409	4704056.186
39	368849.223	4704059.290
40	368833.470	4704056.139
41	368812.991	4704049.050
42	368794.087	4704036.448
43	368771.245	4704022.270
44	368723.735	4704008.515
45	368651.454	4704013.606
46	368600.520	4704031.135
47	368582.993	4704056.139
48	368563.301	4704071.105
49	368425.460	4704127.817
50	368434.927	4704181.917

S = 72 010 კვ.მ

VI უბანი


№	X	Y
1	374647.565	4703570.344
2	374626.309	4703557.253
3	374600.923	4703541.618
4	374526.968	4703496.071
5	374561.756	4703391.706
6	374652.174	4703279.900
7	374478.923	4703260.015
8	374449.208	4703271.033
9	374443.409	4703324.666
10	374350.640	4703481.213
11	374250.865	4703543.784
12	374217.285	4703629.064
13	374120.167	4703729.081
14	374046.242	4703869.684
15	374065.055	4703954.118
16	374168.545	4703847.156
17	374185.412	4703759.521
18	374315.852	4703811.703
19	374466.602	4703765.319
20	374520.234	4703726.182
21	374528.387	4703623.206
22	374624.738	4703626.603

S = 157 500 კვ.მ

VII უბანი

№	X	Y
1	374458.557	4702803.435
2	374426.377	4702752.931
3	374382.698	4702684.380
4	374367.403	4702660.375
5	374096.827	4702721.676
6	374062.676	4702808.935
7	374055.399	4702911.893
8	373635.576	4703063.286
9	373591.554	4703004.232
10	373548.606	4703087.982
11	373332.072	4703134.888
12	373168.004	4703166.363
13	373046.106	4703184.616
14	372900.081	4703201.796
15	372730.305	4703165.289
16	372414.761	4703128.783
17	372370.023	4703186.406
18	372376.613	4703256.124
19	372543.607	4703285.548
20	372758.360	4703326.347
21	372970.946	4703328.494
22	373183.610	4703300.604
23	373232.933	4703294.135
24	373587.289	4703221.123
25	373741.700	4703188.609
26	373791.265	4703178.174
27	374070.789	4703113.393
28	374335.556	4703054.903
29	374600.489	4702970.231
30	374893.971	4702875.426
31	375081.871	4702787.341
32	375260.445	4702701.086
33	375476.209	4702662.411
34	375578.286	4702688.770
35	375750.797	4702645.253
36	375805.198	4702585.125
37	375696.037	4702555.419
38	375362.111	4702533.587
39	375268.340	4702590.136
40	375135.995	4702544.324
41	374952.747	4702600.316
42	374922.206	4702722.481
43	374779.680	4702737.752
44	374667.695	4702814.105
45	374483.364	4702842.369
46	374479.466	4702836.261
47	374479.166	4702835.781

S = 598 360 კვ.მ
WGS 1984



4.8	ობიექტის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან - 1700-2150 მ
4.9	კლიმატური პირობები - ნოტიო კლიმატი. საშუალოწლიური ტემპერატურა - +9-10 ⁰ , ნალექების წლიური რაოდენობა - 1200-1500 მმ.
5	ხელისშემშლელი ინფრასტრუქტურული ობიექტები და სხვა ფაქტორები
5.1	მანძილი უახლოესი საავტომობილო გზის დერძიდან - აღემატება 100 მ-ს
5.2	მანძილი უახლოესი ხიდიდან -
5.3	მანძილი სხვა უახლოესი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან -
5.4	დამატებითი მონაცემები - ობიექტი კვეთს "ხურმუხტის ქსელის" ტერიტორიას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები - 465 მ-დან.
6	სატყეო რესურსები
6.1	სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში - არ ფიქსირდება
6.2	ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონალური სატყეო სამსახური - რაკა-ლენხუმის რეგიონალური სატყეო სამსახური. ონის სატყეო უბანი
6.3	სატყეო რესურსების დამატებითი მონაცემები -
7	რაიონის გეოლოგიური პოზიცია
7.1	ტექტონიკური დარაიონება - ამიერკავკასიის მთათაშუა არე, ცენტრალური ახეების ზონა, ოკრიბა-ხრეთის ქვეზონა. შარის ბლოკი.

7.2	გეოლოგიური აგებულება – საბადოს რაიონი აგებულია იურული, ცარცული, მესამეული და მეოთხეული ნალექებით.
8	ობიექტის გეოლოგიური პოზიცია
8.1	<p>მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება – შქმერის მანგანუმის საბადო სამი უბნისაგან შედგება – შქმერი, კოლოსი-ბლაშე და მელეშური. პირველი ორი შქმერის ცარცული სინკლინური დეპრესიის ფარგლებში მდებარეობს, ხოლო მესამე – მელაშურის უბანი მათგან სამხრეთით არის განლაგებული. სალიცენზიო ობიექტი მოიცავს შქმერის (III უბანი) და კოლოსი-ბლაშეს (VI უბანი) უბნების ნაწილს, ხოლო დანარჩენი უბნები განლაგებულია მიმდებარე ტერიტორიაზე.</p> <p>შქმერის საბადოს ფარგლებში, ზედა ცარცულ (ტურონული იარუსი) კირქვებზე და „მთავარის“ კულკანოგენურ წყებაზე უთანხოდ არის განლაგებული ოლიგოცენ-ქვედა მოცენური ნალექები, რომლებიც შქმერის სინკლინის მუდღას აგებს. ნალექების ფუძეში განლაგებულია მსხვილ- და საშუალომარცვლოვანი კვარცარკოზული ქვიშები და ქვიშაქვები, კირქვისა და კაჟის ქვარგვანებით. მათი სიმძლავრე იცვლება რამდენიმე სანტიმეტრიდან 8-10 მ-დე, ხოლო აღმოსავლეთით, კოლოსი-ბლაშეს უბანზე 50 მ-ს აღწევს. კვარცარკოზული ქვიშაქვების ზედა პორიზონტები გაუღენთილია მანგანუმის ქანგულებით და უფრო ზევით გადადის პროდუქტულ პორიზონტში, რომელიც თავის მხრივ გადაფარულია მაიკოპის წყების არაკარბონატული ქვიშიანი თიხებით. თიხები ხასიათდება ერთგვაროვნებით, ზედა ნაწილში შეიცავს ქვიშაქვებისა და შერეულების იშვიათ შუაშრეებს. საბადოზე მაიკოპის წყების დიდი ნაწილი ეროზიითაა გადარეცხილი.</p> <p>ოლიგოცენ – ქვედა მოცენური ქანები სალიცენზიო უბნის გარეთ გადაფარულია საკმაოდ მძლავრი მეოთხეული ალუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით.</p> <p>შქმერის საბადოს მანგანუმიანი პორიზონტის აგებულება და გამაღნების ხასიათი ჭიათურის საბადოს დარკვეთისა და ხარეკის ზეგნების მადნიანი წყებების იდენტურია.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტი საბადოზე წარმოადგენს დაუანგული და კარბონატული მადნების შრეების ხერხაბ, რომელიც ასევე შორიგეობს ქვიშიან თიხებთან და კვარციან ქვიშაქვებთან. მადნიანი შუაშრეების რიცხვი წყებაში 3-დან 10-12-მდე იცვლება. ცალკეული შუაშრის სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა. მანგანუმიანი პორიზონტის ჯამური სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.</p> <p>მანგანუმის მადანი ზედაპირზე გამოსავლებში დაეანგული ან ნაწილობრივ დაეანგულია, სიღრმეში კარბონატულია, მარცვლოვანი (ოლითური) ან მასიურია, ზოგჯერ ფორფანი, ოლითების დიამეტრი ძირითადად 1-2 მმ-ია, იშვიათად 10 მმ-დე. მადანთმორისი თიხებისა და ქვიშაქვების შუაშრეების სიმძლავრე 0,1-0,8 მ-ია.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტის ფუძეში ქვიშაქვები გაუღენთილია მანგანუმის ქანგულებით ან კარბონატით, ამ ქანების სიმძლავრე მაქსიმუმ 2,0-2,5 მ-ია.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტში, სიღრმის მიმართულებით, აღინიშნება გამაღნების ხასიათის ცვლილება – დაეანგული მადნები სწრაფად იცვლებიან კარბონატულით. ასევე, სიღრმის გასრდასთან ერთად, მატულობს შრეთაშორისი უმადნო ინტერვალები. სიღრმეში, 10 მ-ის ქვემოთ, მადნების ჯანგვა აღინიშნება მხოლოდ ნაპრალებისა და დაშრეების გასწვრივ, ამით ქვემოთ კი, მანგანუმის კარბონატული მადნებია გაფრქვლებული.</p> <p>შქმერის საბადოს მადნების ძირითადი მასა კარბონატულია, რომელიც გამოსავლებზე დაეანგულია. ზედაპირზე გაშიშვლებული კარბონატული მადანი თითქმის არ გვხვდება. მადნეული სხეულების განლაგება სხვადასხვა უბნებზე განსხვავებულია. შქმერის უბანზე მანგანუმის პორიზონტისთვის დამახასიათებელია ტალღოვანი ზედაპირი, შრეები უმნიშვნელოდ იღუნება და იძირება მცირე სიღრმეზე. უბ. კოლოსი-ბლაშეზე მანგანუმიანი პორიზონტი დაკავშირებულია სინკლინის ფრთასთან, რომელიც დაქანებულია ჩრდილოეთით, 25-30⁰ კუთხით.</p>
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი – ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) – ღიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე – ცალკეული შრეების სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა. მანგანუმიანი პორიზონტის ჯამური სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოდის ელემენტი – შქმერის უბანზე მანგანუმიანი პორიზონტი თითქმის პორიზონტალურად არის განლაგებული, უბ. კოლოსი-ბლაშეზე დაქანების კუთხე 25-30 ⁰ -ია.
8.6	დამატებითი მონაცემები –
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით – შქმერის საბადოზე, სადაც განლაგებულია III და VI უბნები, B კატეგორიის მარაგები დაძიებულია ქსელით 200 x 200 მ-ზე, ხოლო C კატეგორიისა 400 x 400 მ-ზე. დანარჩენი უბნები მდებარეობს მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც არ არის შესწავლილი.
9.2	საძიებო სამუშაოები – შქმერის საბადოზე გაყვანილია თხრილები, შურფები, ჭაბურღილები, შტოლნები.
9.3	დასინჯვა – საბადოზე აღებულია დარული და კერნული, აგრეთვე ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური ხინჯები.

9.4	<p>ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – შქმერის საბადოზე გამოყოფილი კარბონატული და დაქანგული მადნები. კარბონატული მადანი ოლითური, მასიურია, იშვიათად ფორფანი. შედგება კარგად გამოხატული კარბონატული ოლითებისაგან ზომებით 1-2 მმ-დან 5-6 მმ-მდე, იშვიათად 10 მმ. კარბონატული მადნიანი მინერალების გავრცელება რაიმე კანონზომიერებას არ ემორჩილება. დაქანგული მადანი ძირითადად შეიცავს ვერნადიტ-ფსილომელანის შედგენილობის მანგანუმის მინერალებს. მადნის ცემენტია თიხა-ხილიკატური, მანგანუმის და რკინის ჰიდროქსიდებით გაუქვითილი მასალა.</p> <p>მადნების მინერალური შედგენილობა: მთავარი მადნიანი მინერალები – როდოქროზიტი, მანგანოკალციტი, ფსილომელანი. მეორე რიგის მადნიანი მინერალები – ვერნადიტი, რანსეიტი, მანგანიტი, პირიტი, მარკაზიტი. იშვიათი მადნიანი მინერალები – კემატიტი, პეტრიტი, ჰიდროპეტრიტი, ჰიდროპემატიტი, პიროტინი, რუტილი. არამადნეული მინერალები – კალციტი, ქალცედონი, კვარცი.</p> <p>მადნების ქიმიური შედგენილობა: – კარბონატული მადნები: SiO₂-14.4%; Al₂O₃- 3.5%; Fe₂O₃-1.5%; CaO-19.0%; MgO -2.5%; P₂O₅ -0.14%; S საერთო – 0.53. – დაქანგული მადნები: SiO₂-22.7%; Al₂O₃- 10.93%; Fe₂O₃-3.29%; FeO-1.5%; CaO-3.1%; MgO -0.25%; P₂O₅-0.13%; S საერთო – 0.08%.</p> <p>მანგანუმის შემცველობა მადანში: <u>შქმერა</u> – დაქანგული მადნები – 14.45-29.50%; – კარბონატული მადნები – 13.63-23.40%; <u>კოდოსი-ბლაშე</u> – დაქანგული მადნები – 12.81-32.53%; – კარბონატული მადნები – 9.55-22.86%;</p> <p>მადნების მოცულობითი წონა: – დაქანგული მადნები – 2.0; – კარბონატული მადნები – 2.4.</p>
9.5	ჰიგიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – მეტალურგიულ წარმოებაში
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის ფართის დაძიების ხარისხი (სტადია) – შქმერის საბადოზე, სადაც განლაგებულია III და VI უბნები, ჩატარებულია ძიება, კვლავდაძიება. დანარჩენი უბნების ტერიტორია არ არის დაძიებული.
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – I უბანი – 248630 მ ² , II უბანი – 10060 მ ² , III უბანი – 8400 მ ² , IV უბანი – 206990 მ ² , V უბანი – 72010 მ ² , VI უბანი – 157500 მ ² , VII უბანი – 598360 მ ² .
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები –
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი –
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) –
10.6	თანმდევი სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები –
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების ჰიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები –
11.2	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი, მიწისქვეშა სამთო გამოწვამუშავებით. ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი
11.3	წიაღისარგებლობის ობიექტის ტოპოგრაფია – გამომუშავების მომენტისათვის საჭიროა შედგას ობიექტის ტოპოგრაფია.
12	წიაღისარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღისარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – წიაღისარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) წარმოდგენილია შვიდ უბნად და მდებარეობს ხემო რაჭის საშუალომთიან ზონაში, რომელიც მოიცავს რაჭის ქედის ჩრდილო ვერდობზე და თამარ დედოფლის კედლების სამხრეთ ვერდობზე არსებულ მთის მასივებსა და მდ. ხურის ხეობის ნაწილს. მთლიანობაში ობიექტის უბნების რელიეფი წარმოდგენილია კირქვული მთების, ხერების, გორაკების, პლატოებისა და

	<p>დეპრესიების შორიგეობით, სადაც წამყვანი გეომორფოგენეზისში კარსტული და ეროზიული პროცესებია.</p> <p>წიაღისარგებლობის ობიექტის I, IV და VI უბანი ვრცელდება ზღვ. დონ. 2352 მ. აბს. სიმაღლის მთა წითელი კლდის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლურ და სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციის მქონე ფერდობების ზედა და ქვედა ნაწილებზე, რომლის რელიეფი არათანაბარი დახრილობის მქონეა (საშ. 30-40⁰), ტერიტორია კი დაფარულია სუბალპური ბუნქნარითა და ალპური მდელოებით.</p> <p>ობიექტის VII უბანი მოიცავს რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობზე არსებულ ხროლუეთის სახელით ცნობილ, ვრცელი სერის თხემურ ნაწილსა და ჩრდილო ფერდობს, რომელიც დაფარულია მკენარეული საფარით, რელიეფი კი დახრილია მდ. ხეურის ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კარსტული დეპრესიების მიმართულებით.</p> <p>წიაღისარგებლობის ობიექტის III უბანი წარმოდგენილია მდ. ხეურის მარჯვენა ფერდობზე არსებული შემაღლებული, პლატოსმაგვარი რელიეფის მქონე ტერიტორიით, რომელიც ურბანიზებულია და ათვისებულია მოსახლეობის მიერ სათეს-საეარგულებით და შენობა-ნაგებობებით.</p> <p>ობიექტის II და V უბანი ვრცელდება რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობის მთისწინა ზოლში არსებულ კარსტულ დეპრესიებსა და ზღვ. დონ. 1847 მ. აბს. სიმაღლის უსახელო მთის, სამხრეთული ექსპოზიციის მქონე ფერდობის ქვედა ნაწილში რომელიც ნაწილობრივ დაფარულია მკენარეული საფარით.</p>
12.2	<p>წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - წიაღისარგებლობის ობიექტის უბნების ტერიტორია აგებულია ვარცხლილი და პალეოგენური ასაკის ნახევრადკლდოვანი ქანებით - კირქვებით, მერგელებით, თიხებით, აგრეთვე პალეოგენური კვარც-არკოზული ქვიშაქვებით, ბრექჩიებით, ქვიშაქვებითა და თიხებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია დელუვიონითა და ცვალებადი სიმძლავრის ნიადაგის ფენით.</p> <p>საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.</p>
12.3	<p>წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრეშის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) - წიაღისარგებლობის ობიექტზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება. ობიექტის უბნებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე, წამყვანი გეომორფოგენეზისში კარსტული პროცესებია.</p>
12.4	<p>წიაღისარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები - წიაღისარგებლობის ობიექტის უბნებზე შესწავლის და შემდგომში მოპოვების პერიოდში, კარსტული ხიდრუეების ან მღვიმეების გამოსჩენის შემთხვევაში უნდა შეწყდეს სამუშაოების ჩატარება.</p>
12.5	<p>გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - არ საჭიროებს.</p>
12.6	<p>დასკვნები და რეკომენდაციები -</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სალიცენზიო ობიექტი (მანგანუმი), რომელიც წარმოდგენილია შვიდ უბნად მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას; 3. ობიექტის V და VI უბნის მცირე ნაწილი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან; 4. გამომდინარე ობიექტის უბნების ფართობის სიდიდიდან, ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, ლიცენზიანტმა შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში უნდა უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება; 5. წიაღისარგებლობის ობიექტის III უბნის ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები, ამიტომ წიაღისეულზე შესწავლა-მოპოვების სამუშაოების ჩატარებამდე შემოთადრინებული საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან; 6. ობიექტიდან 465 მ-ში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, კვეთს "ზურმუხტის ქსელის" ტერიტორიას. ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან; 7. ობიექტის შესწავლის დროს უნდა მოხდეს მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა; 8. შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 9. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტი 3-8) გათვალისწინებით, წიაღისეულის შესწავლა და შემდგომში მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) – გ. გერსამია, ე. თაბაგარი, გ. კუჭუხიძე, რ. ხოჯაევა
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი – 1962 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № – №11064


შემსრულებლები:

ს. შკალავენიშვილი, ნ. ნომახიძე, ე. ბაქანიძე, მ. ქიმუცაძე, გ. ბუცხრიკიძე, ი. რობაქიძე

შეთანხმებულია,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის

დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ხარათიშვილი



საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საინჟინერო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9943/01
21/10/2020

9943-01-2-202010211241



სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ მერაბ ჩალათაშვილს

ბატონო მერაბ,

თქვენი წერილის (#22/6897 23.09.2020) პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით წარმოდგენილი 1302700 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1533 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში, კერძოდ ონის სატყეო უბნის ბაჯიხევის სატყეოში. აქვე გაცნობებთ, რომ ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ემთხვევა რაჭა 4-ის (GE0000042) ზურმუხტის დამტკიცებულ ტერიტორიას. ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს

ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, ნებართვის/ლიცენზიის გაცემის შემდეგ, საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #01/3342 13.10.2020) აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ, მიედინება შემდეგი მდინარეები: ხეური (13 კმ.), მარცხენა ხეური (1.2 კმ.), მარჯვენა ხეური (3.6 კმ.), ჭარმანის წყალი (2.9 კმ.), ჯუნჭულა (26 კმ.), 2.1 კმ; 6.1 კმ; 1.1 კმ; 1.3 კმ; 2.4 კმ; 1.8 კმ; და 1.1 კმ. სიგრძის უსახელო მდინარეები.


„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2. პ.4.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი, ხოლო 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 20 მეტრი.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19. პ.2.) და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილების (მუხლი 4. პ.1.) თანახმად: „წყლის ობიექტებში და წყალდაცვით ზონებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე





საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020187525063820

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6897

23 / სექტემბერი / 2020 წ.


საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50353/14725 20.07.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტი კვეთს „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიას.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი, Shape-ფაილი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

მერაბ ჩალათაშვილი



N	უბანი	სულ ფართობი მ ²	მათ შორის ტყის ფონდში			
			სულ ფართობი მ ²	სატყეო უბანი	სატყეო	კვარტალი
1	1	248632				
2	2	10062				
3	3	9142				
4	4	206994				
5	5	72008	897	ონი	ბაჯიხევი	44
6	6	157501	636	ონი	ბაჯიხევი	ყოფრ საკოლმეულ
7	7	598362				
8	სულ	1302701	1533			

დანართი N2

ლიტერი	ზურმუხტის ქსელი
15,17	X
ალი ნუნო ტყე	




სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი წერილი (N22/6898 23.09.2020), რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე **კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების**, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროს (აღნიშნული უფლებამოსილება დელეგირებულია სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოზე) დადებითი დასკვნის საფუძველზე, ხოლო, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სამინისტროს (სააგენტოს) დასკვნის საფუძველია შესაბამისი ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევა, რომლის ჩატარებას უზრუნველყოფს მინის სამუშაოების განხორციელებით დაინტერესებული პირი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი დასკვნის მოსამზადებლად, სააგენტოში წარმოდგენილი უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (მუხლი 14, პ.3,4) დოკუმენტაცია ტერიტორიის არქეოლოგიური კვლევის შესახებ.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ნიკოლოზ ანთიძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020188268318020

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6898

23 / სექტემბერი / 2020 წ.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50353/14725 20.07.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტიდან 465 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპორუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად

მერაბ ჩალათაშვილი



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო**



KA020135037448021

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/645

12 / თებერვალი / 2021 წ.

სსიპ საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს


თქვენი 2021 წლის 08 თებერვლის № 17/282 წერილის პასუხად, რომლითაც თანხმობა გამოთქვით ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

თქვენს მიერ წარმოდგენილ დანართში მითითებულ X და Y კოორდინატებში (თან ერთვის) ფიქსირდება ტექნიკური უზუსტობები.

გიგზავნით სალიცენზიო ობიექტის ტოპოგრაფულ რუკას. გთხოვთ, დაგვიზუსტოთ და შესაძლო მოკლე ვადაში მოგვანოდოთ თქვენი საბოლოო მოსაზრება მითითებულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპორუკა - 1 ცალი, ობიექტის გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი, Shape -ფაილი, წერილი - 2 გვერდი, დანართი - 10 გვერდი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე




სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო

თქვენი ა/წ 12 თებერვლის წერილის #22/645 პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემას და დანართში საპროექტო არეალის გეოგრაფიული კოორდინატებში უზუბსტობის დაფიქსირებას, გაცნობებთ, რომ სააგენტო თანახმაა დანართში მითითებული GPS კოორდინატების ფარგლებში მოხდეს დაგეგმილი მინის სამუშაოების წარმართვა.

აქვე გაცნობებთ, რომ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს სააგენტოს დასკვნაში (08.02.2021 N17/282) მითითებული რეკომენდაციები.

დანართი: 1 გვერდი (ტერიტორიის რუკა და GPS კოორდინატები)

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად 

დავით ლომიტაშვილი

სსიპ „წიაღის ეროვნული სააგენტოს“
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ქ-ნ: ნანა ზამთარაძეს

ირაკლი ნოზაძის

პ.ნ.01002022947

მის: თბილისი, ლიხაურის 45ა, ბ.22

ტელ: 599030005

განცხადება

როგორც მოგეხსენაბთ, თქვენს წარმოებაშია ონის მუნიციპალიტეტში სოფელ შქმერში მანგანუმის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიაზე აუქციონის გამოცხადების თაობაზე ჩემი განაცხადი (ID-14725). გაცნობებთ, რომ არ ვეთანხმებით მოთხოვნილ ტერიტორიაზე სსიპ „წიაღის ეროვნულ სააგენტოში“ დაცულ ინფორმაციას მანგანუმის მარაგებთან დაკავშირებით და სწორედ ამიტომ გთხოვთ გამოაცხადოთ შესწავლა მოპოვების ლიცენზია.

პატივისცემით:



/ირაკლი ნოზაძე/



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო

გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/5172



09/10/2020

5172-11-2-202010091643

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის
შემსრულებელს ქალბატონ ნანა ზამთარაძეს

ქალბატონო ნანა,

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 2020 წლის 23 სექტემბრის N22/6904 წერილი, ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე.

წერილის დანართით წარმოდგენილი (7 უბანი) 1302701 კვ.მ. ფართობი, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1533 კვ.მ. მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში (იხ. დანართი N2). აქვე გაცნობებთ, რომ (მე-5 უბანი) 72008 კვ.მ. ფართობიდან 897 კვ.მ. ფართობი მოქცეულია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის N5959/01 წერილით განსაზღვრულ ზურუმუხტის ქსელის საზღვრებში

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ინფორმაციას ფართობზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ:

პერსპექტიული სალიცენზიო ობიექტი - 0.0636 ჰა, მდებარეობს - ალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრის სიგანის მერქნიანი მცენარეებით (ხეების ან/და ბუჩქნარის ერთობლიობა), ხეებითა და

ბუჩქებით დაფარული ფართობები: თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის, უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტარამდე სიდიდის ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშალების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის, ასევე რკინიგზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე;

არ მდებარეობს - საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირებიდან 300 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე (მანძილი იზღუდება წყალგამყოფით);

არ მდებარეობს - სახელმწიფო დაცვით ტყის ზოლებში;

არ მდებარეობს - ტყის უბნებში, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეები;

მდებარეობს - 20⁰ -ზე მეტი დაქანების ფერდობებზე;

არ მდებარეობს - სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც 1 ჰა-ზე არსებული მერქნული რესურსის მარაგი (გარდა ბუჩქნარისა) აღემატება 50 მ³ -ს.

პერსპექტიული სალიცენზიო ობიექტი - 0.0897 ჰა, **არ მდებარეობს** - ალპური ზონის მიმდებარე 300 მეტრის სიგანის მერქნიანი მცენარეებით (ხეების ან/და ბუჩქნარის ერთობლიობა), ხეებითა და ბუჩქებით დაფარული ფართობები: თოვლის ზვავებისა და ღვარცოფების მუდმივი კალაპოტების გასწვრივ 200 მეტრამდე სიგანის, უტყეო სივრცეებს შორის მდებარე 100 ჰექტარამდე სიდიდის ფლატეების, დამეწყრილი ადგილების, ჩამონაშალების, კარსტული წარმონაქმნების, მთის დედაქანების მიწის ზედაპირზე გამოსვლის ადგილების ირგვლივ 100 მეტრამდე სიგანის, ასევე რკინიგზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე;

არ მდებარეობს - საავტომობილო გზების გასწვრივ (მათი მიწის ვაკისიდან) 100 მეტრამდე სიგანის მდინარეების, ტბების, წყალსაცავებისა და წყლის არხების გასწვრივ ნაპირებიდან 300 მეტრამდე სიგანის ტერიტორიებზე (მანძილი იზღუდება წყალგამყოფით);

არ მდებარეობს - სახელმწიფო დაცვით ტყის ზოლებში;

არ მდებარეობს - ტყის უბნებში, სადაც გაბატონებულია „წითელი ნუსხით“ დაცული მერქნიანი მცენარეები;

არ მდებარეობს - 20⁰ -ზე მეტი დაქანების ფერდობებზე;

არ მდებარეობს - სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, სადაც 1 ჰა-ზე არსებული მერქნული რესურსის მარაგი (გარდა ბუჩქნარისა) აღემატება 50 მ³ -ს.

წარმოდგენილ ფართობზე, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

პატივისცემით,

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი





**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო**



KA020175428366420

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6904

23 / სექტემბერი / 2020 წ.

სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50353/14725 20.07.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტის V და VI უბნის მცირე ნაწილი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, „სასარგებლო წიალისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს N136 დადგენილებით დამტკიცებულ დებულების 2¹ მუხლის 1¹ პუნქტის თანახმად, ის შემზღვეველი გარემოებები, რომლებიც სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიალით სარგებლობისას არის დადგენილი, არ ვრცელდება შესწავლა-მოპოვების მიზნით ლიცენზიის გაცემისას სასარგებლო წიალისეულის შესწავლის პერიოდზე. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, შემზღვევის ზონებში არ დაიშვება წიალისეულის მოპოვებითი სამუშაოები.

როგორც ლიცენზიის გამცემი ადმინისტრაციული ორგანოსთვის, ისე სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მისაღებად აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირისათვის, მნიშვნელოვანია, წინასწარ იყოს ცნობილი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიალისეულის მოპოვებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი შემზღვევის თაობაზე და იმ შემთხვევაში თუ მოპოვების ეტაპზე გადასვლისას კვლავ იარსებებს შემზღვეველი გარემოებები, ლიცენზიანტს არ ექნება მოპოვებითი სამუშაოების უფლება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სასარგებლო წიალისეულის შესწავლის ეტაპისთვის არ არსებობს შემზღვეველი გარემოებები, სსიპ - წიალის ეროვნული სააგენტო ვალდებულია შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისთვის დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაგრთოთ, როგორც დაინტერესებული უწყება და გთხოვთ ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილ შემზღვევის არსებობის თაობაზე. ამასთან, წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში სსიპ - წიალის ეროვნული სააგენტო კვლავ მოგმართავთ შესწავლის დასრულების შემდგომ, მოპოვებისთვის არაპერსპექტიული უბნების გამოკლებით დარჩენილ ფართობებთან მიმართებით შემზღვეველი გარემოებების არსებობის დადგენის მიზნით.

გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მოგვანოლოთ ინფორმაცია მითითებულ ტერიტორიასთან დაკავშირებით, დებულების 2¹ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემზღვეველი გარემოებების თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი, Shap -ფაილი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/ მტარდასმულია ელექტრონულად

მერაბ ჩალათაშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020165010425620

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/7478

19 / ოქტომბერი / 2020 წ.


სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ
სააგენტოს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50353/14725 20.07.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტის მცირე ნაწილი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე (სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს წერილი № 11/5172 09.10.2020 წ. თან ერთვის).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი, Shap -ფაილი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს სსიპ
წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ნანა ზამთარაძე



KA021729753520020

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/58804

28 / ოქტომბერი / 2020 წ.

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში განსახილველად შემოსული თქვენი 19.10.2020წ. № 22/7478 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში თუ სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია წერილში გათვალისწინებული საქმიანობისათვის გაიცეს ლიცენზია, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი თქვენს მიერ ზემოხსენებულ კორესპონდენციაში დასმული საკითხი განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:


- ლიცენზიის მფლობელის მიერ გაიცემა თანხმობა, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

მისამართი: თბილისი, 0179 ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელეფონი: 599 90 25 20
ელ. ფოსტა: ngujaraidze@greenalt.org

ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი
ს/კ: 404432565
წარმომადგენელი: თამთა მიქელაძე, დირექტორი
მისამართი: თბილისი, ი. აბაშიძის ქ.12 ბ
ტელეფონი: 599 15 59 77
ელ. ფოსტა: tamta.mikeladze@socialjustice.org.ge

მოქალაქე გრიგოლ გაგნიძე
პირადი #: 35001025997
მისამართი: რუსთავი, 3700, მარჯანიშვილის ქ 3/4
ტელეფონი: 599 19 60 10
ელ. ფოსტა: gogagagnidze@gmail.com

ადმინისტრაციული საჩივარი

15.10.2021

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები:

1. „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება;
2. „მპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება;
3. „მპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
შეკვეთის № <u>14921/21</u>
<u>18.10</u> 20 <u>21</u>
<u>17.337</u> ფოსტალი

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება;
2. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება;
3. ბათილად იქნეს მისი ძალაში შესვლის დღიდან - “შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება;

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

1. 2021 წლის 3 ივნისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა № 689/ს ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი ათწლიანი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაყიდვის გეგმა. კერძოდ გადაწყდა:
 1. დამტკიცებულიყო აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია;
 2. გამოცხადებულიყო ელექტრონული აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ამავე ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის შესაბამისად;
 3. ელექტრონული აუქციონი ჩატარებულიყო ინტერნეტგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით;
 4. ბიჯის სიდიდე განსაზღვრულიყო საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
 5. აუქციონის ჩატარება ეთხოვა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს.

მტკიცებულება:

დანართი #1: „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება;

2. ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალებში წარმოდგენილი გეოლოგიური პაკეტების თანახმად, განიხილებოდა აუქციონზე შემდეგი ობიექტების გამოტანა: შქმერის მანგანუმის საბადოს უბანი ქარნათი - 229 120 მ² ფართობით და შქმერის მანგანუმის საბადოს უბანი შქმერი, კოლოსი-ბლაძე და მიმდებარე ტერიტორია - I უბანი - 248 630 მ², II უბანი - 10 060 მ², III – 8 400 მ², IV უბანი - 206 990 მ², V უბანი - 72 010 მ², VI უბანი - 157 500მ², VII უბანი - 598 360 მ² - ჯამში 1531070 მ² (153,1070ჰა)

მტკიცებულება:

დანართი #2: გეოსაინფორმაციო პაკეტი 50521_15637_ID_2020

დანართი #3. გეოსაინფორმაციო პაკეტი 50353_14725_ID_2020

3. 2021 წლის 9 ივლისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა ბრძანება #898/ს „მპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

ბრძანებით, მპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით გაიცა:

ა) დაუწესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 229120 კვ. მ) დანართით განსაზღვრულ X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდების შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღის სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

ე) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;

ვ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ზ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობოდ და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც

არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

თ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ი) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;

კ) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის შესაკუთრესთან შეთანხმებით;

ლ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ნ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ო) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

პ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტკრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ჟ) არ დაზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულელებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

რ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ს) ექსპლუატაციისას შეწყვეტილი პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ტ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო სამისათვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და

ფუჟი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის შესაკურთხეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის N9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

ყ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

შ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.

ჩ) „ა“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.

ც) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (#1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ძ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეული მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

წ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჭ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

ხ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის

მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იძვიათი მეცნიერული ან უსთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

χ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის #1624, 10.09.2020წ. (ID_15637_50521) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

მტკიცებულება:

დანართი #4: „შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება;

4. 2021 წლის 9 ივლისის სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა ბრძანება #899/ს „შპს „მწ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“.

ბრძანებით, შპს „მწ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლამე) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით გაიცა:

ა) დაუწესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (I უბანი ფართობით 248 630 მ2, II უბანი ფართობით 10 060 მ2, III ფართობით 8 400 მ2, IV უბანი ფართობით 206 990 მ2, V უბანი ფართობით 72 010 მ2, VI უბანი ფართობით 157 500მ2, VII უბანი ფართობით 598 360 მ2) დანართით განსაზღვრულ X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ

დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბალოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბალოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

ე) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 20 (ოცი) მოქალაქის დასაქმება;

ვ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ზ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხშობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

თ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ი) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;

კ) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის შესაკუთრესთან შეთანხმებით;

ლ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ნ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ო) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამში აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

პ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ქ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენარეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში უკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და ღკომა;

რ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ს) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოლინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ტ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო სამისათვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის შესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 ოქტომბრის N9943/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

ყ) სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოების და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს;

შ) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ არქეოლოგიის მეთვალყურეობით, არქეოლოგი ვალდებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევა და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები;

ჩ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

ძ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.

წ) „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.

წ) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების

ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (#1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის #271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #450 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ქ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეული მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჯ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადამი სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.

კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იმჟამითი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის #1669, 21.09.2020წ. (ID_14725_50353) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

მტკიცებულება:

დანართი #5. “სპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ” სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება;

5. მწვანე ალტერნატივამ 2021 წლის 6 აგვისტოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართა სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემერში მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია. პასუხად, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 აგვისტოთი დათარიღებული #22/311 წერილი მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 16 სექტემბერს გადაეცა; ამასთან მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო სრულად გადმოცემული, დამატებითი მიმართვის საფუძველზე მწვანე ალტერნატივას მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად 2021 წლის 29 სექტემბერს გადაეცა.

გრიგოლ გაგნიძემ 2021 წლის 28 სექტემბერს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართა სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქემერში მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების შესახებ ინფორმაცია. მოთხოვნილი ინფორმაცია გრიგოლ გაგნიძეს 2021 წლის 15 ოქტომბერს გადაეცა.

მტკიცებულება:

- დანართი #6. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 6 აგვისტოს № 21/03-851 წერილი;
- დანართი #7. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 აგვისტოს #22/311 წერილი;
- დანართი #8. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 2 სექტემბრის № 21/03-857 წერილი;
- დანართი #9. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 29 სექტემბრის #22/311 წერილი;
- დანართი #10. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 28 სექტემბრის წერილი;
- დანართი #11. წიაღის ეროვნული სააგენტოს 28 სექტემბრის წერილი;
- დანართი #12. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 8 ოქტომბრის წერილი;
- დანართი #13. წიაღის ეროვნული სააგენტოს 15 ოქტომბრის წერილი;

გასაჩივრებული აქტებით მიღებულია გადაწყვეტილებები, რომელთაც უცილობლად ექნება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა. ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დაინტერესებული პირების მონაწილეობის უფლება გარანტირებულია „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციით. ადმინისტრაციული საჩივრის ავტორებს არ მოგვეცა გასაჩივრებული აქტების გამოცემის პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ გრიგოლ გაგნიძე ფლობს მიწას ონის მუნიციპალიტეტის სოფ. შქმერის ტერიტორიაზე - გასაჩივრებული აქტებით მიღებული გადაწყვეტილებით ნებადართული საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე - სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები პირდაპირ და უშუალო ზიანს აყენებს მის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, რომლებიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, არაერთი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტით.

შესაბამისად, წინაშედგარე ადმინისტრაციული საჩივარი წარმოადგენს ჩვენი დარღვეული უფლების დაცვის სამართლებრივ საშუალებას.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს და მასზე ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.
2. გასაჩივრებული „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ და სხვა საკანონმდებლო, თუ კანონქვემდებარე აქტების დებულებებთან. მიგვაჩნია, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც ბათილად უნდა იქნას ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი, მეორე და მეშვიდე ნაწილების თანახმად, შემდეგ გარემოებათა გამო:

2.1 საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. აღმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანების გამოცემის შესახებ.

2.1.1 კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

2.1.2. კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე უფლება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

2.1.3 კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად,

1. თითოეული მხარე:

ა) | დანართში ჩამოთვლილი შემოთავაზებული საქმიანობის ნებართვაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს;

ბ) საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში აგრეთვე გამოიყენებს წინამდებარე მუხლის დებულებებს იმ შემთავაზებულ საქმიანობებში, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი | დანართში, თუმცა შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ გარემოზე.

2. ვინაიდან დაგეგმილ საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე და საქმიანობა შედის კონვენციის | დანართით გათვალისწინებული საქმიანობის ჩამონათვალში დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური მეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით)

გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე მათ შორისაა შემდეგი საკითხები:

- ა) შემოთავაზებული საქმიანობა და განაცხადი, რომელზეც იქნება მიღებული გადაწყვეტილება;
- ბ) შესაძლებელი გადაწყვეტილებების ხასიათი ან გადაწყვეტილების პროექტი;
- გ) ხელისუფლების ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილების მიღებაზე;
- დ) გათვალისწინებული პროცედურა იმის ჩათვლით თუ როდის და როგორ იქნება ეს ინფორმაცია მოწოდებული:

- I) პროცედურის განხორციელების დაწყება;
- II) საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობანი;
- III) ნებისმიერი წინასწარ დაგეგმილი სახალხო მოსმენის დრო და ადგილი;
- IV) მითითება ხელისუფლების ორგანოდან, საიდანაც სათანადო ინფორმაციის მიღება შესაძლებელი და სადაც ეს ინფორმაცია იგზავნება საზოგადოებისათვის განსახილველად;
- V) შესაბამისი ხელისუფლების ორგანოს ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფო უწყების მითითება, რომელსაც შესაძლებელია გაეგზავნოს შენიშვნები, კითხვები და მათი წარდგენის განრიგი;
- VI) მითითება იმის შესახებ თუ შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებული რომელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია არის ხელმისაწვდომი;

ე) ფაქტი, რომ საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნულ თუ ტრანსსასაზღვრო პროცედურას.

3. საზოგადოების მონაწილეობის პროცედურები სხვადასხვა ფაზებისათვის ითვალისწინებს გონივრულ ვადებს, რითაც ზემოთ, მეორე პუნქტის შესაბამისად იძლევა საკმარის დროს საზოგადოების ინფორმირებისათვის და გარემოს დაცვის საკითხების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მომზადებისა და მონაწილეობისათვის.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას ადრეულ ეტაპზე, როდესაც ვარიანტები ღიაა და საზოგადოებას აქვს მასში ეფექტური მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

5. ყოველი მხარე, სადაც ეს შესაძლებელია, ვალდებულია განაცხადის წარდგენამდე წაახალისოს პოტენციური მონაწილეები განსაზღვროს დაინტერესებული საზოგადოება, გამართოს მასთან მსჯელობა და განაცხადის წარდგენამდე მიაწოდოს მას ინფორმაცია მათი განაცხადების ამოცანებზე ნებართვის მიღების შესახებ.

6. ყოველი მხარე კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოსაგან მოითხოვს, მოთხოვნის შესაბამისად, თუკი ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა, მისცეს დაინტერესებულ საზოგადოებას საშუალება, როგორც კი ამის შესაძლებლობა გამოჩნდება, უფასოდ და დროულად შეამოწმოს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად იქნება საჭირო, რომელზეც ამ მუხლშია საუბარი და რომელიც საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის მომენტისათვის ხელმისაწვდომი იქნება მხარეების იმ უფლების შელახვის გარეშე, რაც გულისხმობს გარკვეული ინფორმაციის გამჟღავნებაზე უარის თქმას, (მეოთხე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად). ასეთ ინფორმაციაში შევა მინიმუმ მეოთხე მუხლის ინფორმაცია ამ მუხლის პირობების დარღვევის გარეშე:

- a) სავარაუდო საქმიანობის ადგილის და ფიზიკურ-ტექნიკური მახასიათებლების აღწერილობა მოსალოდნელი ნარჩენებისა და გამონაბოლქვების შეფასების ჩათვლით;

- b) იმ მნიშვნელოვანი გავლენის აღწერა, რომელსაც მოახდენს შემოთავაზებული საქმიანობა გარემოზე;
- c) იმ ღონისძიებების აღწერა, რომელიც გათვალისწინებულია შედეგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად, გამონაბოლქვების ჩათვლით;
- d) ზემოაღნიშნულის არატექნიკური შეჯამება;
- e) განმცხადებლის მიერ შესწავლილი ძირითადი ალტერნატივის მონახაზი;
- f) ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ის ძირითადი მოხსენებები და ინფორმაცია, რომელსაც გამოსცემს ხელისუფლების ორგანო იმ დროისათვის, როდესაც დაინტერესებულ საზოგადოებას ზემოთ მოცემული მეორე პუნქტის მიხედვით უნდა მიეწოდოს ინ ფორმაცია.

7. საზოგადოების მონაწილეობისათვის დადგენილი პროცედურა ნებას რთავს საზოგადოებას წარადგინოს საზოგადოების მოსმენაზე ან შეკითხვისას წერილობითი სახით, განმცხადებლის ხელით ნებისმიერი პენიშნა, ინფორმაცია, ანალიზის შედეგი ან აზრი, რომელსაც იგი შემოთავაზებული საქმიანობისათვის შესატყვისად მიიჩნევს, თუკი ეს ხელსაყრელია.

8. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს.

2021 წლის 3 ივნისს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსმა გამოსცა № 689/ს ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარედ 153,1070ჰა ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიების გაყიდვის გეგმა.

მიღებული გადაწყვეტილება სრულად შესაბამება კონვენციის I დანართის მე-16. პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას - „მადაროები და კარიერები, სადაც ღია წესით მოპოვების ადგილის ზედაპირი აღემატება 25 ჰექტარს ან მიწისქვეშა მოპოვება, სადაც სამთო-სამუშაოების გავლენის ზონა აღემატება 150 ჰექტარს“. შესაბამისად, საზოგადოებისათვის ცნობილი უნდა გამხდარიყო დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია; ასევე, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კონვენციით ნათლად განსაზღვრული პროცედურის დაცვით, საზოგადოების მონაწილეობა. კონვენციის არცერთი ეს მოთხოვნა შესრულებული არ ყოფილა.

2.1.4 კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად,

9. ყოველი მხარე ვალდებულია შესაბამისი პროცედურის მიხედვით დაუყონებლივ აცნობოს საზოგადოებას ხელისუფლების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. ყველა მხარე ვალდებულია ნება დართოს საზოგადოებას, გაეცნოს გადაწყვეტილების ტექსტს, იმ მიზეზებისა და შეხედულებების ჩათვლით, რომელსაც გადაწყვეტილება დაეყრდნო.

მიღებული გადაწყვეტილებები არ გამხდარა საზოგადოებისათვის ცნობილი. მეტიც, გადაწყვეტილებების მიღებისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების მოპოვება მწვანე ალტერნატივამ მხოლოდ დამატებით კონკრეტული დოკუმენტების მოთხოვნის შედეგად შესძლო და გადმოცემული დოკუმენტების შინაარსიდან ნათელია, რომ სრულად დოკუმენტაცია კვლავაც არ გადმოგვეცვია.

გრიგოლ გაგნიძეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის განსახილველად კი, სსიპ წიაღის ეროვნულმა სააგენტომ, სრულიად უკანონოდ, ხელმოწერილი განცხადების წარდგენა მოსთხოვა, რითაც დამატებითი ბარიერი შეუქმნა ინფორმაციის მოსაპოვებლად.

2.1.5 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“.

როგორც მიღებული გადაწყვეტილების შინაარსიდან ნათელია, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

2.2. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად:

მოქალაქეს უფლება აქვს:

- ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;
- ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;
- გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით ჩვენთვის მონიჭებული ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა ჩვენი საარსებო გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

2.3. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად:

ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება საქართველოს კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი თავისუფლად სარგებლობის უფლებები ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება გარემოს დაცვაზე ზრუნვის ჩვენი უფლების უგულებელყოფით მოხდა. ამავდროულად, ამ გადაწყვეტილებების წინასწარი შეფასების გარეშე მიღებით, სახელმწიფომ უგულებელყო ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობის უზრუნველსაყოფის შესახებ მისი ვალდებულება.

3. გასაჩივრებული „მპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/6405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება და „მპს „მნ ნორთი“-ზე (ს/6405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 9 ივლისის N899/ს ბრძანება - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად

წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, შესაბამისად, დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი აქტის გამოცემის მომწესრიგებელ და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტების დებულებებთან. მიგვაჩნია, რომ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის N898/ს და #899/ს ბრძანებები გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც, ბათილად უნდა იქნას ცნობილი მათი ძალაში შესვლის დღიდან სსაქ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

3.1. ბრძანებები გამოცემულია კანონსაწინააღმდეგო აქტის - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანების საფუძველზე.

3.2 ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ აქტების გამოცემისას გააგრძელა „გარემოსთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნების უგულებელყოფა.

3.3. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად:

მოქალაქეს უფლება აქვს:

ა) ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;

ბ) სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;

გ) მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება “გარემოს დაცვის შესახებ” კანონით ჩვენთვის მონიჭებული ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები, ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა ჩვენი საარსებო გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და ჩვენი მონაწილეობის გარეშე.

3.4. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად:

ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებებით ილახება საქართველოს კონსტიტუციით ჩვენთვის მონიჭებული ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრებისა და ბუნებრივი გარემოთი თავისუფლად სარგებლობის უფლებები ვინაიდან გადაწყვეტილებები მიღებული იქნა გარემოსათვის ზიანის მიყენების რისკების წინასწარი შეფასებისა და მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შემსუბუქებისათვის ღონისძიებების დაგეგმვის გარეშე. მიღებული გადაწყვეტილება გარემოს დაცვაზე ზრუნვის ჩვენი უფლების უგულებელყოფით მოხდა. ამავდროულად, ამ გადაწყვეტილებების წინასწარი შეფასების გარეშე მიღებით, სახელმწიფომ უგულებელყო ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობის უზრუნველსაყოფის შესახებ მისი ვალდებულება.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რის საფუძველზეც გთხოვთ:

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
2. განიხილოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირის აუცილებელი მონაწილეობით;
3. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება;
4. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „მპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება;
5. ბათილად იქნეს ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან - „მპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება;

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. „სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის № 689/ს ბრძანება - ელექტრონული ვერსია;
2. გეოსაინფორმაციო პაკეტი 50521_15637 ID_2020 - ელექტრონული ვერსია;
3. გეოსაინფორმაციო პაკეტი 50353_14725_ID_2020 - ელექტრონული ვერსია;
4. „მპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #898/ს ბრძანება - ელექტრონული ვერსია;
5. „მპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 9 ივლისის #899/ს ბრძანება - ელექტრონული ვერსია;
6. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 6 აგვისტოს № 21/03-851 წერილი - ელექტრონული ვერსია;
7. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 27 აგვისტოს #22/311 წერილი - ელექტრონული ვერსია;
8. მწვანე ალტერნატივას 2021 წლის 21 სექტემბრის № 21/03-857 წერილი - ელექტრონული ვერსია;
9. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 29 სექტემბრის #22/311 წერილი - ელექტრონული ვერსია;
10. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 28 სექტემბრის წერილი - ელექტრონული ვერსია;
11. წიაღის ეროვნული სააგენტოს 28 სექტემბრის წერილი - ელექტრონული ვერსია;

12. გრიგოლ გაგნიძის 2021 წლის 8 ოქტომბრის წერილი - ელექტრონული ვერსია;
13. წიაღის ეროვნული სააგენტოს 15 ოქტომბრის წერილი - ელექტრონული ვერსია;
14. ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - ელექტრონული ვერსია;
15. რწმუნებულება - 2 ფურცელი;
16. ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან - ელექტრონული ვერსია;
17. გრიგოლ გაგნიძის პირადობის მოწმობის ასლი.

დანართი სულ: 3 ფურცელი და 1 კომპაქტური დისკი.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორები:

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი
ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა



თამთა მიქელაძე
8.1	<p>მადნიანი ფართის გეოლოგიური აგებულება - შქმერის მანგანუმის საბადო სამი უბნისაგან შედგება - შქმერი, კოლოსი-ბლაშე და მეღუმერი. პირველი ორი შქმერის ცარცული სინკლინური დეპრესიის ფარგლებში მდებარეობს, ხოლო მესამე - მეღუმერის უბანი მათგან სამხრეთით არის განლაგებული. სალიცენზიო ობიექტი მოიცავს შქმერის (III უბანი) და კოლოსი-ბლაშეს (VI უბანი) უბნების ნაწილს, ხოლო დანარჩენი უბნები განლაგებულია მიმდებარე ტერიტორიაზე.</p> <p>შქმერის საბადოს ფარგლებში, ზედა ცარცულ (ტურონული იარუსი) კირქვებზე და „მოთავარის“ ვულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ არის განლაგებული ოლიგოცენ-ქვედა მიოცენური ნალექები, რომლებიც შქმერის სინკლინის მულდას აგებს. ნალექების ფუძეში განლაგებულია მსხვილ- და საშუალომარცვლოვანი კვარცარკოზული ქვიშები და ქვიშაქვები, კირქვისა და კაის ქვარგვალებით. მათი სიმძლავრე იცვლება რამდენიმე სანტიმეტრიდან 8-10 მ-დე, ხოლო აღმოსავლეთით, კოლოსი-ბლაშეს უბანზე 50 მ-ს აღწევს. კვარცარკოზული ქვიშაქვების ზედა პორიზონტები გაუღენთილია მანგანუმის ქანგულებით და უფრო ზევით გადადის პროდუქტულ პორიზონტში, რომელიც თავის მხრივ გადაფარულია მაიკოპის წყების არაკარბონატული ქვიშის თიხებით. თიხები ხასიათდება ერთგვაროვნებით, ზედა ნაწილში შეიცავს ქვიშაქვებისა და მერგულების იშვიათ შუაშრებს. საბადოზე მაიკოპის წყების დიდი ნაწილი ეროზიითაა გადარეცხილი.</p> <p>ოლიგოცენ - ქვედა მიოცენური ქანები სალიცენზიო უბნის გარეთ გადაფარულია ხაკმაოდ მძლავრი მეოთხეული ალუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით.</p> <p>შქმერის საბადოს მანგანუმიანი პორიზონტის აგებულება და გამადნების ხასიათი ჭიათურის საბადოს დარკვეთისა და სარკის ზეგნების მადნიანი წყებების იდენტურია.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტი საბადოზე წარმოადგენს დაქანებული და კარბონატული მადნების შრეების სერიას, რომელიც ასევე მორიგეობს ქვიშის თიხებთან და კვარცთან ქვიშაქვებთან. მადნიანი შუაშრეების რიცხვი წყებაში 3-დან 10-12-მდე იცვლება. ცალკეული შუაშრის სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა. მანგანუმიანი პორიზონტის ჯამური სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.</p> <p>მანგანუმის მადანი ზედაპირზე გამოსავლებში დაქანებული ან ნაწილობრივ დაქანებულია, სიღრმეში კარბონატულია, მარცვლოვანი (ოლითური) ან მასიურია, ზოგჯერ ფოროვანი. ოლითების დიამეტრი ძირითადად 1-2 მმ-ია, იშვიათად 10 მმ-დე. მადანთშორისი თიხებისა და ქვიშაქვების შუაშრეების სიმძლავრე 0,1-0,8 მ-ია.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტის ფუძეში ქვიშაქვები გაუღენთილია მანგანუმის ქანგულებით ან კარბონატით. ამ ქანების სიმძლავრე მაქსიმუმ 2,0-2,5 მ-ია.</p> <p>მანგანუმიანი პორიზონტში, სიღრმის მიმართულებით, აღინიშნება გამადნების ხასიათის ცვლილება - დაქანებული მადნები სწრაფად იცვლებიან კარბონატულით. ასევე, სიღრმის გასრდასთან ერთად, მატულობს შრეთაშორისი უმადნო ინტერვალები. სიღრმეში, 10 მ-ის ქვემოთ, მადნების ქანგვა აღინიშნება მხოლოდ ნაპრალებისა და დაშრეების გასწვრივ, ამით ქვემოთ კი, მანგანუმის კარბონატული მადნებია გავრცელებული.</p> <p>შქმერის საბადოს მადნების ძირითადი მასა კარბონატულია, რომელიც გამოსავლებზე დაქანებულია. ზედაპირზე გაშიშვლებული კარბონატული მადანი თითქმის არ გვხვდება. მადნეული სხეულების განლაგება სხვადასხვა უბნებზე განსხვავებულია. შქმერის უბანზე მანგანუმის პორიზონტისთვის დამახასიათებელია ტალღოვანი ზედაპირი, შრეები უმნიშვნელოდ ილუწება და იძირება მცირე სიღრმეზე. უბ. კოლოსი-ბლაშეზე მანგანუმიანი პორიზონტი დაკავშირებულია სინკლინის ფრთასთან, რომელიც დაქანებულია ჩრდილოეთით, 25-30° კუთხით.</p>
8.2	მადნიანი სხეულის მორფოლოგიური ტიპი - ფენობრივი
8.3	მადნიანი სხეულის (სხეულების) გავრცელება (მიმართებით და დაქანებით) - ლიმიტირებულია სალიცენზიო ობიექტის პარამეტრებით.
8.4	მადნიანი სხეულის (სხეულების) სიმძლავრე - ცალკეული შრეების სიმძლავრე 0,1-0,2 მ-დან 0,6-0,7 მ-დეა, მანგანუმიანი პორიზონტის ჯამური სიმძლავრე 5,0 მ-ს აღწევს.
8.5	მადნიანი სხეულის (სხეულების) წოლის ელემენტი - შქმერის უბანზე მანგანუმიანი პორიზონტი თითქმის პორიზონტალურად არის განლაგებული, უბ. კოლოსი-ბლაშეზე დაქანების კუთხე 25-30°-ია.
8.6	დამატებითი მონაცემები -
9	ობიექტის შესწავლის ხარისხი და სასარგებლო წიაღისეულის გეოლოგიურ-ტექნოლოგიური დახასიათება
9.1	საძიებო ქსელი ძებნა-ძიების სტადიურობის ჩვენებით - შქმერის საბადოზე, სადაც განლაგებულია III და VI უბნები, B კატეგორიის მარაგები დაძიებულია ქსელით 200 x 200 მ-ზე, ხოლო C ₁ კატეგორიისა 400 x 400 მ-ზე. დანარჩენი უბნები მდებარეობს მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც არ არის შესწავლილი.
9.2	საძიებო სამუშაოები - შქმერის საბადოზე გაყვანილია თხრილები, შურფები, ჭაბურღილები, შტოლნები.
9.3	დასინჯვა - საბადოზე აღებული დარული და კერნული, აგრეთვე ლაბორატორიულ-ტექნოლოგიური სინჯები.

9.4	<p>ლაბორატორიული და ტექნოლოგიური კვლევის შედეგები – შქმერის საბადოზე გამოყოფილია კარბონატული და დაქანებული მადნები. კარბონატული მადანი ოლითური, მასიურია, იშვიათად ფორფანი. შედგება კარგად გამოხატული კარბონატული ოლითებისაგან ზომებით 1-2 მმ-დან 5-6 მმ-მდე, იშვიათად 10 მმ. კარბონატული მადნიანი მინერალების გავრცელება რაიმე კანონზომიერებას არ ემორჩილება. დაქანებული მადანი ძირითადად შეიცავს ვერნადიტ-ფსილომელანის შედგენილობის მანგანუმის მინერალებს. მადნის ცემენტია თიხა-ხილიკატური, მანგანუმის და რკინის პიდროქსიდებით გაუღებელი მასალა.</p> <p>მადნების მინერალური შედგენილობა: მთავარი მადნიანი მინერალები – როდოქროზიტი, მანგანოკალციტი, ფსილომელანი. მეორე რიგის მადნიანი მინერალები – ვერნადიტი, რანსეიტი, მანგანიტი, პირიტი, მარკაზიტი. იშვიათი მადნიანი მინერალები – ჰემატიტი, ჰეტრიტი, პიდროქტიტი, პიდროქმატიტი, პიროტინი, რუტილი. არამადნეული მინერალები – კალციტი, ქალკედონი, კვარცი.</p> <p>მადნების ქიმიური შედგენილობა: – კარბონატული მადნები: SiO₂-14,4%; Al₂O₃- 3,5%; Fe₂O₃ -1,5%; CaO-19,0%; MgO-2,5%; P₂O₅ -0,14%; S საერთო – 0,53. – დაქანებული მადნები: SiO₂-22,7%; Al₂O₃- 10,93%; Fe₂O₃ -3,29%; FeO -1,5%; CaO-3,1%; MgO -0,25%; P₂O₅ -0,13%; S საერთო – 0,08%.</p> <p>მანგანუმის შემცველობა მადანში: <u>შქმერ:</u> – დაქანებული მადნები – 14,45-29,50%; – კარბონატული მადნები – 13,63-23,40%; <u>კოლიხი-ბლაშე:</u> – დაქანებული მადნები – 12,81-32,53%; – კარბონატული მადნები – 9,55-22,86%;</p> <p>მადნების მოცულობითი წონა: – დაქანებული მადნები – 2,0; – კარბონატული მადნები – 2,4.</p>
9.5	პიკიენურ-რადიაციული კვლევა და შედეგები – არ არის შესწავლილი
9.6	სასარგებლო წიაღისეულის გამოყენების სფერო – მეტალურგიულ წარმოებაში
9.7	დამატებითი მონაცემები –
10	სასარგებლო წიაღისეულის მარაგები
10.1	ობიექტის ფართის დაძიების ხარისხი (სტადია) – შქმერის საბადოზე, სადაც განლაგებულია III და VI უბნები, ნატარებულია ძიება, კვლავდაძიება. დანარჩენი უბნების ტერიტორია არ არის დაძიებული.
10.2	ობიექტის ფართობი მარაგების ანგარიშის კონტურში – I უბანი – 248630 მ ² , II უბანი – 10060 მ ² , III უბანი – 8400 მ ² , IV უბანი – 206990 მ ² , V უბანი – 72010 მ ² , VI უბანი – 157500 მ ² , VII უბანი – 598360 მ ² .
10.3	მადნიანი სხეულის ძირითადი პარამეტრები –
10.4	მარაგების გამოთვლის მეთოდი –
10.5	წიაღისეულის რაოდენობრივი მაჩვენებლები მარაგების და პროგნოზული რესურსების კატეგორიების მიხედვით (A+B+C ₁ +C ₂ და P) –
10.6	თანმდები სასარგებლო წიაღისეული და მისი კომპონენტების მარაგები –
10.7	მარაგების გაზრდის ძირითადი მიმართულებები –
10.8	დამატებითი მონაცემები –
11	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების პირობები
11.1	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების პიდროგეოლოგიური და სამთო ტექნიკური პირობები –
11.2	წიაღისარგებლობის ობიექტის დამუშავების მეთოდი – ღია (კარიერული) წესი, მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით. ობიექტზე გეოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი
11.3	წიაღისარგებლობის ობიექტის ტოპოგრაფია – გამომუშავების მომენტისათვის საჭიროა შედგეს ობიექტის ტოპოგეგმა.
12	წიაღისარგებლობის ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ვიზუალური შეფასება
12.1	წიაღისარგებლობის ობიექტის მორფოლოგია – წიაღისარგებლობის ობიექტი (მანგანუმი) წარმოდგენილია შვიდ უბნად და მდებარეობს ზემო რაჭის საშუალომთიან ზონაში, რომელიც მოიცავს რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობზე და თამარ დელოფლის კედლების სამხრეთ ფერდობზე არსებულ მთის მასივებსა და მდ. ხეურის ხეობის ნაწილს. მთლიანობაში ობიექტის უბნების რელიეფი წარმოდგენილია კირქველი მთების, ხერების, გორაკების, პლატოებისა და

	<p>დეპრესიების მორიგეობით, სადაც წამყვანი გეომორფოგენეზისში კარსტული და ეროზიული პროცესებია.</p> <p>წიაღისარგებლობის ობიექტის I, IV და VI უბანი ვრცელდება ზღვ. დონ. 2352 მ. აბს. სიმაღლის მთა წითელი კლდის სამხრეთ, სამხრეთ-დასავლურ და სამხრეთ-აღმოსავლური ექსპოზიციის მქონე ფერდობების ზედა და ქვედა ნაწილებზე, რომლის რელიეფი არათანაბარი დახრილობის მქონეა (საშ. 30-40⁰), ტერიტორია კი დაფარულია სუბალპური ბუნქნარითა და ალაპური მდელოებით.</p> <p>ობიექტის VII უბანი მოიცავს რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობზე არსებულ ხრთლუეთის ხეხლით ცნობილ, ვრცელი სერის თხემურ ნაწილსა და ჩრდილო ფერდობს, რომელიც დაფარულია მცენარეული საფარით, რელიეფი კი დახრილია მდ. ხეურის ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კარსტული დეპრესიების მიმართულებით.</p> <p>წიაღისარგებლობის ობიექტის III უბანი წარმოდგენილია მდ. ხეურის მარჯვენა ფერდობზე არსებული შემაღლებული, პლატოსმაგვარი რელიეფის მქონე ტერიტორიით, რომელიც უბანიხეებულია და ათვისებულია მოსახლეობის მიერ სათვის-სავარგულებით და შენობა-ნაგებობებით.</p> <p>ობიექტის II და V უბანი ვრცელდება რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობის მთისწინა ზოლში არსებულ კარსტულ დეპრესიებსა და ზღვ. დონ. 1847 მ. აბს. სიმაღლის უსახელო მთის, სამხრეთული ექსპოზიციის მქონე ფერდობის ქვედა ნაწილში რომელიც ნაწილობრივ დაფარულია მცენარეული საფარით.</p>
12.2	<p>წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორია - წიაღისარგებლობის ობიექტის უბნების ტერიტორია აკუმულირებულია ცარცული და პალეოგენური ასაკის ნახევრადკლდოვანი ქანებით - კირქვებით, მერგელებით, თიხებით, აგრეთვე პალეოგენური კვარც-არკოზული ქვიშაქვებით, ბრექჩიებით, ქვიშაქვებითა და თიხებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია დელუვიონითა და ცვალებადი სიმძლავრის ნიადაგის ფენით.</p> <p>საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას.</p>
12.3	<p>წიაღისარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია (მდინარეული ქვიშა-ხრემის შემთხვევაში ნაპირების ეროზია; კალაპოტში წარმოქმნილი ჭარბი აკუმულაცია და სხვა) - წიაღისარგებლობის ობიექტზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ ფიქსირდება. ობიექტის უბნებისა და მიმდებარე ტერიტორიაზე, წამყვანი გეომორფოგენეზისში კარსტული პროცესებია.</p>
12.4	<p>წიაღისარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი გეოდინამიკური გართულებები - წიაღისარგებლობის ობიექტის უბნებზე შესწავლის და შემდგომში მოპოვების პერიოდში, კარსტული ხიდრეუების ან მღვიმეების გამოსენის შემთხვევაში უნდა შეწყდეს სამუშაოების ჩატარება.</p>
12.5	<p>გეოდინამიკური გართულებების შემთხვევაში გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დასახვა - არ საჭიროებს.</p>
12.6	<p>დასკვნები და რეკომენდაციები -</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საღიკენხიო ობიექტი (მანგანუმი), რომელიც წარმოდგენილია შვიდ უბნად მდებარეობს ონის მუნიციპალიტეტის, სოფ. შქმურის მიმდებარე ტერიტორიაზე; 2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას; 3. ობიექტის V და VI უბნის მცირე ნაწილი ფიქსირდება ტყის ფონდის ტერიტორიაზე, ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან; 4. გამომდინარე ობიექტის უბნების ფართობის სიდიდიდან, ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. ობიექტზე შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შემთხვევაში, ლიცენზიანტმა შესწავლის პერიოდში, პარალელურ რეჟიმში უნდა უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება; 5. წიაღისარგებლობის ობიექტის III უბნის ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები, ამიტომ წიაღისეულზე შესწავლა-მოპოვების სამუშაოების ჩატარებამდე ზემოთაღნიშნული საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურთან; 6. ობიექტიდან 465 მ-ში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, კვეთს "ზურმუხტის ქსელის" ტერიტორიას. ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან; 7. ობიექტის შესწავლის დროს უნდა მოხდეს მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვა; 8. შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემამდე საკითხი უნდა შეთანხმდეს ადგილობრივ თვითმმართველობასთან; 9. აღნიშნული რეკომენდაციების (პუნქტი 3-8) გათვალისწინებით, წიაღისეულის შესწავლა და შემდგომში მოპოვება არ გამოიწვევს არსებული გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

13	გეოლოგიური ინფორმაციის მომზადებისას გამოყენებული ფონდური და ბეჭდური მასალა
13.1	გეოლოგიური ანგარიშის (ან წიგნის) ავტორი (ავტორები) - გ. გერსამია, ვ. თაბაგარი, გ. კეჭუხიძე, რ. ხოჯაევა
13.2	ანგარიშის შედგენის (გამოცემის) ადგილი (გამომცემლობა) და წელი - 1962 წ.
13.3	ანგარიშის ფონდური (საბიბლიოთეკო) ინვენტარული № - №11064


შემსრულებლები:

ს. შკალაიშვილი, ნ. ჩომახიძე, ე. ბაქანიძე, მ. ქიშუცაძე, გ. ბუცხრიკიძე, ი. რობაქიძე

შეთანხმებულია,

სასარგებლო წიაღისეულის მართვის

დეპარტამენტის უფროსი



მერაბ ჩაღათაშვილი



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს იურიდიული პირი
წილის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002204

2021 წლის „ 09 “ ივლისი
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ტექნოლოჯი 2021“-ს, ს/ნ 405 470 869;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: სსიპ წილის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: ტნის მუნიციპალიტეტში, სოფ. შამერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შამერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება; K-38-51-Г-ნ ნომენკლატურის ტოპორუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი); მიწისა და საბითონ მიწაქუთუნის უარყოფი - 229 120 კვ. მეტრი.


მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

სალიცენზიო პირობები: _____


ბანსაგვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №898/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 09.07.2021 დან 10.07.2031 მდე

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი


(ხელმოწერა)

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.


(ხელმოწერა)

ბ.ა



დამკვეთი: სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ქეჩერა“
სუს-ს რეგისტრაციის № 24-5288



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020105950284121

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 898/ს

09 / ივლისი / 2021 წ.

შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №842 განკარგულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებების, 2021 წლის 7 ივლისს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, (აუქციონის შედეგად მე-2 ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „ტექნოლოჯი 2021“ (განაცხადის №396OTH221), სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 11 000 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. გაიცეს შპს „ტექნოლოჯი 2021“-ზე (ს/ნ 405470869) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუნესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (ფართობი 229 120 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური საძიებო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, ეროვნული სააგენტოს მიერ დადგენილ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში დადგენილ ვალდებულებებს.

გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

ე) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;

ვ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ზ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

თ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ი) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმომადგენს უპერსპექტივო უბანს;

კ) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის შესაკუთრესთან შეთანხმებით;

ლ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ნ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ო) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის № 2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

პ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ჟ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

რ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული წიაღისეულის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

ს) იძისპოლიტიკისა და მიწისპოლიტიკის მიზნით პროექტის დასრულების ორთხ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა

ტ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის შესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის №9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;

ყ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

შ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;

ჩ) „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად;

ც) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, წიაღით სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და წიაღისეულის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის № 271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ძ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

წ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჭ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით;


ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;

ჟ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 1624, 10.09.2020 წ. (ID_15637_50521) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მონუმბის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაქონობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერა/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

ოთარი დანელია

დანართი (1 გვ.)

დამტკიცებულია

სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის
2021 წლის 09 ივლისის № 398 ბრძანებით




ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო
წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y
კოორდინატები

№	X	Y
1	369139	4705129
2	369035	4704760
3	368415	4704733
4	368653	4705184
WGS 1984		

ჩაეკონტროლა და დასტურდა მანგანუმის რეზერვუარის საზღვრები და სიღრმე წიაღისეული
კვლევის ჩატარებისათვის.

[Signature] 09.07.2021



K-38-51-Γ-6
 ნომერალტურა 1:10 000 მასშტაბის
 ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

ლიტერატურა
 1002204
 საქართველოს საგარეო ურთიერთობების მინისტრის განკარგულებაში
 1992482

გეგმული უბანი მანკაძის ქუჩის და მდებარეობის
 რუკის შედგენის მიზნით
 სოფ. მკვირის მიხედვით გეგმირების
 სახარებასთან ერთად
 (მანკაძის) ხარვეზების რუკების
 კომპლექსური გეგმის

#	X	Y
1	369139	4705129
2	369035	4704760
3	368415	4704733
4	368653	4705184
S = 229120 კვ.მ.		
WGS 1984		

4706000 4705500 4705000 4704500

369500 369000 368500 368000

368500 368000

367500 367000

369500 369000 368500 368000 367500



საქართველო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 10002205

2021 წლის „ 09 “ „ ივლისი “

(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „მნ ნორთი“-ზე, ს/ნ 405 470 967;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი: _____

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №899/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: _____

ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შამერის მიმდებარე ტერიტორიაზე,

შამერის მანგანუმის (უბანები: შამერი, კოლონი - ბლაშე) შესწავლა-მოპოვება;

K-38-51-ჩ-6 ნომენკლატურის ტოპორუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);

მიწისა და სამთო მიწაქუთუნის უარყოფი - (I უბანი - 248 630 კვ.მ; II უბანი -

- 10 060 კვ.მ; III უბანი - 8 400 კვ.მ; IV უბანი - 206 990 კვ.მ; V უბანი - 72 010 კვ.მ;

VI უბანი - 157 500 კვ.მ; VII უბანი - 598 360 კვ.მ).


მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა: _____

სალიცენზიო პირობები: _____

ბანსაგვრულია სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 09 ივლისის №899/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 09.07.2021 დან 10.07.2031 მდე


სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფლებამოსილი წარმომადგენელი



(ხელმოწერა)



გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.



(ხელმოწერა)

ბ.ა

დამკვეთი: სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ქეჩეო“
სფს-ს რეგისტრაციის № 24-5288



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020177068192721

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 899/ს

09 / ივლისი / 2021 წ.

შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“ დებულების, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემისათვის დამატებითი სალიცენზიო პირობების განსაზღვრაზე თანხმობის გაცემის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №841 განკარგულების, „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 და 2021 წლის 3 ივნისის №689/ს ბრძანებების, 2021 წლის 7 ივლისს ჩატარებული ელექტრონული აუქციონის, (აუქციონის შედეგად პირველ ობიექტზე გამარჯვებული გახდა შპს „მნ ნორთი“ (განაცხადის №396OTH121), სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წელი, ლიცენზიისთვის გადახდილი ფასი 11 000 ლარი) შედეგებისა და სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაიცეს შპს „მნ ნორთი“-ზე (ს/ნ 405470967) ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაშე) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 10 წლის ვადით შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) დაუნესდეს მიწისა და სამთო მინაკუთვნი (I უბანი ფართობით 248 630 კვ.მ; II უბანი ფართობით 10 060 კვ.მ; III უბანი ფართობით 8 400 კვ.მ; IV უბანი ფართობით 206 990 კვ.მ; V უბანი ფართობით 72 010 კვ.მ; VI უბანი ფართობით 157 500 კვ.მ; VII უბანი ფართობით 598 360 კვ.მ) დანართით განსაზღვრული X და Y კოორდინატების ფარგლებში;

ბ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;

დ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა

სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

ე) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 20 (ოცი) მოქალაქის დასაქმება;

ვ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ზ) „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 30 000 (ოცდათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

თ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

ი) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს უპერსპექტივო უბანს;

კ) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით;

ლ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

მ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

ნ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ო) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის № 2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარუდგინოს და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განახორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

პ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

ჟ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების განერება და დგომა;

რ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ტ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

უ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 ოქტომბრის №9943/01 წერილით განსაზღვრული პირობები;

ყ) სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს;

შ) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით. არქეოლოგი ვალდებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები;

ჩ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

ც) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;

ძ) „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად;

წ) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - ნიაღვრის სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, ნიაღვრის სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, ნიაღვრის სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და ნიაღვრის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის № 271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ჭ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს ნიაღვრის სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

ხ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჯ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში, სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით;

ჰ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „წყლის შესახებ“, საქართველოს კანონებით, „საქართველოს ტყის კოდექსით“, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის № 221 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. ასევე, „წყაროდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის


ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 1669, 21.09.2020 წ. (ID_14725_50353) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მონუმბის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად 

ოთარი დანელია

დამტკიცებულია
სსიპ - წიაღისეული მრეწველობის სააგენტოს უფროსის
2021 წლის 25 იანვარს მიწვეული ბრძანებით



ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო
წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y
კოორდინატები

Table I: Coordinates X and Y for 18 points. Sum S = 248 630 კვ.მ

Table II: Coordinates X and Y for 34 points. Sum S = 10 060 კვ.მ


Table III: Coordinates X and Y for 17 points. Sum S = 10 060 კვ.მ

Table IV: Coordinates X and Y for 20 points. Sum S = 206 990 კვ.მ

Table V: Coordinates X and Y for 47 points. Sum S = 10 060 კვ.მ

Table VI: Coordinates X and Y for 22 points. Sum S = 157 500 კვ.მ

Table VII: Coordinates X and Y for 46 points. Sum S = 157 500 კვ.მ



აქვს დასაბუთებული მასშტაბის სახელწოდება
 ობიექტის მდებარეობის აღწერის
 სივრცითი მდებარეობის აღწერის
 სახელწოდებით (მაგნიტუდა)

საზღვრის რეგისტრაციის
კატეგორიის კოორდინატები

I უბანი		IV უბანი		VI უბანი	
X	Y	X	Y	X	Y
92,630	4702927,186	1	3760008,240	1	3760447,595
94,281	4702946,825	2	3759907,420	2	3760426,339
97,484	4702958,513	3	3759805,202	3	3760405,083
98,681	4702978,790	4	3759703,000	4	3760383,827
98,681	4703116,193	5	3759601,000	5	3760362,571
98,681	4703254,596	6	3759500,000	6	3760341,315
98,681	4703392,999	7	3759400,000	7	3760320,059
98,681	4703531,402	8	3759300,000	8	3760298,803
98,681	4703669,805	9	3759200,000	9	3760277,547
98,681	4703808,208	10	3759100,000	10	3760256,291
98,681	4703946,611	11	3759000,000	11	3760235,035
98,681	4704085,014	12	3758900,000	12	3760213,779
98,681	4704223,417	13	3758800,000	13	3760192,523
98,681	4704361,820	14	3758700,000	14	3760171,267
98,681	4704500,223	15	3758600,000	15	3760150,011
98,681	4704638,626	16	3758500,000	16	3760128,755
98,681	4704777,029	17	3758400,000	17	3760107,499
98,681	4704915,432	18	3758300,000	18	3760086,243
98,681	4705053,835	19	3758200,000	19	3760064,987
98,681	4705192,238	20	3758100,000	20	3760043,731
98,681	4705330,641	21	3758000,000	21	3760022,475
98,681	4705469,044	22	3757900,000	22	3760001,219
98,681	4705607,447	23	3757800,000	23	3759979,963
98,681	4705745,850	24	3757700,000	24	3759958,707
98,681	4705884,253	25	3757600,000	25	3759937,451
98,681	4706022,656	26	3757500,000	26	3759916,195
98,681	4706161,059	27	3757400,000	27	3759894,939
98,681	4706299,462	28	3757300,000	28	3759873,683
98,681	4706437,865	29	3757200,000	29	3759852,427
98,681	4706576,268	30	3757100,000	30	3759831,171
98,681	4706714,671	31	3757000,000	31	3759809,915
98,681	4706853,074	32	3756900,000	32	3759788,659
98,681	4706991,477	33	3756800,000	33	3759767,403
98,681	4707129,880	34	3756700,000	34	3759746,147
98,681	4707268,283	35	3756600,000	35	3759724,891
98,681	4707406,686	36	3756500,000	36	3759703,635
98,681	4707545,089	37	3756400,000	37	3759682,379
98,681	4707683,492	38	3756300,000	38	3759661,123
98,681	4707821,895	39	3756200,000	39	3759639,867
98,681	4707960,298	40	3756100,000	40	3759618,611
98,681	4708098,701	41	3756000,000	41	3759597,355
98,681	4708237,104	42	3755900,000	42	3759576,099
98,681	4708375,507	43	3755800,000	43	3759554,843
98,681	4708513,910	44	3755700,000	44	3759533,587
98,681	4708652,313	45	3755600,000	45	3759512,331
98,681	4708790,716	46	3755500,000	46	3759491,075
98,681	4708929,119	47	3755400,000	47	3759469,819
98,681	4709067,522	48	3755300,000	48	3759448,563
98,681	4709205,925	49	3755200,000	49	3759427,307
98,681	4709344,328	50	3755100,000	50	3759406,051
98,681	4709482,731				

S = 226 900 კმ²
 B = 127 500 კმ



K-38-51-Γ-6
 ნომერკატეგორიის 1:50 000 მასშტაბის
 ტოპოგრაფიული რუკის ნაწილი

3000 363500 364000 364500 365000 365500 366000 366500 367000 367500 368000 368500 369000 369500 370000 370500 371000 371500 372000 372500 373000 373500 374000 374500 375000 375500 376000

4695600 4700000 4705000 4710000 4715000 4720000 4725000 4730000 4735000 4740000 4745000 4750000 4755000 4760000 4765000 4770000 4775000 4780000 4785000

Հայրենի հողերի օգտագործման և պահպանման հարցերի մասին
ՀՀ Կառավարության որոշման հիմամբ 2021 թ. 07.09. համար 6 55.

Յ.Բ. 09.07.2021

From: [Nino Gujaraidze](#)
To: Information.NAM.GOV.GE
Subject: შქმერის მანგანუმის მოპოვებისათვის გაცემულ ლიცენზიებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე
Date: პარასკევი, 06 აგვისტო, 2021 13:38:00
Attachments: [image002.png](#)
[image003.png](#)
[image004.png](#)
[image005.png](#)

№ 21/03-851

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელ პირს

გთხოვთ, გადმოგვცეთ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემულ ლიცენზიებთან დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

1. ლიცენზიის გაყიდვისათვის აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების/ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები;
2. ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები;
3. ლიცენზიის პირობების შესრულების შესახებ ანგარიშები და ლიცენზიანტის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი;
4. ლიცენზიის პირობების და კანონის მოთხოვნების შესრულების ყველა შემთხვევის ამსახველი სრული დოკუმენტაციის ასლი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი



გვინალი ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართული
ტელ.: (+99532) 222 38 74
www.greenalt.org



From: [Nino Gujaraidze](#)
To: [Information.NAM.GOV.GE](#)
Cc: [Natia Ksovrelj](#)
Subject: შქმერის მანგანუმის მოპოვებისათვის გაცემულ ლიცენზიებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე
Date: სამშაბათი, 21 სექტემბერი, 2021 02:32:00
Attachments: [image002.png](#)
[image003.png](#)
[image004.png](#)
[image005.png](#)

№ 21/03-857

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გთხოვთ, გადმოგვცეთ:

1. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემულ #10002204 ლიცენზიასთან დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- 1.1. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის #689/ს ბრძანების ასლი;
- 1.2. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის #689/ს ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი სრულად;
- 1.3. 2021 წლის 7 ივლისს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ამსახველი სრული დოკუმენტაცია;
- 1.4. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის #1624, 10.09.2020 (ID15637_50521) სამსახურეობრივი ბარათი;
- 1.5. ირაკლი ნოზაძის განაცხადი ID-15637 და მისი განხილვის ამსახველი დოკუმენტაციას სრულად;
- 1.6. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/6815, 21.09.2020;
- 1.7. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/6813; 21.09.2020;
- 1.8. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/6814, 21.09.2020;
- 1.9. თქვენი 2020 წლის 27 აგვისტოთი დათარიღებული #22/311 წერილით მოწოდებული ირაკლი ნოზაძის წერილის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;

2. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შქმერში მანგანუმის მოპოვების მიზნით გაცემულ #10002205 ლიცენზიასთან დაკავშირებული შემდეგი საჯარო ინფორმაცია:

- 2.1. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის #689/ს ბრძანების ასლი;
- 2.2. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2021 წლის 3 ივნისის #689/ს ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ასლი სრულად;
- 2.3. 2021 წლის 7 ივლისს ელექტრონული აუქციონის ჩატარების ამსახველი სრული დოკუმენტაცია;
- 2.4. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის #1669, 21.09.2020 (ID15637_50353) სამსახურეობრივი ბარათი;
- 2.4. ირაკლი ნოზაძის განაცხადი ID-14725 და მისი განხილვის ამსახველი დოკუმენტაციას სრულად;
- 2.5. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/6897 23.09.2020;
- 2.6. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/645 12.02.2021;
- 2.7. კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს დასკვნა #17/282 08.02.2021;
- 2.8. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/6907 23.09.2020
- 2.9. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/6904 23.09.2020
- 2.10. სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს წერილი #22/7478 19.10.2020;
- 2.11. თქვენი 2020 წლის 27 აგვისტოთი დათარიღებული # 22/311 წერილით მოწოდებული ირაკლი ნოზაძის წერილის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი;


ფ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ქ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 ოქტომბრის №9943/01 წერილით განსაზღვრული პირობები;

ყ) სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს;

შ) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით. არქეოლოგი ვალდებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები;

ჩ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;

ც) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან;

ძ) „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად;

წ) ლიცენზიის მფლობელმა დაიცვას „ტექნიკური რეგლამენტების - ნიაღვრის სარგებლობასთან დაკავშირებული სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგების (საინფორმაციო ანგარიშის) წესის, ნიაღვრის სარგებლობის ობიექტის დამუშავების პროექტის, ნიაღვრის სარგებლობის ობიექტის დამუშავების ტექნოლოგიური სქემისა და ნიაღვრის შესწავლის სამუშაოთა გეგმების შედგენის წესისა და სტატისტიკური დაკვირვების ფორმების (№ 1-01, 1-02, 1-03, 1-04) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის № 271 და „კარიერების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის № 450 დადგენილებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ჭ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დაწყებამდე შეადგინოს ნიაღვრის სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია ამ ბრძანების პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტში მითითებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად;

ხ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად 1 აპრილიდან 1 მაისამდე ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარადგინოს წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ;

ჯ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში, სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით;

ჰ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“, „წიაღის შესახებ“, „წყლის შესახებ“, საქართველოს კანონებით, „საქართველოს ტყის კოდექსით“, „ტყისსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის № 221 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. ასევე, „წყალთადაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის


ვალდებულია დაიცვას ასევე სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის მართვის დეპარტამენტის № 1669, 21.09.2020 წ. (ID_14725_50353) სამსახურებრივი ბარათით წარმოდგენილი გეოსაინფორმაციო პაკეტის საფუძველზე დადგენილი პირობები.

2. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს სალიცენზიო მოწმობის გაცემის უზრუნველყოფა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს დაინტერესებულ პირს.

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ოთარი დანელია

დამტკიცებულია
სსიპ - წიაღისეულის სააგენტოს უფროსის
2021 წლის 11 თვის 11-13 ნომერის ბრძანებით



ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. შემერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო
წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების ადგილმდებარეობის შესახებ X და Y
კოორდინატები

I უბანი		
№	X	Y
1	374892.470	4703937.186
2	374884.291	4703948.825
3	374877.484	4703958.513
4	374863.266	4703978.760
5	374866.881	4704110.183
6	374287.291	4704188.291
7	374336.608	4704333.243
8	374636.175	4704306.186
9	374726.858	4704270.048
10	374892.223	4704203.753
11	374993.629	4704196.478
12	375112.673	4704044.471
13	375187.924	4704026.946
14	375340.388	4703888.165
15	375211.140	4703776.828
16	375114.605	4703621.213
17	375096.616	4703648.094
18	374908.230	4703914.759
S = 248 630 კვ.მ		
II უბანი		
№	X	Y
1	369199.374	4703912.578
2	369189.882	4703907.806
3	369184.888	4703906.296
4	369169.665	4703892.666
5	369129.880	4703896.606
6	369120.233	4703907.182
7	369118.733	4703916.829
8	369122.163	4703932.264
9	369126.486	4703946.692
10	369130.738	4703969.919
11	369139.098	4703972.667
12	369148.102	4703988.216
13	369148.745	4704008.682
14	369141.671	4704021.659
15	369140.206	4704027.483
16	369139.348	4704032.056
17	369139.348	4704036.344
18	369141.063	4704041.489
19	369144.906	4704047.306
20	369160.327	4704080.694
21	369169.643	4704062.066
22	369169.298	4704060.694
23	369182.171	4704044.696
24	369192.334	4704037.821
25	369199.374	4704029.198
26	369202.497	4704021.660
27	369204.629	4704008.687
28	369204.233	4703989.467
29	369199.660	4703970.316
30	369201.674	4703962.662
31	369203.947	4703964.024
32	369210.807	4703941.447
33	369207.377	4703926.440
34	369202.378	4703917.406
S = 10 060 კვ.მ		
III უბანი		
№	X	Y
1	369963.0896	4705246.686
2	369892.9424	4705272.926
3	369894.4418	4705276.181
4	369868.0496	4705293.379
5	369863.2102	4705296.793
6	369867.6790	4705323.832
7	369874.0713	4705336.106
8	369917.2272	4705366.056
9	369938.2880	4705347.673
10	369977.9230	4705336.929
11	369976.6602	4705326.966
12	369973.4098	4705303.492
13	369969.4293	4705300.734
14	369967.9891	4705296.627
15	369972.4871	4705296.081
16	369972.3268	4705287.802
17	369967.6304	4705288.407

IV უბანი		
№	X	Y
1	376008.248	4703538.983
2	375997.426	4703506.518
3	375985.202	4703469.846
4	375968.879	4703420.876
5	375828.059	4703589.624
6	375716.552	4703746.810
7	375547.205	4703819.033
8	375451.712	4703878.481
9	375721.041	4704216.638
10	375857.201	4704026.612
11	375907.971	4704003.052
12	375922.924	4703996.112
13	376025.016	4703961.447
14	376111.157	4703791.927
15	376063.600	4703779.066
16	376018.798	4703764.765
17	375967.589	4703734.500
18	375913.352	4703699.406
19	375940.446	4703649.519
20	375956.724	4703622.981
S = 206 990 კვ.მ		
V უბანი		
№	X	Y
1	368442.001	4704222.337
2	368491.575	4704221.930
3	368538.096	4704221.649
4	368572.753	4704221.549
5	368596.747	4704219.484
6	368620.800	4704219.974
7	368635.166	4704218.232
8	368663.823	4704212.708
9	368678.729	4704201.190
10	368679.546	4704185.750
11	368657.048	4704174.767
12	368635.166	4704167.330
13	368615.718	4704163.248
14	368609.620	4704149.020
15	368614.363	4704134.115
16	368631.301	4704123.274
17	368659.080	4704125.307
18	368680.761	4704136.825
19	368702.442	4704143.600
20	368745.804	4704143.600
21	368769.518	4704145.633
22	368781.764	4704154.095
23	368777.692	4704169.366
24	368775.616	4704188.317
25	368821.655	4704196.566
26	368841.347	4704196.344
27	368861.826	4704197.131
28	368881.632	4704195.838
29	368905.965	4704192.781
30	368923.272	4704181.582
31	368941.596	4704161.222
32	368956.518	4704135.470
33	368963.970	4704113.789
34	368963.435	4704087.646
35	368960.832	4704067.954
36	368935.866	4704056.139
37	368910.896	4704051.178
38	368883.409	4704055.186
39	368849.223	4704059.290
40	368833.470	4704056.139
41	368812.991	4704049.050
42	368794.087	4704036.448
43	368771.245	4704022.270
44	368723.735	4704008.515
45	368651.454	4704013.606
46	368600.520	4704031.135
47	368582.993	4704056.139

VI უბანი		
№	X	Y
1	374647.565	4703570.344
2	374626.309	4703557.253
3	374600.923	4703541.618
4	374526.968	4703496.071
5	374561.756	4703391.706
6	374652.174	4703279.900
7	374478.923	4703250.016
8	374449.208	4703271.033
9	374443.409	4703324.666
10	374350.640	4703481.213
11	374250.865	4703543.784
12	374217.285	4703629.064
13	374120.167	4703729.081
14	374046.242	4703869.684
15	374065.055	4703954.118
16	374168.546	4703847.156
17	374185.412	4703759.521
18	374315.852	4703811.703
19	374466.602	4703765.319
20	374520.234	4703726.182
21	374528.387	4703623.206
22	374624.735	4703626.603
S = 157 500 კვ.მ		
VII უბანი		
№	X	Y
1	374458.557	4702803.435
2	374426.377	4702752.931
3	374382.698	4702684.380
4	374367.403	4702660.375
5	374096.827	4702721.576
6	374062.676	4702808.935
7	374055.399	4702911.893
8	373635.576	4703063.286
9	373591.554	4703004.232
10	373548.605	4703087.982
11	373332.072	4703134.868
12	373166.004	4703166.363
13	373046.106	4703184.616
14	372900.081	4703201.796
15	372670.305	4703165.289
16	372414.761	4703128.783
17	372370.023	4703186.406
18	372378.613	4703255.124
19	372643.607	4703285.546
20	372758.350	4703326.347
21	372970.946	4703328.494
22	373183.610	4703300.604
23	373232.933	4703294.135
24	373587.259	4703221.123
25	373741.700	4703188.609
26	373791.265	4703178.174
27	374070.789	4703113.393
28	374335.556	4703064.903
29	374600.489	4702970.231
30	374893.971	4702875.426
31	375081.871	4702787.341
32	375250.445	4702701.086
33	375475.209	4702652.411
34	375578.286	4702686.770
35	375750.797	4702645.253
36	375805.198	4702585.125
37	375896.037	4702555.419
38	375362.111	4702533.587
39	375268.340	4702590.136
40	375135.995	4702544.324
41	374952.747	4702600.316
42	374922.206	4702722.481
43	374779.680	4702737.752
44	374667.695	4702814.105
45	374483.364	4702842.389
46	374479.466	4702836.251

პროცესი ს. 1580) 15405,2 37455700 ს. 445) 81477040
30630 12240,73050 ს. 103 80540 24007 40625000 6 55.

3.7 09.07.2021



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020195528222921

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 689/ს

03 / ივნისი / 2021 წ.

**სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით
ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და მე-19 მუხლების, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებისა და „სასარგებლო წიაღისეულის სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 მაისის №841 და №842 განკარგულებების, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარებისათვის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №1-ის შესაბამისად;
2. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1-ის შესაბამისად;
3. ელექტრონული აუქციონი ჩატარდეს ინტერნეტგვერდის – www.eauction.ge-ს მეშვეობით;
4. ბიჯის სიდიდე განისაზღვროს საწყისი ფასის 10 %-ის ოდენობით;
5. აუქციონის ჩატარება ეთხოვოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს;
6. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის დასრულებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში შესაბამის ანგარიშზე ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიტანოს ის ფულადი თანხა, რომელიც შეესატყვისება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო/შემოთავაზებულ ფასს;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა, №2.).

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ოთარი დანელია

ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1	
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1 საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2 მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 95 00 30 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3 ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4 სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5 სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:</p> <p>ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;</p> <p>ბ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;</p> <p>გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური სამიზნო სამუშაოები (თანამედროვე მეთოდის და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს</p>

მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;

დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 20 (ოცი) მოქალაქის დასაქმება;

ე) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ვ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 30 000 (ოცდათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

ზ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

თ) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმოდგენს უპერსპექტივო უბანს;

ი) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განახორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით;

კ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

მ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ნ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი

ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განხორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

ო) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

პ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

ჟ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

რ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;

ს) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით, ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;

ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;

უ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;

ფ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;

ქ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 21 ოქტომბრის N9943/01 წერილით განსაზღვრული პირობები.

ღ) სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს;

ყ) სალიცენზიო ობიექტზე სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით. არქეოლოგი ვალდებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში წარადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

შ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად

		<p>უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;</p> <p>ჩ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.</p> <p>ც) „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.</p> <p>ძ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>წ) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.</p> <p>ჭ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით“, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია, შქმერის მანგანუმის (უბნები: შქმერი, კოლოსი-ბლაშე) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 8 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2021 წლის 7 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა

		გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №2		
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	202 482 571
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 0322 95 00 30 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14
3	ელ-ფოსტა	info@nam.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	<p>ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:</p> <p>ა) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში უზრუნველყოს სასარგებლო წიაღისეულის რესურსის შესწავლა და Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსის შესაბამისად შედგენილი სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიშის შესაბამის ორგანოში დასამტკიცებლად წარდგენა;</p> <p>ბ) შესწავლის პერიოდში ძებნა-ძიებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, განახორციელოს არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიცია;</p> <p>გ) ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს დეტალური გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში განსახორციელებელი შესწავლის სამუშაოების შესახებ, ხოლო დანარჩენ პერიოდზე (მომდევნო წლებში) ყოველი მომავალი წლის შესწავლის სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის წარდგენის ვადად განესაზღვროს წინა კალენდარული წლის 1 დეკემბერი. დეტალური სამუშაოები (თანამედროვე მეთოდების და სტანდარტების შესაბამისად), საჭიროებისამებრ, უნდა მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს, გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოებით (რუკების შედგენა-დაზუსტება), გეოქიმიური და გეოფიზიკური კვლევებით, სამთო გამონამუშევრების გაყვანით, ქანების ნივთიერი და მინერალოგიური შესწავლით და ამ შესწავლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობით, ამასთანავე ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, სამთო სამუშაოების დაწყებამდე შეადგინოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და სამუშაოების განხორციელებისას მუდმივად უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის მონიტორინგი. დეტალური გეგმა-გრაფიკით წარმოდგენილი ვალდებულებები გახდება სალიცენზიო პირობა, რისი შესრულებაც სავალდებულოა ლიცენზიის მფლობელისათვის. ამასთან, სალიცენზიო პირობების მონიტორინგის მიზნით, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შესწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში ყოველი 6 თვის ვადის დასრულებიდან 5 სამუშაო დღეში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს აღნიშნულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში; ამ პუნქტით გათვალისწინებულ დეტალურ გეგმა-გრაფიკში აღწერილი სამუშაოები სავალდებულოა შესასრულებლად. თითოეულ საბადოზე/მადანგამოვლინებაზე სამუშაოების შეუსრულებლობა უპირობოდ გახდება წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი შესაბამისი საბადოსთვის/მადანგამოვლინებისთვის მთლიანი ფართობიდან ამ ტერიტორიის ამორიცხვის გზით;</p> <p>დ) ლიცენზიის მოქმედების პერიოდში უზრუნველყოს მუდმივად საქართველოს არანაკლებ 5 (ხუთი) მოქალაქის დასაქმება;</p> <p>ე) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გასვლიდან ორი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი</p>

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის დასკვნა, რომელიც დაადასტურებს 100 000 (ასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელებას;

ვ) „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, ლიცენზიის მიღებიდან 2 თვის ვადაში, ლიცენზიის გამცემს წარუდგინოს კომერციული ბანკის მიერ გაცემული 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღემატებოდეს „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას;

ზ) შესწავლის სამუშაოების დაწყებამდე, მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთან ერთად უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ;

თ) მარაგების დამტკიცების შემდგომ უზრუნველყოს, იმ ლიცენზირებული ფართობის (ტერიტორიის) დაბრუნება, რომელიც შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით წარმომადგენს უპერსპექტივო უბანს;

ი) ლიცენზიით გამოყოფილი ტერიტორიის ფარგლებში კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე სალიცენზიო საქმიანობა განხორციელოს მხოლოდ ასეთი მიწის მესაკუთრესთან შეთანხმებით;

კ) ხელი არ შეუშალოს სალიცენზიო ფართობზე მოქმედი სხვა ლიცენზიებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას;

ლ) ხელი არ შეუშალოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას;

მ) შესწავლის პერიოდში პარალელურ რეჟიმში უზრუნველყოს ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოეკოლოგიური პირობების შეფასება;

ნ) მარაგების დამტკიცების შემდეგ, ლიცენზიანტი ვალდებულია, გადაიხადოს „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ლიცენზიის საწყისი ფასის დადგენის ფორმულით დაანგარიშებული თანხისა და ამ თანხის 10%-ის ჯამი აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასის გამოკლებით, თუ აუქციონზე მის მიერ დაფიქსირებული, ბოლო შეთავაზებული ფასი ნაკლებია მარაგების დამტკიცების შემდეგ მის მიერ გადასახდელ თანხაზე. ზემოაღნიშნული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ლიცენზიის გამცემისათვის წარდგენისა და ლიცენზიაში ცვლილების განხორციელების შემდეგ, ლიცენზიანტი უფლებამოსილია განხორციელოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება;

ო) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განხორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;

პ) არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა;

ჟ) უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება;

		<p>რ) ექსპლუატაციისას მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება, გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში, უნდა შესრულდეს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები;</p> <p>ს) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;</p> <p>ტ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის/სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში;</p> <p>უ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება;</p> <p>ფ) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელმა არ შეუზღუდოს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფა;</p> <p>ქ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2020 წლის 15 ოქტომბრის N9717/01 წერილით განსაზღვრული მოთხოვნები;</p> <p>ღ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;</p> <p>ყ) სახელმწიფო უფლებამოსილია, წინამდებარე სალიცენზიო ფართობის გეოლოგიური შესწავლისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გასცეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა/მოპოვების ლიცენზიები, რომლებიც არ იქნება დაკავშირებული ამ ლიცენზიით განსაზღვრული წიაღისეულით სარგებლობასთან.</p> <p>შ) „ბ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, შესაძლებელია განხილულ იქნეს ლიცენზიის გაუქმების საფუძველად.</p> <p>ჩ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ასევე „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.</p> <p>ც) ლიცენზიის მფლობელმა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების დამტკიცებიდან და ლიცენზიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შემდეგ ერთი თვის ვადაში სააგენტოს წარუდგინოს დასამტკიცებლად ათვისების გეგმა ყოველწლიურად მოსაპოვებელი რაოდენობის მითითებით.</p> <p>ძ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.</p>
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია, შქმერის მანგანუმის (უბანი ჭარნათი) შესწავლა-მოპოვება.
7	სალიცენზიო ობიექტის	ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შქმერის მიმდებარე ტერიტორია

	ადგილმდებარეობა	
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	5 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 8 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2021 წლის 7 ივლისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 7 ივლისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტოს

შპს მნ ნორთის

(ს/კ: 405470967)

დირექტორის

გ.ჯამუტაშვილის

წ ე რ ი ლ ი

შპს „მნ ნორთი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 405470967) სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 09 ივლისის ბრძანება №899/ს- ის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად გიგზავნით საბანკო გარანტიას.

პატივისცემით,

მნ ნორთის

დირექტორი

გიორგი ჯამუტაშვილი



თარიღი: 09.09.2021



გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განცხადება ლითონების ლიცენზიის მოპოვების შესახებ

გთხოვთ გამოაცხადოთ აუქციონი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

რაიონი/დასახლებული პუნქტი: ონი/ონის მუნიციპალიტეტი სოფ.შქმერი

სასარგებლო წიაღისეულის სახეობა: მანგანუმი

წიაღით სარგებლობის რაოდენობა და ზომის ერთეული: 0 შესწავლა-მოპოვება

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი

განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები

- * რუკები
- მიბმული ფაილები

დამატებითი ინფორმაცია:

'3 წელი შესწავლა, 7 წელი მოპოვება'

გავეცანი "სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილების მე-7* 5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს და თანახმა ვარ მივიღო აუქციონში მონაწილეობა.

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: 20/07/2020 06:22:34

ID: 14725, შტრიხკოდი: 3293603

ქ.თბილისი დ. აღმაშენებლის 150, ტელ: 2 439 557
ქ.ქუთაისი ი.აბაშიძის 14 კინოთეატრი სულიკოს მიმდებარედ.





საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიალის ეროვნული სააგენტო



KA020187525063820

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6897

23 / სექტემბერი / 2020 წ.


საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50353/14725 20.07.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტი კვეთს „ზურმუხტის ქსელის“ ტერიტორიას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი, Shape-ფაილი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

მერაბ ჩალათაშვილი



საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9943/01
21/10/2020

9943-01-2-202010211241



სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ მერაბ ჩალათაშვილს

ბატონო მერაბ,

თქვენი წერილის (#22/6897 23.09.2020) პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების საზღვრებში.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით წარმოდგენილი 1302700 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, 1533 კვ.მ მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში, კერძოდ ონის სატყეო უბნის ბაჯიხევის სატყეოში. აქვე გაცნობებთ, რომ ტყის ფონდის ტერიტორიაზე საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ემთხვევა რაჭა 4-ის (GE0000042) ზურმუხტის დამტკიცებულ ტერიტორიას. ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა ზეგავლენა ჰქონდეს

ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, ნებართვის/ლიცენზიის გაცემის შემდეგ, საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #01/3342 13.10.2020) აღნიშნული ტერიტორიის მიმდებარედ, მიედინება შემდეგი მდინარეები: ხეური (13 კმ.), მარცხენა ხეური (1.2 კმ.), მარჯვენა ხეური (3.6 კმ.), ჭარმანის წყალი (2.9 კმ.), ჯუნჭულა (26 კმ.), 2.1 კმ; 6.1 კმ; 1.1 კმ; 1.3 კმ; 2.4 კმ; 1.8 კმ; და 1.1 კმ. სიგრძის უსახელო მდინარეები.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2. პ.4.) თანახმად, მდინარეების წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს და 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის დადგენილია 10 მეტრი, ხოლო 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 20 მეტრი.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19. პ.2.) და „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილების (მუხლი 4. პ.1.) თანახმად: „წყლის ობიექტებში და წყალდაცვით ზოლებში სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

პატივისცემით,

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე



წიადის ეროვნული სააგენტოს უფროსის

მოვალეობის შემსრულებელს

ქ-ნ ნანა ზამთარაძეს

ი/მ ირაკლი ნოზაძის

განცხადება

ქალბატონო ნანა,

სსიპ „წიადის ეროვნული სააგენტოს“ წარმოებაშია ჩემი განაცხადი ID 14725, ონის რაიონ სოფელ შქმერში მანგანუმის შესწავლა მოპოვების ლიცენზიის აუქციონზე გამოცხადების თაობაზე. ხსენებულ ლიცენზიასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში ჩვენი მხრიდან მოხდება მინიმუმ 300 000 ლარის ინვესტირება და დასაქმდება 20 კაცი. თანახმა ვართ ხსენებული ვალდებულება ლიცენზიის აუქციონზე გამოცხადებისას განისაზღვროს დამატებით სალიცენზიო პირობად.

პატივისცემით,

22.03.2021



ირაკლი ნოზაძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020188268318020

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6898

23 / სექტემბერი / 2020 წ.


სსიპ საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50353/14725 20.07.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტიდან 465 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპორუკა - 1 ცალი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერა/
შტამდასმულია
ელექტრონულად 

მერაბ ჩალათაშვილი



ი/მ ირაკლი ნობაძეს

ტელ: -----

ელფოს:

ასლი: წიაღის ეროვნულ სააგენტოს

ბატონო ირაკლი,

თქვენი ა/ნ 03 თებერვლის განცხადების #225 პასუხად, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტის, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) ლიცენზიის მოპოვებას და საპროექტო არეალებზე (7 უბანი) კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიური ძეგლების დადგენის მიზნით ჩატარებული ზედაპირული არქეოლოგიური დაზვერვების ანგარიშის წარმოდგენას, გაცნობებთ, რომ ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიებზე, თოვლის საფარის გამო ვერ ჩატარდა სრულყოფილი კვლევა, მაგრამ რეგიონში მოღვაწე დარგის სპეციალისტების მონოდებულ ინფორმაციაზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე და დამკვეთის მიერ გამოგზავნილ საპროექტო არეალის დეტალურ ფოტო მასალაზე დაყრდნობით, საპროექტო ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტი/ები ან/და ძეგლი არ დასტურდება, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს არქეოლოგიური ობიექტების მიწის სიღრმეში არსებობას.

გამომდინარე იქიდან, რომ რაჭის რეგიონი მდიდარია არქეოლოგიური ობიექტებით, მათი დაზიანება/განადგურების თავიდან აცილების მიზნით, **საპროექტო უბნებზე მიწის სამუშაოების წარმოება დასაშვებია დანართში მითითებული გეოგრაფიული კოორდინატების ფარგლებში და მხოლოდ არქეოლოგის მეთვალყურეობით.**

მიწის სამუშაოებზე მეთვალყურე არქეოლოგი ვალდებულია სააგენტოში წარმოადგინოს მონიტორინგის ეტაპობრივი ანგარიში, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაოები ჩაითვლება სამუშაო პირობების დარღვევად და გატარდება კანონით გათვალისწინებული ქმედებები.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

დანართი: 10 გვერდი (7 უბნის სატელიტური რუკა და GPS კოორდინატები)

პატივისცემით,

საქართველო

ონის მუნიციპალიტეტის
მერია



GEORGIA

Oni municipality
city hall

N 04-4391
22/12/2020

4391-02-2-202012221209



სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

შევსწავლეთ, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიმდინარე წლის 23 სექტემბრის N 22/6907 წერილი, რომელიც ეხება ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ ონის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილი სალიცენზიო ობიექტზე განხორციელდეს სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემა.

პატივისცემით,

დავით ჩიკვაძე

მუნიციპალიტეტის მერი





საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020176468283920

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/6907

23 / სექტემბერი / 2020 წ.


ონის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ სსიპ წიალის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება (ID 50353/14725 20.07.2020 წ.), ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის თაობაზე. სალიცენზიო ობიექტის III უბნის ტერიტორიაზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესათანხმებლად გიგზავნით ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც დატანილია სალიცენზიო ობიექტი და გთხოვთ, მოგვანოდოთ თქვენი პოზიცია წერილის ჩაბარებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში, მითითებული ტერიტორიის ფარგლებში სასარგებლო წიალისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი, Shape-ფაილი, გეოსაინფორმაციო პაკეტი - 6 გვერდი.

სსიპ წიალის ეროვნული სააგენტოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

მერაბ ჩალათაშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
წიალის ეროვნული სააგენტო



KA020184628132020

მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150 ტელ: +995 591 40 40 51; ფაქსი: +995 32 243 95 02

22/9088

24 / დეკემბერი / 2020 წ.

ფ/პ ირაკლი ნიზაძეს (
მცხ. ქ.

ელ. ფოსტა
ტელ

ონის მუნიციპალიტეტში, სოფელ შქმერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სასარგებლო წიალისეულის (მანგანუმი) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამოცხადების თაობაზე თქვენი 2020 წლის 20 ივლისის (ID 14725/50353) განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სალიცენზიო ობიექტიდან 465 მეტრში ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

